

F. 244
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო
სამხრეთი

4

1959



F-2220

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი—აგვისტო

1959 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კოლეჯის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

გ. ფ ა რ ქ ე ს ა ძ ე—სახოგადობრიობის ღვიძლი საქმე	87-3
მ. თ ო ფ უ რ ი ძ ე—საბჭოთა ჰუმანიზმი	8
ა. ნ ო დ ი ა—სასჯელისაგან ვადაძლე განთავისუფლების შესახებ	14
რ. ჭ ო ლ ო შ ვ ი ლ ი—კოლმეურნეობიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დატაცებისას სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურებანი	22
ა. ყ ღ ე ნ ტ ი—გავადიეროთ ბრძოლა სპეკულიაციასთან და ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ	28
მ. ვ ე ფ ხ ვ ა ძ ე—უპროექტოდ და უნებართვოდ აგებული შენობების თაობაზე აღძრული დავების განხილვის საკითხისათვის	33

ძ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ

გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი—სასამართლო დუელი XVII საუკუნის თბილისში	35
--	----

ზ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ნ ი ა ხ ა ლ ი კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ა. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ე—საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საბინაო მშენებლობის შესახებ გაუმჯობესებას საჭიროებს	42
ლ. ხ ა ი ჩ ი კ ი—ზოგიერთი შენიშვნები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე	48

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ა კ ტ ი კ ი დ ა ნ

ა. ს ა გ ი ნ ჯ ა შ ვ ი ლ ი—დაცვითი სიტყვა	50
---	----

ს ა უ ბ რ მ ბ ი ს ა ხ ა ლ ხ ო მ ს ა ჯ უ ლ ე ბ თ ა ნ

საუბარი მეშვიდე—საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებანი	58
--	----


კ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

გ. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი—მნიშვნელოვანი ნაშრომი	66
--	----

დ ა ნ ა უ ა უ ლ ი ს კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ

შ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ხ. მ ე ს ე ნ ვ ი ს ე რ ი—„საქმიანი“ ხალხის „მოღვაწეობა“ დასრულდა	71
--	----

სასამართლო დარბაზიდან	75
აკადემიკოსი ანატოლი ვასილის-ძე ვენედიქტოვი	78
იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას	80
სასამართლო პრაქტიკა	82





СОДЕРЖАНИЕ

	стр.
В. Паркосадзе—Дело всей общественности	3
М. Топуридзе—Советский гуманизм	8
А. Нодия—О досрочном освобождении	14
Р. Чогошвили—Особенность возбуждения уголовного дела и планировки следствия по делам хищений из колхозов сельскохозийственных продуктов	22
Д. Жгенти—Усилим борьбу против спекуляции и нарушителей порядка торговли	28
М. Вепхвадзе—К вопросу о рассмотрении споров безпроектных и без разрешения воздвигнутых заданий	33

ИЗ ИСТОРИИ ПРАВА ГРУЗИИ

Г. Надареишвили—Судебная дуэль в Тбилиси в XVII веке	35
--	----

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

А. Хочолава — Законодательство по жилищному строительству Грузинской ССР требует улучшения	42
Л. Заичик—Некоторые замечания к проекту уголовно-процессуального кодекса	48

ИЗ СУДЕБНОЙ ПРАКТИКИ

Сагинашвили—Защитительная речь	50
--	----

БЕСЕДЫ С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ

Беседа седьмая—Основные положения Советского гражданского права	58
---	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Инцирвели—Значительный труд	66
--	----

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЙ

Ш. Робакидзе, З. Месенгисер—„Деятельность“ „деловых“ людей окончена	71
Из судебного зала	75
Академик Анатолий Васильевич Венедиктов	78
Юридическая консультация населению	80
Судебная практика	28

საზოგადოებრივობის ღვიძლი საქმე

მ. ფარაშასძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა უდიდესი მოვლენაა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“ პარტიის XXI ყრილობაზე ნათლად იქნა დასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის ძირითადი ამოცანები შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა მართლმსაჯულების განუხრელად გატარებასა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, სანიმუშო სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამყარებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საჭიროდ იქნა ცნობილი ამ საქმეში ჩაბმულიყო მშრომელთა ფართო მასები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა: „განა საბჭოთა საზოგადოებრიობას არ შეუძლია მოერიოს სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთ? რა თქმა უნდა, შეუძლია. ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამისათვის ნაკლები შესაძლებლობანი, სახსრები და ძალები როდი აქვთ, ვიდრე მილიციას, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს!“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 2 მარტს მიიღეს დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ. დადგენილებას „საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და სახლმშობრთველობებში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნის შესახებ“ საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წინადადებები, რომლებიც იგზავნებოდა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

დიდი და საპატიო მოვალეობა ეკისრება ნებაყოფლობით სახალხო რაზმის წევრებს. ამიტომ სახალხო რაზმების წევრებად შერჩეული უნდა იქნან

პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივისტები, მოწინავე მუშები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, პენსიონერები, სწავლაში წარმატების მქონე სტუდენტები, ისეთი პირები, რომლებიც თავიანთი სანიმუშო ყოფაქცევით სამსახურში, საზოგადოებრივ ადგილებში, სასწავლებლებში, ოჯახში და სხვ. გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის მაღალი კულტურის მაგალითებს.

რსფსრ-ის ივანოვის ოლქში მშრომელთა დებუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის მუდმივმოქმედი კომისია, ხოლო სვერდლოვის ოლქის ბოგდანოვიჩის რაიონში შეიქმნა ახალგაზრდობის შტაბი. ანალოგიური საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 16 მარტს მიიღეს დადგენილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ. ამავე დადგენილებით დამტკიცებული იქნა დროებითი დებულება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები დიდი უფლებებით არიან აღჭურვილნი. ისინი მოწოდებული არიან დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი ქუჩებში, კულტურის პარკებში, კინო-თეატრებში, სამგზავრო სადგურებში და სხვა საზოგადოებრივი თავმოყრის ადგილებში.

ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმებმა ამთავითვე ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობა უნდა გააჩაღონ, რათა მიაღწიონ ეფექტურ შედეგს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყოველგვარი გამოვლინების აღმოსაფხვრელად. ამ ამოცანის შესრულებაში ფართოდ უნდა გამოიყენონ ვაზეთი, რადიო, ტელეხედა და თვალსაჩინო ავტოციკლის სხვა საშუალებანი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების გარდა სოციალისტურ საზოგადოებაში იქნება ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა მილიციის დამხმარე ახალგაზრდობის ბრიგადები, კომკავშირული შტაბები, სახალხო მილიციის რაზმები, საამხანაგო სასამართლოები და სხვა მათი მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დადგა დრო, როცა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონთ ამხანაგურ სასამართლოებს, რომლებიც უმთავრესად უნდა იბრძოდნენ სხვადასხვა დარღვევების თავიდან აცილებისათვის. ისინი უნდა არჩევდნენ არა მარტო საწარმოო, არამედ აგრეთვე საყოფაცხოვრებო, მორალური ხასიათის საკითხებს, კოლექტივის იმ წევრთა არასწორი მოქმედების ფაქტებს, რომლებმაც დაუშვეს საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებისაგან გადახრა“.

არ შეიძლება უარყოფილი იქნას ის ფაქტი, რომ იმ წარმოება-დაწესებულებებთან არსებული საამხანაგო სასამართლოები, რომელთა საქმიანობა მოწოდებულს სიმალღებუა დაყენებული, უაღრესად სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ისინი თავიანთი საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდით აქტიურად უხმარებიან წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომის დისციპლინის ზუსტად დაცვაში, ადმინისტრაციის ბრძანებისა და

განკარგულებების თავის დროზე შესრულებაში, სახელმწიფო საკუთრების დაცვასა, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და სახელმწიფო გეგმების გადამტებით შესრულებაში.

წარმოება — დაწესებულებებთან არსებული საამხანაგო სასამართლოების დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 ივლისის დადგენილებით, საამხანაგო სასამართლოები იხილავენ საკითხებს მუშა-მოსამსახურეთა მიერ სამუშაო დღეების არასაპატიო მიზეზით გაცდენის, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების ან დაწესებულ დროზე ადრე წასვლის შესახებ, სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების, უფროსების ბრძანების ან განკარგულების შეუსრულებლობის, წარმოება-დაწესებულებების ქონების დაზიანებისა და უყარათო მოპყრობის, ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევის შესახებ და სხვა ამგვარ საკითხებს, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული წარმოება-დაწესებულების მუშაობის ხასიათთან და თავისებურებებთან.

პარტიის XXI ყრილობის მითითებათა საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა საამხანაგო სასამართლოების ფუნქციები და მათ უფლება მიენიჭათ განიხილონ არა მარტო საწარმოო ხასიათის საკითხები, არამედ აგრეთვე თვითეული მუშაკის საყოფაცხოვრებო და ზნეობრივი ხასიათის საკითხებიც.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა ავალდებულებს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებს, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ.

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკებმა სისტემატურად უნდა ჩაატარონ ლექციები, საუბრები და სემინარები ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საამხანაგო სასამართლოების წევრებისათვის, განუმარტონ მათ სოციალისტური მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები და საბჭოთა კანონების პოლიტიკური შინაარსი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ ორგანიზაციებს პროფილაქტიკური და აღმზრდელი ხასიათის ღონისძიებათა გატარებაში.

საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ცალკეული ფუნქციის გადაცემა ნებაყოფლობით სახალხო ორგანიზაციებზე და საამხანაგო სასამართლოების უფლებათა გაფართოება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესუსტებას დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებმა, საბჭოთა სახელმწიფო მექანიზმის ამ მნიშვნელოვანმა ნაწილებმა უფრო მეტი ენერგიით უნდა გააძლიერონ მუშაობა ჩვენს ქვეყანაში საინიშნო მართლწესრიგის დასამყარებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში მიუთითებდა, რომ „რა თქმა უნდა სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოებს უნდა დაეუტოვოთ გარკვეული მოვალეობანი. ეს ორგანოები განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, რათა ზეგავლენა მოახდინონ იმ პირებზე, რომლებიც ბოროტად არ ემორჩილებიან სოციალისტური საზოგადოების ნორმებს და რომელთა აღზრდა არ ხერხდება“.

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოების ავტორიტეტის კიდევ უფრო მეტად ამაღლებისათვის პარტიის XXI ყრილობაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული არიან მაღალ დონეზე ჩაატარონ გამოძიება ყოველ კონკრეტულ საქმეზე, შეკრიბონ უდავო ხასიათის დამამტკიცებელი მასალები და არ დატოვონ გაუხსნელი არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედობა. სასამართლო ორგანოებს ევალებათ სწორად შეაფასონ საქმის კონკრეტული ვითარება, დემოკრატიული პრინციპების დაცვითა და საპროცესო ნორმების ზუსტად გამოყენებით ჩაატარონ საქმის საინსჯავრო გამოძიება, სოციალისტური მართლშეგნების რწმენით განსაჯონ სამართალში მიცემული თვითეული პირის მოქმედება, რათა ბრალდებულს მიეზღოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი სასჯელი, ხოლო უდანაშაულო პირი არ იქნეს უსაფუძვლოდ და უმართებულოდ დასჯილი.

არ უნდა დაგვიწყნოთ ის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ სამართალში მიცემული პირის დასჯას მაშინ აქვს უფრო მეტი ეფექტურობა, გამაფრთხილებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა, როცა ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ სწრაფად ჩატარდება გამოძიება, საქმე დროულად გადაეცემა სასამართლო ორგანოს და სასამართლოში მიცემული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომენტი მაქსიმალურად დაუახლოვდება სამართალში მიცემულის დასჯის მომენტს.

სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისათვის საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისა და საამხანაგო სასამართლოების მუშაობის გააქტიურებამ უფრო მეტად გაზარდა სახალხო სასამართლოების აღმზრდელი თუნქციის მნიშვნელობა. სახალხო სასამართლოების მუშაობაში ამჟამად მთავარი ყურადღება ენიჭება სამართალში მიცემულის ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების მეთოდს, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას.

უდიდესი პოლიტიკური, აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს იმ პრინციპს, რომ საბჭოთა ქვეყნის სასამართლო ორგანოებში საქმეთა განხილვა მიმდინარეობს ღია პროცესებზე, საჯაროდ. ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც სასამართლო პროცესებს ესწრებიან, ეცნობიან საბჭოთა კანონებს ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეებზე, სწავლობენ მათ პოლიტიკურ შინაარსსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ღია სასამართლო პროცესები საუკეთესო საშუალებაა, ხალხის წინაშე გამომჟღავნდეს სამართალში მიცემული პირის დანაშაულებრივი სახე, მის მიერ ჩადენილი სოციალურად საშიში ქმედობის მთელი სიმძიმე. ამავე დროს საჯარო პროცესები წარმოადგენენ მასიური აგიტაციის საშუალებას სოციალისტური კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღსაზრდელად. საჯარო წესით საქმის განხილვა ეხმარება თვით სამართალში მიცემულს, შეიგნოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დაადგეს გამოსწორების გზა.

პარტიის XXI ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ისეთი საშიში დანაშაულის ჩადენა, როგორიცაა მკვლელობა, ხულიგნობა, გაუპატიურება და სხვ. უმთავრესად ხდება მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ. აღინიშნა, რომ სიმთვრალე წარმოადგენს საზოგადოებრივად მავნე საქციელს, ძლიერ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას, არყვეს ოჯახის სიმტკიცეს, იწვევს შრომის დისციპლინის დარ-

ღვევას, ავარიას მრეწველობაში და ტრანსპორტზე, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ეპიზოდური და ხანმოკლე ხასიათის მოვლენა. ასეთი მავნე მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა სწარმოებდეს ყოველდღიური ბრძოლა, რათა ძირფესვიანად იქნეს აღმოფხვრილი კაპიტალისტური ცხოვრების ეს საშარცხენო გადმონაშთი. დაგმობილი უნდა იქნეს ლიბერალიზმი და არასაჭირო ჰუმანიზმი ლოთებისა და შინაური არყის გამომხდელ პირთა მიმართ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დიდი ინტენსიობით მიმდინარეობს მუშაობა სისხლის სამართლის კოდექსის შესადგენად, სადაც სპეციალურად არის გათვალისწინებული იმ პირთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა, რომლებიც ბოროტად იყენებენ მაგარ სპირტიან სასმელებს და ან აწარმოებენ შინაური არყის გამოხდას. ამრიგად, პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოებს რეალური შესაძლებლობა მიეცემათ აწარმოონ მკაცრი ბრძოლა ამ სახის დანაშაულთა წინააღმდეგ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მართო მართლმსაჯულების ორგანოები ვერ შეძლებენ საბოლოოდ ლიკვიდაცია უყონ ამ ბოროტებას. ლოთობისა და მათი ხელშემწყობ პირების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში უნდა ჩავაბათ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და კომკავშირული ორგანიზაციები. მათ სისტემატურად უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ლოთობის მავნელობის შესახებ. ამ ღონისძიებების გატარებაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული პრესა, რადიო, ტელეხედვა, კინო, თეატრი და ესტრადები კულტურისა და დასვენების პარკებთან.

ჩავაბათ მთელი საზოგადოებრიობა ბრძოლაში კაპიტალიზმის ამ საშარცხენო გადმონაშთის წინააღმდეგ-ასეთია საბჭოთა მშრომელების წინაშე მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანა.

ს ა ბ ჯ ო ტ ა კ უ მ ა ნ ი ზ მ ი

ა. თოფურჩიძე,

საქ. სსრ პროკურორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა თვალწინ მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი იდეების ცხოველყოფელი ძალა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება ააშენონ კომუნისტური საზოგადოება.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია იცვლება დავითარდება ჩვენი სახელმწიფოს ფუნქციები. თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ფუნქციებია სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობა, შრომისა და მოხმარების ზომისადმი კონტროლი, სოციალისტური საკუთრებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დაცვა.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მთავარი მიმართულებაა დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა, ხალხთა უფართოესი მასების ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მშრომელთა ყველაზე ფართო წარმომადგენლობითი ორგანიზაციები — ადგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან გადამწვეტი როლი შეასრულონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში. ისინი უკანასკნელ ხანებში უფრო აქტიურად მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოებისა და მშენე-

ბლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშრომელთა მასების კულტურისა და კეთილდღეობის ამალგების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში.

ამაღლდა მათი როლი საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაშიც. ადგილობრივი საბჭოები სისტემატურად იხილავენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებს, დიდ ყურადღებას აქცევენ საზოგადოებრიობის ჩაბმას სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობის ეს მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა მართლწესრიგის ზუსტად დაცვა და საბჭოთა თანაცხოვრების ნორმების შესრულება იქცა წესად, სულიერ მოთხოვნილებად მილიონობით მშრომელისათვის. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა თავდადებით შრომობს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, წმინდათ იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივი ქცევის

ნორებს, სხადიან ხულიგნურ მოქმედებას და სხვა დანაშაულს. მშრომელთა კანონიერ აღმფოთებას იწვევს ნაკრალი ადამიანის ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩებში; ასეთ დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ქალაქებსა და სოფლებში წესრიგის უზრუნველყოფაში დიდია საზოგადოებრიობის როლი.

უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამხ. ხრუშჩოვის მითითებებს იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში უნდა გადავიდეს სოციალისტური თანაცხოვრების წესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის სულ უფრო მეტი საკითხები.

ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია და მათ წინააღმდეგ გამომწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნაკლები შესაძლებლობანი როდი აქვთ, ვიდრე პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოებს იმისათვის, რომ იბრძოლონ სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“ ნათქვამია, რომ ამჟამად მშრომელთა შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების ვითარებაში ამორალურ, ანტისაზოგადოებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოონ არა მარტო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არამედ იგი უმთავრესად უნდა ვაწარმოოთ

მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით. მთავარია სრულად გამოვიყენოთ საზოგადოებრიობის ძალა წესრიგის დამრღვევებზე.

სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

შეგნებული შრომითი დისციპლინის დაცვისა და განმტკიცებისათვის, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, დანაშაულობათა და დარღვევთა თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ამხანაგურ სასამართლოებს.

ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვი პარტიის XXI ყრილობაზე აღნიშნავდა: „დადგადრო, როცა მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ამხანაგურ სასამართლოებს, რომლებიც უმთავრესად უნდა იბრძოდნენ სხვადასხვა დარღვევის თავიდან აცილებისათვის. ისინი უნდა არჩევდნენ არა მარტო საწარმოო, არამედ აგრეთვე საყოფაცხოვრებო, მორალური ხასიათის საკითხებს, კოლექტივის იმ წევრთა არასწორი მოქმედების ფაქტებს, რომლებმაც დაუშვეს საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებისაგან გადახრა. როცა აქტიურად დაიწყებენ მოქმედებას საზოგადოებრივი ამხანაგური სასამართლოები და თვით საზოგადოებრიობა გამოყოფს ადამიანებს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, მაშინ გაცილებით უფრო ადვილი იქნება ბრძოლა დამრღვევთა წინააღმდეგ“.

ცალკეული ფუნქციების ასეთი გადასვლა სახელმწიფო ორგანოებიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში კი არ შეასუსტებს სოციალისტური სახელმწიფოს როლს კომუნისმის მშენებლობაში, არამედ პირიქით, გააფართოვებს.

თოვებს და განამტკიცებს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ საძირკველს.

თუ რაოდენ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ამხანაგური სასამართლოების მოღვაწეობას, შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი თბილისის „გაზაპარატის“ ქარხნის ამხანაგური სასამართლოს მუშაობის გამოცდილებიდან.

ამხანაგურ სასამართლოში მუშა-მოსამსახურეებმა აირჩიეს მოწინავე ადამიანები, რომელთაც თავი გამოიჩინეს როგორც შრომით საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი მშრომელთა ნდობით სარგებლობენ. სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულია საამქროს მოწინავე ცვლის ოსტატი გ. ფოფხაძე, წევრებად მოწინავე ზეინკალი რ. დემეტრაშვილი, წუნმდებელი ე. ქურდოვანიძე, ლაბორანტი არანინა, ოსტატი გ. ხუტულაშვილი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ე. ქურდოვანიძე და გ. ხუტულაშვილი ამავე დროს არჩეულნი არიან თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯულებად.

როგორც წესი, ამ ქარხანაში ამხანაგური სასამართლოს სხდომები უმეტესად სამუშაო ობიექტების ახლოს, საამქროთა წითელ კუთხეში იმართება; ამასთან თვითველ სხდომაზე განსახილველად გამოაქვთ 1-2 საკითხი. სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა ერთ-ერთნახევარ საათს არ აღემატება და, რაც მთავარია, საქმის განხილვა ოპერატიულად ხდება.

ამხანაგურმა სასამართლომ კარგ შედეგს მიაღწია: ქარხნის კოლექტივის ის წევრები, რომელთა საქმეც სასამართლომ განიხილა, აღარ არღვევენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს.

მაგალითად, მემინანქრე ხინჯიკაშვილი სისტემატურად აცდენდა სამუშაო დროს. მისი საქმე განიხილა ამხანაგურმა სასამართლომ და სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ასეთივე სასჯელი

დამისახურა სამინანქრო საამქროს გამომწველმა ფ. კოჩიევამ ქარხნის შინაგანაწესის დარღვევისა და ამხანაგების შეურაცხყოფისათვის.

ხინჯიკაშვილმა და კოჩიევამ გულთან ახლოს მიიტანეს ამხანაგური სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილებანი და სულ მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

ამას გარდა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ამხანაგური სასამართლოები მიმართავენ პროკურატურის ორგანოებს თხოვნით მისცენ მათ თავდებში წესრიგის დამრღვევნი.

ელექტრომონტიორმა ა. ა. მარტიროსოვმა ა/წლის 17 მაისს ტრამვაით მგზავრობის დროს ჩაიღინა ხულიგნური მოქმედება.

საამქროს კომკავშირის ორგანიზაციამ რაიონის პროკურორის მონაწილეობით საერთო კრებაზე განიხილა მისი საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვათ პროკურატურისათვის მარტიროსოვის მიცემა თავდებში საამქროს კოლექტივისათვის. რაიონის პროკურორი დაეთანხმა კრების საერთო თხოვნას.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშამ ვ. კ. გორბუნოვმა 1959 წლის 7 ივნისს მთვრალ მდგომარეობაში გორის რკინიგზის სადგურის წინ, ხალხის თავმოყრის ადგილას ჩაიღინა ხულიგნობა. იგი ავინებდა და უცენზურო სიტყვებით მიმართავდა მოქალაქეებსა და მილიციის მუშაკებს.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის თანამშრომლებმა საერთო კრებაზე განიხილეს გორბუნოვის საქციელი და მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კომბინატის კოლექტივს აეყვანა თავდებში ვ. კ. გორბუნოვი. გორის რაიონის პროკურორმა დააკმაყოფილა საერთო კრების მოთხოვნა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის

ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 მარტის დადგენილებით დამტკიცებულია სახალხო რაზმების დროებითი დებულება, რომლის მიხედვით მათი ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ბრძოლა ხულიგნობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, აქტიური მონაწილეობა მოსახლეობაში სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის ახსნა-განმარტებით მუშაობაში.

სახალხო რაზმები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ხელმძღვანელებენ საბჭოთა კანონების მოთხოვნებით. ისინი მთელ თავიანთ მუშაობას ეწევიან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მტკიცე კონტაქტში.

ასეთი რაზმები უკვე შექმნილია თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მრავალ საწარმოში.

* * *

საბჭოთა საზოგადოებაში იძულება არასოდეს არ წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობის მთავარ მეთოდს. ამჟამად იძულების სფერო კიდევ უფრო ვიწროვდება და იგი ძირითადად მიმართულია იმ აგენტების წინააღმდეგ, რომლებსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები აგზავნიან ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე ქურდების, საზოგადოებრივი საკუთრების გამანიაველების, ხულიგნების, მკვლელებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ.


საბჭოთა ჰუმანიზმი მკაფიო გამოხატულებას პოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1957 წლის 25 დეკემბერს მიღებულ ახალ კანონებში, რომლებიც მთლიანად შეესაბამებიან სოციალისტური კანონიერების ლენინურ პრინციპებს; ისინი იცავენ საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. სოციალისტურ საკუთრებას, მოქალაქეთა პიროვნებასა და მის უფლებებს, მთელ სოციალისტურ მართლწესრიგს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ახალი საკავშირო კანონები უბასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი გაფართოებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, უკანონობის, თვითნებობის, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრის შესახებ.

ამ კანონებში შენარჩუნებულია წინააღმდეგი კანონების ბევრი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც შემოწმებულია ცხოვრებითა და სახელმწიფო ორგანოების მუშაობის მრავალი წლის პრაქტიკით. ამავე დროს, ახალი საკავშირო კანონები უფრო სრულად და ღრმად ასახავენ ახალი ეტაპის ამოცანებს, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანებს.

სოციალისტური ჰუმანიზმი თავის ამოცანად ისახავს ადამიანის ნამდვილ თავისუფლებას და რეალური პირობების შექმნას პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების საფუძვლები ამოცანად ისახავენ დანაშაულის სწრაფად და სრულად გამოძიებას, რათა გამოვააშკარა-



ვით დამნაშავენი და უზრუნველვყოთ კანონის სწორად გამოყენება, რომ ყოველ დამნაშავეს დაედოს მართებული სასჯელი და ამავე დროს არცერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული პასუხისმგებლობაში.

საფუძვლებში საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სისხლის სამართლის წარმოების საბჭოთა პრინციპები, რომლებიც გამსჭვალულნი არიან ნამდვილი ჰუმანიზმით. ასე მაგალითად, არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში კანონით დადგენილი წესისა და საფუძვლის გარეშე; არცერთი ადამიანი არ შეიძლება აღიარებული იქნას დამნაშავედ და დაისაჯოს სასამართლო განაჩენის გარეშე; ბრალდებულის დანაშაულის დამტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს; სასამართლოს, პროკურორსა და გამომძიებელს უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა ბრალდებულზე გადაიტანონ; განაჩენი არ შეიძლება დაყრდნობილი იქნას ვარაუდზე, იგი გამოიტანება მხოლოდ მაშინ, როდესაც დამტკიცებულია სამართალში მიცემული პირის ბრალდება ჩადენილ დანაშაულში.

ყველა ეს პრინციპები წარმოადგენს სოციალისტური მართლმსაჯულების საიმედო გარანტიას, ისინი გვიჩვენებენ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ნამდვილად დემოკრატიულ არსს, ცხადყოფენ საბჭოთა მართლმსაჯულების ჰუმანურობასა და სამართლიანობას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, ერთის მხრივ, ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ისეთი ქმედობებისათვის, რომლებიც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, — მკაცრ პასუხისმგებლობას მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

ამავე დროს ძლიერდება ბრძოლა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების წინააღმდეგ, ე. ი. ისეთი მტრული ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ხელმეორედ და მრავალჯერ ჩადიან დანაშაულს.

დადგენილია და ზუსტად განსაზღვრულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრინციპი მხოლოდ გარკვეული დანაშაულისათვის და ინდივიდუალური დასჯის პრინციპი დანაშაულის ხასიათის მიხედვით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში შენარჩუნებულია დასჯის უმაღლესი ზომა დახერხება, მაგრამ ამ სასჯელის შეფარდება მეტად შეზღუდულია. მშვიდობიანობის დროს დახერხება შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ ისეთ უმძიმეს დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევაში, როგორც არის საშობლოს დალატი, ჯაშუშობა, დივერსია, ტერორისტული აქტი, განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაამძიმებულ გარემოებებში და ბანდიტიზმი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლები მნიშვნელოვნად აძლიერებენ სისხლის სამართლის სასჯელის აღმზრდელით როლს, უწინარეს ყოვლისა, არასრულწლოვანთა მიმართ. ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, კიდევ ერთხელ მეტყველებენ ჩვენი კანონმდებლობის ჰუმანიურობაზე. საფუძვლების მე-10 მუხლის ადგენს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცემა, როგორც წესი, 16 წლის ასაკიდან, ნაცვლად 14 წლის ასაკისა, რასაც ითვალისწინებდა აქამდე მოქმედი კანონმდებლობა. სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცემიან არასრულწლოვანნი 14 წლის ასაკიდან მხოლოდ ისეთი მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორიცაა განზრახ მკვლელობა ან სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც იწვევს ჯანმრთელობის მოშლას, აგრეთვე გაუპატიურება, ყაჩაღური თავდასხმა, ქურდობა, ბოროტი ხულიგნობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ დაზიანება, ან

განადგურება, რასაც მძიმე შედეგი მოყვა, აგრეთვე განზრახ ისეთი მოქმედების ჩადენა, რასაც შეეძლო გამოეწვია მატარებლის მარცხი. ამ დანაშაულთა ჩადენისათვის, საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის ახალი საწყისების მიღებამდე, სისხლის სამართლის დამნაშავენი სამართალში ეძლეოდნენ 12 წლის ასაკიდან. იმ პირთა მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 18 წელი არ შესრულებიათ, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წელს.

ახალი კანონმდებლობით დაწესებუ-

ლია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არაუმეტეს 10 წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის—არაუმეტეს 15 წლისა.

სოციალისტური ჰუმანიზმის იდეით არის გამსჭვალული სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების ბევრი სხვა ნორმაც.

ახალი კანონმდებლობა, რომელიც აგებულია ჰუმანიურ საწყისებზე ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას და წარმატებით ბრძოლას სოციალისტური მართლწესრიგის დანაშაულებრივ ხელყოფათა წინააღმდეგ.

სასჯელისაგან ვარაზი განთავისუფლების შესახებ

ა. ნოდია,

საქართველოს სსრ პროკურატურის
პროკურორი, იუსტიციის უმცროსი
მრჩეველი.


საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების ინსტიტუტი რევოლუციის პირველ დღეებშივე იქნა შემოღებული. 1917 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნებულმა № 1 დეკრეტმა „სასამართლოს შესახებ“ გაუქმებულად გამოაცხადა მეფის რუსეთის სასამართლო და პროკურატურა და ახლადშექმნილ რევოლუციურ სასამართლოებს შეწყალების უფლება მიანიჭა, რაც თავისთავად შეიცავდა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების უფლებასაც. 1918 წლის 7 მარტს გამოცემულმა № 2 დეკრეტმა „სასამართლოს შესახებ“ ყველა მსჯავრდადებულს მისცა უფლება ეთხოვა ადგილობრივი სასამართლოსათვის თავისი საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით პირობით ანდა ვადამდე განთავისუფლება.

სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფის მიზნით გამოიცა მრავალი ინსტრუქციები და დეკრეტები, ხოლო შემდგომში კი ეს ინსტიტუტი შეტანილი იქნა 1924 წლის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში“.

უკანასკნელ ხანებში ეს საკითხები ჩვენში მოწესრიგებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

უმის 1954 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით „18 წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების წესის შესახებ“ და 1954 წლის 14 ივლისის ბრძანებულებით „საპატიმრო ადგილებიდან ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ“, გარდა ამისა, თავისუფლებისაღკვეთა მისჯილ პატიმრების ვადამდე განთავისუფლება ხდებოდა აგრეთვე შრომადღებების ჩათვლების საფუძველზე. „შრომა-გასწორების კოლონიების შესახებ“ 1954 წლის 10 ივნისს დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

აღრე მოქმედ კანონებსა და აღნიშნულ დებულებას პატიმართა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების საკითხებში სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნდათ. შრომადღებების ჩათვლის წესით პატიმართა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების პრაქტიკა სამართლიანად გაკრიტიკებული და დაწუნებული იქნა ჩვენი საზოგადოების მიერ. ხშირ შემთხვევაში შრომადღებების ჩათვლის შედეგად სულ მალე თავისუფლებდნენ მკვლელები, ბანდიტები, ქურდები, ხულიგნები, და სხვა მძიმე დანაშაულისათვის არაერთხელ გასამართლებული პირები, რომლებიც ხელმეორედ ჩადიდნენ მძიმე დანაშაულს;



ასე მაგალითად: ა. ბ. გერეხელია მრავალჯერ იყო გასამართლებული სხვადასხვა მძიმე დანაშაულებრივი ქმედობისათვის. ადრე შეფარდებულმა სასჯელის აღმზრდელობითმა ღონისძიებამ მასზე არავითარი გავლენა არ მოახდინა და განთავისუფლების შემდეგ მან კვლავ მიჰყო ხელი ყაჩაღობას, რისთვისაც წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლომ 1952 წლის 27 მაისს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ იგი სულ მალე, 1954 წლის 14 სექტემბერს განთავისუფლდა სხვადასხვა შეღავათების გავრცელებისა და შრომადღეების ჩათვლის გზით. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ გერეხელიამ შექმნა მძარცველთა ჯგუფი შ. ქარდავას, ბ. ფიფიას, ი. დარასელიას, დ. ფაჩულიას და სხვათა მონაწილეობით, რომლებიც ისევე როგორც გერეხელია ადრე გასამართლებულნი იყვნენ. ჯგუფი შეიარაღდა ცეცხლმსროლელი და სხვა იარაღით და ეწეოდნენ მოსახლეობის ძარცვას.

გერეხელია და მისი თანამზრახველები დააპატიმრეს და მისჯილი აქვთ ხანგრძლივი ვადით პატიმრობა.

მეორე მაგალითი: ს. მ. მირზოევი ადრე მრავალჯერ იყო გასამართლებული სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის. 1953 წლის 17 ივნისს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით სხეტლის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაგრამ ეს სასჯელი შრომადღეების ჩათვლით სულ მალე მოიხადა და 1956 წლის 11 აგვისტოს საპატიმროდან განთავისუფლდა. მირზოევს არ შეუწყვეტია თავისი „ხელობა“. 1957 წლის 11 აპრილს მან გაქურდა ი. ლ. კურინის

ბინა და გაიტაცა დიდი რაოდენობით საოჯახო ნივთები და სხვადასხვა ფასეულობა. მირზოევი მალე შეპყრობილი იქნა და 8 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ცხადია, ყველაფერი ეს იმის შედეგი იყო, რომ საპატიმროდან მსჯავრდებულები ვადაზე ადრე, გამოუსწორებელნი ბრუნდებოდნენ. პატიმართა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლება ხდებოდა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ შრომადღეების ჩათვლების ანგარიშზე და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, გამოსწორდა თუ არა მსჯავრდებულები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებულმა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა მთელი რიგი სიახლე და გაუმჯობესება შეიტანა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ არსებულ კანონმდებლობაში.

საფუძვლების 44-ე მუხლი იხილავს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებისა და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხებს იმ პირობით, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სრულწლოვანობის ასაკში. 45-ე მუხლში კი დააბარაკია სასჯელისაგან განთავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის შესახებ იმ პირობით, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 18 წლის ასაკამდე.

ახალმა კანონმა საგრძნობლად გააფართოვა იმ პირობა წრე, რომლებმაც შეიძლება ისარგებლონ ამ შეღავათებით. როგორც ცნობილია, ადრე მოქმედი კანონი სასჯელისაგან ვადამდე განთავი-

სუფლემის შესახებ ეხებოდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა მისჯილ პირებს, ხოლო ამჟამად კი სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება, ვადამდე განთავისუფლება ან შეფარდებული სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა შესაძლებელია ყველა იმ მსჯავრდადებულის მიმართ, ვისაც სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვს არა მარტო თავისუფლების აღკვეთა, არამედ გამასწორებელი სამუშაო, ვადასახლება, ვასახლება ან საღისეობლინო ბატალიონში გაგზავნა.

მსჯავრდადებულის მიმართ სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებისათვის სასამართლოს წინაშე საკითხის დასაყენებლად საჭიროა, რომ მსჯავრდადებული სასჯელის მოხდის პერიოდში იჩენდეს სანიმუშო ყოფაქცევას და შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას, რომლითაც აშკარად უნდა მტკიცდებოდეს, რომ იგი უშუალოდ დაადგა გამოსწორების გზას და შემდგომში არ არის მოსალოდნელი მის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ კანონი მოითხოვს, რომ მსჯავრდადებულმა, გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიჩინოს აგრეთვე სწავლისადმი სამაგალითო მისწრაფება. ეს იმიტომ, რომ ჩვენში თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიაც შემოდებულია სავალდებულო სწავლება, ზოგადი და პროფესიულ-ტექნიკური.

იმ პირობა მიმართ, რომლებმაც დანაშაული სრულწლოვანობის ასაკში ჩაიდინეს, კანონში მოცემულია ორი სხვადასხვა ვადა, რომლის ფაქტიურად მოხდის შემდეგ მსჯავრდადებული შეიძლება წარდგენილი იქნას სასამართლოს განაჩენით სასჯელის მოხდისაგან პირობით გასანთავისუფლებლად:

1. სასჯელის სულ ცოტა ნახევრის ფაქტიური მოხდაა სავალდებულო იმ


პირების მიერ, რომლებიც შედარებით მსუბუქი დანაშაულებრივი ქმედობისათვის არიან მსჯავრდადებულნი;

2. ის პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფოებრივი და სხვა მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება ვადამდე პირობით იქნენ განთავისუფლებულნი სასჯელის სულ ცოტა ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის კანონი არ იძლევა ასეთ დიფერენცირებას: თუ მან მოიხდა სასჯელის ერთი მესამედი და იმ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც იგი სასჯელს იხდის, წარდგენილი იქნა სასჯელისაგან გასანთავისუფლებლად, სასამართლოს შეუძლია განთავისუფლოს ასეთი პირი.

საბჭოთა მთავრობის ეს ჰუმანიტური აქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენში იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ნებით ან უნებლიედ ვახდენ დამნაშავენი, მაგრამ სასჯელის მოხდის პერიოდში პატიოსან ადამიანთა რიგებში ჩადგომის მისწრაფება გამოავლინეს.

ახალგაზრდობის მიმართ კანონით გათვალისწინებული ამ შეღავათებისაგან განსხვავებით, საფუძვლების 44 — ე მუხლში მოცემულია ერთგვარი შეზღუდვა სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებასა და შეფარდებული სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის საკითხში იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული სრულწლოვანობის ასაკში ჩაიდინეს, სახელდობრ, ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ ვრცელდება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ. კანონს ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უდაოდ მხედველობაში



აქვს ის გამოუსწორებელი ელემენტები, რომლებიც ორგზის და მეტჯერ მსჯავრდადებულნი არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედობისათვის. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება განსაზღვრული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ სასჯელის მოხდის ნაწილში შეღავათების გამოყენებაზე უარისთქმა, რაც ახალი კანონით არის დაწესებული, ნაკარნახევია ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ინტერესებით და ხელს შეუწყობს დანაშაულის მკვეთრად შემცირებას.

არსებული წესის მიხედვით სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ საქმეებს იხილავს სახალხო სასამართლო ან ზემდგომი სასამართლო. სასამართლო სხდომაზე პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია; მან უნდა მისცეს სასამართლოს დასკვნა მსჯავრდადებულის განთავისუფლების ან განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ. სხდომას ესწრება აგრეთვე იმ ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომლის გამგებლობაში იმყოფება მსჯავრდადებული; იგი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დაახსიათოს მსჯავრდადებული. სასამართლოს სხდომაზე გამოძახებული უნდა იქნეს აგრეთვე მსჯავრდადებული, რომელსაც უფლება აქვს ცალკეულ საკითხებზე ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს.

სასამართლოს დადგენილება ამგვარ საქმეებზე საბოლოოა და კასაციის წესით ვაპროტესტებას ან ვასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაგრამ სასამართლოს არასწორი დადგენილება შეიძლება ვაპროტესტებული იქნეს ზედამხედველობის წესით.

სასამართლოს მიერ გამოტანილი არასწორი დადგენილების შეჩერება და 2. საბჭოთა სამართალი.

მისი დაუყოვნებლივ გაპროტესტება დაკისრებული აქვს ზედამხედველ პროკურორს. პროკურორის გარდა, თვით მსჯავრდადებულს, რომელსაც უარი ეთქვა სასამართლოს მიერ სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებაზე, უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს ან სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას. დაბოლოს, თვით იმ ადმინისტრაციას, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება მსჯავრდადებული, შეუძლია სათანადოდ დასაბუთებული წარდგინებით მიმართოს ზემდგომ პროკურორს ან სასამართლოს, იმ მიზნით, რომ გადაისინჯოს სასამართლოს დადგენილება, რომლითაც უარი ეთქვა მსჯავრდადებულს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე ანდა მსჯავრდადებული განთავისუფლებული იქნა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი წარდგინებანი საქართველოს სსრ პროკურატურაში იშვიათად შემოდის, თუმცა სასამართლოების მიერ ზოგჯერ ადგილი აქვს კანონის დარღვევის შემთხვევებს.

სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ საქმეებს სასამართლოში განსახილველად წარადგენს თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაცია, რადგან ყველაზე უფრო თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციისათვის არის ცნობილი, თუ რომელი მსჯავრდადებული დაადგა გამოსწორების გზას და იმსახურებს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებას ან მის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით.

ამ შემთხვევაში სასამართლოს ეგზავნება მსჯავრდადებულის პირადი საქმე, დაახსიათება, სათანადოდ დასაბუთებული წარდგინება და სხვა საჭირო საბუთები.

ამ წესით საქმეების განსახილველად წარდგენისას და სასამართლოს მიერ



საქმის განხილვისას ადგილი არ უნდა ექნეს აჩქარებას, რადგან ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს კანონის სწორად განხორციელების საქმეს.

საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მსჯავრდადებული ჩ. ნ. გიოგვის საქმე, რომელსაც მიმდინარე წლის 10 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ უარი ეთქვა სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე.

სსკ 114 მუხლით გიოგვს მისჯილი აქვს ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საპატიმროდან იგი შრომა-გასწორების კოლონიაში ახლად გადმოყვანილი იყო. ამის გამო მას შრომით საქმიანობაში მონაწილეობა არ მიუღია დ შრომადღებების ჩათვლებიდან არ ჰქონია. ადმინისტრაციის მხრივ საჭირო იყო გიოგვისადმი ერთგვარი დაკვირვება, რათა გასაგები ყოფილიყო თუ როგორ მიიღებდა იგი მონაწილეობას შრომით საქმიანობაში. იმ ქვეგანყოფილების ადმინისტრაციამ კი, სადაც გიოგვი სასჯელს იხდის, ამ მნიშვნელოვან მხარეს, რომელსაც პატიმრის შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ყურადღება არ მიაქცია და გიოგვი კოლონიაში შემოსვლისთანავე წარადგინა სასჯელისაგან ვადამდე პირობით გასანთავისუფლებლად, რაც რა თქმა უნდა, არ იყო დასაბუთებული. აქედან გამომდინარე, სწორად მოიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, როცა გიოგვს უარი უთხრა სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე.

სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულისათვის ვადამდე განთავისუფლებაზე ერთხელ უარის თქმა არ არის სამუდამო. არსებული წესის მიხედვით მსჯავრდადებული, რომელიც სასჯელს იხდის

შედარებით მსუბუქი ხასიათის დანაშაულისათვის და რომელსაც სასამართლომ ამათუიმ მოტივით უარი უთხრა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებაზე, ხელმეორედ შეიძლება წარდგენილი იქნეს 6 თვის შემდეგ, ხოლო ის პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფოებრივი ან სხვა მძიმე დანაშაულისათვის—ერთი წლის შემდეგ.

სასამართლოს დადგენილება მსჯავრდადებულის სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

ამას წინააღმდეგ თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ს. მილორავა) განიხილა საქმეები პატიმართა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ. საქართველოს სსრ პროკურატურამ ამ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოარკვია, რომ დადგენილებები პატიმართა ვადამდე პირობით განთავისუფლების ან განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, რომლებიც მოსამართლე ს. მილორავას მიერ იყო გამოტანილი არ არის დასაბუთებული. მათში არ არის მოცემული, თუ როდინი იხდის სასჯელს პატიმარი და ფაქტურად რამდენი წელი, თვე და დღე მოიხდა, რამდენი შრომადღე გამოიმუშავა, აქვს თუ არა რეჟიმის დარღვევები და რა ხასიათისა, მოეხსნა თუ არა დისციპლინალური სასჯელები, რომლებიც რეჟიმის დარღვევისათვის დაედო მსჯავრდადებულს და მთელი რიგი სხვა მონაცემები, რომლებიც საჭიროა აღინიშნოს დადგენილებაში იმის დასაბუთებლად, რომ მოცემული პირი სასჯელის მოხდის პერიოდში გამოსწორდა და ნამდვილად იმსახურებს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებას ან შეფარდებული სასჯელის შეცვ-

ლას უფრო მსუბუქი სასჯელის ღონისძიებით.

მოსამართლე ს. მილორავა, მიუხედავად იმისა, რომ მას შრომა-გასწორებით კოლონიის ადმინისტრაციისაგან მიღებული ჰქონდა ყველა საჭირო მასალები, ამ საქმეების განხილვას მოეციდა ზერელედ, რის შედეგად მისი დადგენილებები თითქმის ყველა საქმეზე სქემატურადაა შედგენილი. ასე მაგალითად, დადგენილებაში, რომლითაც პატიმარი ტ. ს. მარჩენკო სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებულია, აღნიშნულია: „სასამართლომ პოვა (?) მარჩენკოს მისჯილი აქვს ორი წელი თ/აღკვეთა უპასპორტობაზე (?) ნახევარზე მეტი სასჯელი მოხდილი აქვს, კოლონიის ადმინისტრაცია ახასიათებს კარგად და შუამდგომლობენ ვადაზე ადრე განთავისუფლებას. სასამართლომ დაადგინა მარჩენკო ტ. ს. პატიმრობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლდეს პირობით“ (ტექსტი დაცულია—ა. ნ.).

სასამართლოს მიერ შედგენილი ასეთი მოკლე და უშინაარსო ტექსტი, რა თქმა უნდა, არავითარ მონაცემებს არ იძლევა, რომ მარჩენკო მართლაც გამოსწორდა.

სასამართლოებისათვის მინიჭებული უფლება გარკვეული მონაცემების არსებობისას გაანთავისუფლოს ან უარი უთხრას მსჯავრდადებულს სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებაზე, არ შეიძლება არასწორად იქნეს გამოყენებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება უარი უთხრას მსჯავრდადებულს გამოგონილი მოტივებით. ასე მოიქცა, მაგალითად, ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. იოსავა, რომელმაც სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე უარი უთხრა პატიმარ შ. მ. დიასამიძეს იმ მოტივით, რომ

ამ უკანასკნელმა საქმის განხილვის დროს თავი არ იცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რომლისთვისაც იგი სასჯელს იხდიდა. დიასამიძეს ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 13 ნოემბრის განაჩენით სსკ 19-142 მუხლის საფუძველზე მისჯილი ჰქონდა 2 წლით; 2 თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდიდა ქალთა შრომა-გასწორების კოლონიაში, ყოველთვიურ საწარმოო გეგმას ასრულებდა 140 პროცენტით, მოხდილი ჰქონდა კალენდარულად ერთი წელი და 6 თვე პატიმრობა, რაც შეფარდებული სასჯელის ნახევარზე მეტს შეადგენს. სამუშაო გეგმის გადაჭარბებით შესრულების შედეგად გამოიმუშავებული ჰქონდა 273 შრომადღის ჩათვლა. სასჯელის მოხდის პერიოდში მის მიერ არ ჰქონია ადგილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევას და ადმინისტრაცია ახასიათებს კარგად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ პროკურატურამ შედამხედველობის წესით გააპროტესტა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილება დიასამიძის საქმეზე; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს დადგენილება და დიასამიძე პატიმრობიდან ვადამდე პირობით გაანთავისუფლა.

საქართველოს სსრ პროკურორის მიერ ასევე იქნა გაპროტესტებული ამავე სასამართლოს 1959 წლის 7 იანვრის დადგენილება პატიმარ ლ. შ. მანაშეროვის მიმართ, რომელსაც სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მანაშეროვი გასამართლებულია სპეკულაციისათვის და მის მიერ მოხდილი 2 წლის პატიმრობა სასამართლომ არასაკმარის

სად მიიჩნია, აგრეთვე ვინაიდან მას სასჯელის მოხდის დროს შეეფარდა ამნისტია და გაეყო მოსახდელად დარჩენილი სასჯელი, განმეორებით შეღავათის გავრცელება აუცილებელი არ არისო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიმდინარე წლის 20 თებერვლის დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მანაშეროვი კოლონიაში მოთავსებისთანავე მიუხედავად ინვალიდობისა, ჩაება შრომით საქმიანობაში, კალენდარულად მოიხადა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ნახევარზე მეტი, აქვს 323 შრომადღის ჩათვლა, ხასიათდება კარგად, გამოცხადებული აქვს მაღლობები. ის გარემოება, რომ მას სასჯელის მოხდის დროს ამნისტიით გაეყო მოსახდელად დარჩენილი სასჯელი და რომ მანაშეროვის მიერ სპეკულაციისათვის ფაქტიურად მოხდილი 2 წლის პატიმრობა არ იყო საკმარისი მისი გამოსწორებისათვის, დასაბუთებული არ არის. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა და მანაშეროვი ვადამდე პირობით გაანთავისუფლა.

არის შემთხვევები, როცა სასამართლო წარმოებაში არ ღებულობს მსჯავრდადებულის საქმეს იმ მოტივით, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილი მას დაფარული არა აქვს შრომადღეების ჩათვლებით. ასე მოიქცა, მაგალითად, სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლო მსჯავრდადებული შ. მ. ბადაკაშვილის და სხვათა მიმართ, თუმცა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე აუცილებელი არ არის, რომ მსჯავრდადებულს გამომუშავებული ჰქონდეს ჩათვლების სახით იმდენი შრომადღე, რამდენიც საჭიროა მოუხდელი სასჯელის დასაფარავად.


საფუძვლების 44-45-ე მუხლების ში-

ნაარსიდან გამომდინარე სასამართლოს უარი მსჯავრდადებულის სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებაზე მაშინ იქნება დასაბუთებული, როცა მას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მონაცემები არ მეტყველებენ მსჯავრდადებულის გამოსწორებაზე, როცა მსჯავრდადებულს აქვს რეჟიმის უხეში დარღვევები, იგი გაურბოდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა სწავლასა და პროფესიის ათვისებას და სხვ., რაც უნდა დასტურდებოდეს პირად საქმეში არსებული სათანადო საბუთებით; აგრეთვე მაშინ, როცა არსებობს იმის უღაო მონაცემები, რომ მსჯავრდადებული განთავისუფლების შემთხვევაში კვლავ ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

აქედან გამომდინარე სწორად მოიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, როცა პატიმრობიდან ვადამდე პირობით განთავისუფლებაზე უარი უთხრა შ. რ. ქვლივიძეს, რომელსაც თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ქურდობისათვის 6 წელი ქონდა მისჯილი, მიუხედავად იმისა, რომ ქვლივიძეს საქმის განხილვის დროს სასჯელის ნახევარი კალენდარულად მოხდილი ჰქონდა.

საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ ქვლივიძე ადრე გასამართლებული ყოფილა ხულიგნობისათვის. იმ ქვეგანყოფილების ადმინისტრაციის მიერ, სადაც იგი სასჯელს იხდის, გამოცხადებული აქვს რამდენიმე საყვედური რეჟიმის უხეში დარღვევისათვის, არაერთხელ ყოფილა შენიშნული აზარტულ თამაშში, რაზედაც შედგენილია სათანადო აქტები.

პატიმართა შრომადღეების ჩათვლის წესით ვადამდე განთავისუფლების უარყოფა როდი ნიშნავს იმას, რომ მათი ვადამდე განთავისუფლების საქმეში შრომადღეების გამომუშავების რაო-



დენობას, სამუშაო გეგმის გადაჭარბებით და მის ხარისხიანად შესრულებას ყურადღება არ ექცევა. პირიქით, იგი ამჟამადაც რჩება ძირითად პირობად სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების ან შეფარდებული სასჯელის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის საქმეში.

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ იმ ფაქტს, რომ თავისუფლების აღკვეთის აღვილების ადმინისტრაციას დავალებული აქვს ყოველ შემთხვევაში წარადგინოს სასჯელისაგან ვადამდე გასანთავისუფლებლად პირები, რომლებმაც არსებული წესის შესაბამისად მოიხადეს სასჯელის ერთი მესამედი, ნახევარი ან ორი მესამედი, ხოლო მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა გამოღუშევაებული შრომადღებების ჩათვლებით დაფარეს. სასამართლოები, რომლებიც იხილავენ ასეთ მუყაით მსჯავრდადებულთა საქმეებს, უდაოდ ანგარიშს გაუწევენ მათ შრომით მონაცემებს და განთავისუფლებენ მათ ვადამდე პირობით მოსახდელად დარჩენილი სასჯელისაგან ან შეუცვლიან უფრო მსუბუქი სასჯელის ღონისძიებით, თუ სხვა რამ დამაბრკოლებელი მონაცემები არ არსებობენ.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სასამართლოები მსჯავრდადებულთა ვადამდე განთავისუფლების დროს არ იყენებენ საფუძვლების 44-45-ე მუხლებში გათვალისწინებულ განთავისუფლების სხვადასხვა სახეებს და მსჯავრდადებულს უმეტეს შემთხვევაში სასჯელისაგან მხოლოდ ვადამდე პირობით ანთავისუფლებენ. მაშინ როდესაც კანონში მოცემულია სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლება არასრულწლოვან მსჯავრდადებულების მიმართ და აგრეთვე შეფარდებული სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელის ღონისძიებით.

იმას, თუ რა მოტივით არის განთავისუფლებული მსჯავრდადებული მოსახდელად დარჩენილი სასჯელისაგან, არსებითი მნიშვნელობა აქვს მსჯავრდადებულის შემდგომი ცხოვრებისათვის.

ვადამდე პირობით განთავისუფლების დროს, თუ მსჯავრდადებული სასჯელის იმ მოუხდელ ვადაში, რაც სასამართლომ მას პირობით შეუცვალა, ახალ დანაშაულს ჩაიდენს, საფუძვლების 36-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რომლისგანაც იგი ადრე პირობით ვადამდე განთავისუფლდა.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი, როცა სასამართლო მსჯავრდადებულს მოუხდელ სასჯელს, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთას უცვლის სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის ღონისძიებით, როგორცაა, მაგალითად, გამასწორებელი მუშაობა. ამ შემთხვევაში არ შეიძლება დადგეს ისეთი შედეგი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. პატიმრის განთავისუფლება მოსახდელად დარჩენილი სასჯელისაგან ამ შემთხვევაში ხდება არა პირობით, არამედ სასჯელის შეცვლით უფრო მსუბუქი ღონისძიებით, რომლის კეთილსინდისიერად მოხდის შემდეგ მსჯავრდადებული თავისუფლება ყოველგვარი სასჯელისაგან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში ჩამოყალიბებული ინსტიტუტი სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ მოწმობს ჩვენი კანონმდებლობის ჰუმანურობას, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვას დამნაშავეთა გამოსწორებისა და მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმის საქმეზე.

კოლმეურნეოებეგიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დაგაცხადებისა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურებანი.

რ. ზოდოვსკი,

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის
სახალხო მოსამართლე

კოლმეურნე გლეხობის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისა და განმტკიცების საქმეში საგამომძიებლო ორგანოებს ევალებათ ეფექტური ბრძოლის წარმოება იმ პირობითა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ საკოლმეურნეო საკუთრებას. ასეთ კატეგორიის საქმეებზე დანაშაულის გახსნა და დამნაშავეთა გამომჟღავნება ბევრად და ამოკიდებული პირველად საგამომძიებლო მოქმედებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. მაგრამ საგამომძიებლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც არათუ პირველად ჩატარებულმა საგამომძიებლო მოქმედებებმა, არამედ მთლიანად გამოძიებამ დადებითი შედეგი ვერ მისცა იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმე დიდი დაგვიანებით იქნა აღძვრილი. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით საგამომძიებლო ორგანოების გადაუდებელი მოვალეობაა პირველადი მასალების სრულყოფილად შესწავლა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ დადგენილების დროულად გამოტანა.

კოლმეურნეოებეგიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დატაცების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის საფუძველს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის აქტი, ან კოლმე-

ურნეებიდან შემოსული წერილობითი განცხადებანი. მათი მიღებისთანავე საგამომძიებლო ორგანოში იწყება მუშაობა შემოსული მასალის შესაფასებლად, თუ რამდენად საკმარისია ისინი სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად.

ამასთან დაკავშირებით შევჩერდებით ორ საყურადღებო საკითხზე: სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველებისა და პირველადი მასალების შემოწმების საშუალებათა საკითხებზე.

კოლმეურნეოებეგიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დატაცების საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის საფუძველად მიჩნეული უნდა იქნეს ისეთი ქმედობანი, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ეს რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ თუ კი შემოსულ განცხადებაში კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, საფუძველი არ იყოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის.

საგამომძიებლო პრაქტიკაში კი ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც საგამომძიებლო დარგის მუშაკები, რომლებსაც საკმაო საფუძველი გააჩნიათ სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად, აყოვნებენ ან სრულებით არ აღძრავენ საქმეს იმ საბაზით, რომ სარევიზიო კომისიის აქტში ან ცალკეულ მო-

ქალაქეთა განცხადებებში არ ხედავენ დანაშაულის შემადგენელ ნიშნებს. ამის შესახებ საეხსებო მართებულად სწერს პროფესორი რ. დ. რახუნოვი, რომ სსსკ 96-ე მუხლის მოთხოვნა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ განმცხადებელი ვალდებული იყოს იურიდიულად სწორად ჩამოაყალიბოს განცხადება; ზოგჯერ შესაძლებელია განცხადებაში გარკვეულად იყოს აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა, სინამდვილეში კი მოქმედება არ შეიცავდეს დანაშაულის ნიშანს და პირიქით, განცხადებაში შეიძლება არ იყოს მითითებული დანაშაულის შემადგენლობაზე მაშინ, როდესაც სინამდვილეში მოქმედება, რის გამოც შეტანილია საჩივარი წარმოადგენს დანაშაულს.¹

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების ერთერთ საპატიო ამოცანას წარმოადგენს ის, რომ უსაფუძვლოდ არცერთი საბჭოთა მოქალაქე არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სისხლის სამართლის საქმის დროულად და საფუძვლიანად აღძვრა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის რეპრესიის სიზუსტეს და სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანათა შესრულებას სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამაში გამოიხატება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, პროცესის პირველი სტადიის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.


საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად საფუძვლიანია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მოითხოვს შემოსული პირველადი მასალის ყოველმხრივ შემოწმებას, ამიტომ კოლმეურნეთა განცხადებებთან ერთად ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი კოლმეურნეობის

სარევიზიო კომისიის აქტებიც, ვინაიდან სარევიზიო კომისიის წევრები რიგითი კოლმეურნეებია, რომლებიც ზოგჯერ საკმაოდ ვერ ერკვევიან საანგარიშო ოპერაციებში, რის გამოც გამოირიცხული არ არის მცდარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პირველადი მასალის წინასწარი შემოწმების სტადიაში უნდა იქნეს აუცილებლად დადგენილი ყველა ის გარემოებანი, რითაც მთლიანად უნდა დადასტურდეს და გაიხსნას დანაშაულებრივი ქმედობა.

თვითეული კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, საჭიროა წინასწარი შემოწმების წესით გამოირკვეს მხოლოდ ის გარემოებანი, რაც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დამადასტურებელი გახდება. ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები გაურბიან რა სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლო აღძვრას, პირველად მასალებში მოხსენებულ გარემოებათა დადგენის მიზნით ატარებენ ზოგიერთ საგამომძიებლო მოქმედებას, როგორცაა დაკითხვა, ჩხრეკა, დაპირისპირება და სხვ. ასეთ შემთხვევაში წინასაგამომძიებლო შემოწმება ღებულობს წინასწარი გამოძიების ხასიათს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინასაგამომძიებლო შემოწმება დანაშაულის არსებობის დადგენის ერთერთი საშუალებაა, იგი უნდა ხორციელდებოდეს ისეთი გზით, როგორცაა: შეკითხვა, საჭირო მასალის გამოთხოვა, პროკურორის საუბარი იმ პირებთან, რომლებსაც შეეძლება განმარტონ საქმის ფაქტიური გარემოებანი და სხვ.

პროფესორი ს. ა. გოლუნსკი წინასაგამომძიებლო შემოწმებასა და წინასწარ გამოძიებას შორის განსხვავების საკითხის განხილვისას აღნიშნავდა, რომ „წინასაგამომძიებლო შემოწმების დროს

1. Р. Д. Рахунов. Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе, 1954 г.



შესაძლებელია შეკითხვა მიეცეს ყველას, ვინც არ უნდა იყოს ის, მაგრამ დაუშვებელია მისი იძულებით მოყვანა ან პასუხისგებაში მიცემა ჩვენებაზე უარის თქმისათვის. შეიძლება შეგროვილი იქნას საჭირო საბუთები, მაგრამ დაუშვებელია ჩხრეკის მოხდენა საბუთების ამოღების მიზნით; შეიძლება გაისინჯოს ესა თუ ის ობიექტი, მაგრამ დაუშვებელია ამა თუ იმ პირის იძულებითი წესით შემოწმება და ა. შ. ყველა ამ იძულებითი ხასიათის მოქმედების შესრულების უფლება საგამომძიებლო ორგანოებს მიეცემათ მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ისინი გამოიტანენ დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ¹.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამომძიებლის მიერ მისი წარმოებაში მიღების შემდეგ გამომძიებელი ვალდებულია შეადგინოს გამომძიების გეგმა, რომელშიაც მოცემული იქნება პირველადი გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედებათა ჩამოთვლა და ყველა ის შესაძლო ვერსია, რომლის შემოწმებაც აუცილებელია დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირთა გამოძიებასათვის.

საგამომძიებლო მოქმედებათა მომზადება და ჩატარება მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული გამომძიების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე დამუშავებული კერძო მეთოდების მითითებებით, რითაც არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება არც პირველადი გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედებათა არე და არც მათი ჩატარების თანმიმდევრობა. გამომძიებლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მან თვითეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით შემოქმედებითად გამოიყენოს ეს მითითებანი.

საქმის ეფექტურად გამოძიება უზრუნველყოფილი არ იქნება მარტო წერილობითი გეგმის შედგენით. მთავარი ისაა, რომ თვითეული საგამომძიებლო მოქმედება დაგეგმილი იქნეს მისი ჩატარების დროის, ადგილისა და ტაქტიკის მხედველობაში მიღებით.


გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამომძიების გეგმის შედგენისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დატაცების შემთხვევაში, გამომძიებელი წინასწარ უნდა იქნეს გარკვეული იმ კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში, სადაც ადგილი აქვს დატაცების ფაქტს.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. არზუმანიანი, გადმოგვცემს რა სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცების გამომძიების მეთოდების ზოგად დებულებებს, აღნიშნავს, რომ „თუ კი გამომძიებელს ექნება მონაცემები ორგანიზაციის ცალკეულ ნაწილთა სტრუქტურაზე, საქმიანობის ხასიათზე, ფუნქციებზე, ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობებზე, აღრიცხვისა და ანგარიშგების თავისებურებათა ცოდნაზე, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მას აირჩიოს დანაშაულის გახსნის სწორი გზა და შეადგინოს გამომძიების გეგმა“².

აღნიშნული მოსაზრება უდაოთ სწორია, რადგან საგამომძიებლო პრაქტიკაში კოლმეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დატაცების საქმეებზე, ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამომძიებელი ვერ გაერკვა რა წინასწარ სამეურნეო ოპერაციის ხასიათში, კოლმეურნეობის ცალკეულ თანამდებობის პირთა უფლებამოვალეობაში, გამომძიების გეგმის შედგენისას მხედველობიდან გაუშვა ისეთი საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარე-

1. С. А. Голунский. Возбуждение уголовного преследования: «Социалистическая законность». 1934 г. № 2.

2. Настольная книга следователя, Изд. Москвы 1945 г., стр. 632.



ბა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ქონდა დანაშაულის გახსნისათვის.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ასპინძის რაიპროკურატურის მიერ გამოძიებული საქმე ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლ-ს მიერ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დატაცების შესახებ. გამოძიებლის მიერ მიღებული პირველადი მასალები ცხადყოფენ, რომ ლ-ს რაისამომხმარებლო კავშირიდან მიღებული ქონდა კოლმეურნეობის ფულადი დავალიანების ანგარიშში სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მაგრამ ეს პროდუქცია გატარებული არ ყოფილა შემოსავალში. გამოძიებელმა არ შეისწავლა საწყობის მიერ პროდუქციის მიღებისა და გაცემის სამეურნეო ოპერაციის ხასიათი; შედგენილი გამოძიების გეგმით ჩაატარა მხოლოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მეკუჭნავის დაკითხვა, რის შედეგადაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საწყობში პროდუქცია მიღებული იქნა, შემოსავალში კი არ გაუტარებიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ თითქოს აჩქარების გამო (პროდუქცია იქვე დაურიგდათ კოლმეურნეებს გასული წლის დავალიანების ანგარიშში) დაავიწყდათ გაფორმება. მასშავადმე, საქმე უნდა მოსპობილიყო წარმოებით, მაგრამ პროკურორის მიერ ჩატარებული დამატებითი შემოწმებით დადგინდა, რომ ლ-ს რაისამომხმარებლო კავშირიდან მიღებული პროდუქცია მიუთვისებია.

ყოველივე ამის დადგენა იმით გახდა შესაძლებელი, რომ ამჯერად გამოძიებელი, ვიდრე გამოძიების გეგმას შეადგენდა და ჩატარებდა საგამომძიებლო მოქმედებებს, გაეცნო მისთვის საინტერესო სამეურნეო ოპერაციების ხასიათს, საბუთების გაფორმების წესს და სხვ.

დანაშაულის გამოძიების დაგეგმვის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა და-

ტაცების საშუალებათა ხერხებისა და დამნაშავე პირთა გამოძიების ვერსიის შედგენა და მათი შემოწმება. „გამომძიებელმა ძიების გეგმის შედგენისას — ამბობს პროფესორი ს. ა. გოლუნსკი, — უნდა აიღოს მოცემული დანაშაულის არა ყველა შესაძლებელი თეორიული განმარტება, არამედ მხოლოდ ის, რაც გამომდინარეობს მის განკარგულებაში არსებული ფაქტიური მონაცემებიდან და რაც ამ ფაქტების გათვალისწინებით, პრაქტიკულად შესაძლებელია“.¹

გამომძიებელმა რომ სწორად განსაზღვროს საქმის ყველა შესაძლო ვერსია, ფაქტიური მასალების ცოდნასთან ერთად, რაც მას გააჩნია გამოძიების დასაწყისში, საჭიროა იმ კონკრეტული სამეურნეო ოპერაციების სპეციფიკის ცოდნაც, რომლის ჩატარების დროსაც ჩადენილია დატაცება.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს გარემოება კარგად სჩანს შემდეგი მაგალითიდან:

სავარჯჯოს რაიპროკურატურაში აღიძრა საქმე ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფელი ენისელი) 5.600 დეკალიტრი ღვინის დატაცების შესახებ. ეს საქმე მოკლე ვადაში იქნა დამთავრებული, რადგან სწორად იყო აღებული ვერსიები და შერჩეული ყველსზე უფრო ქმედითი საგამომძიებლო მოქმედებანი. გამოძიებელი გარკვეული იყო, თუ როგორი ხასიათის ოპერაცია ტარდება კოლმეურნეობაში ღვინის მიღებისას, ასევე რა უფლებები და მოვალეობანი ეკისრებათ ცალკეულ თანამდებობის პირთ ამ ოპერაციის ჩატარებისას და სხვ. გამოძიებელმა ძიება წარმართა ორი შესაძლო ვერსიის შესამოწმებლად.

1) დატაცება ჩადენილი აქვს მეკუჭნავეს, საწყობში შემოსული პროდუქ-

¹ С. А. Голунский. Планирование расследования. «Советская юстиция». 1934 г. № 14.

ციის შემოსავალში გაუტარებლობის გზით.

2) დატაცება ჩადენილი აქვს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ფიქტიური განმკარგულებელი საბუთის შედგენის გზით.

შეიტანა რა ეს ორივე ვერსია ძიების გეგმაში, გამომძიებელი შეუღღ, მათ ერთდროულად შემოწმებას: ამოიღო და შეამოწმა ღვინის შემოსავალში აღებისა და გაცემის ყველა საბუთი და კოლმეურნეობის გამგეობის ყველა განმკარგულებელი საბუთი.

გამომძიებელმა აღმოაჩინა გაყვების განმკარგულებელი საბუთი 5.600 დეკალიტრი ღვინის გაცემის შესახებ. ამ საბუთის შესწავლის დროს მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საბუთში არ იყო აღნიშნული თუ რა საჭიროებისათვის იქნა გაცემული 5.600 დეკალიტრი ღვინო.

გამომძიებელმა იცოდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთადერთი პირი იქნება, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება გასცეს განმკარგულება საწყობიდან პროდუქციის გაცემის შესახებ. მან დაკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და დაადგინა, რომ ღვინო გაგზავნილი ყოფილა რიგაში გასაყიდად. ამ გარემოების დადგენით პირველი ვერსია მოიხსნა და შემდგომი საგამომძიებლო ღონისძიებანი წარმართა მეორე ვერსიის შესამოწმებლად. ამასთან დაკავშირებით გამომძიებლის წინაშე წარმოიშვა მთელი რიგი ახალი დასადგენი საკითხები, რაც გამომძიების გეგმაში იქნა შეტანილი:

1) რიგაში გაგზავნილი ღვინის ფაქტიური ოდენობა.

2) რიგაში ღვინის საბაზრო ფასი.

3) კოლმეურნეობის ბუხჩალტერის მიერ ღვინის გაყიდვის ოპერაციის წარმოების წესი.

ამ საკითხების გამოსარკვევად საჭირო შეიქმნა შემდეგ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება: უდანოვის სახე-

ლობის კოლმეურნეობიდან რიგაში ღვინის გაგზავნისას რკინიგზის ზედნადების ამოღება და შემოწმება, მზიდავთა დაკითხვა, საბუხჩალტრო და სალაროს საბუთების შემოწმება, ნაღდი ფულის შემოსავლის დაზუსტება, კოლმეურნეობის ბუხჩალტრის, თავმჯდომარისა და სოფლის საფოსტო განყოფილების უფროსის დაკითხვა რიგის ბაზარზე გაყიდული ღვინის შემოსული ფულადი თანხის გადარიცხვის დროს შესახებ.

გარდა ამისა, გამომძიებელმა საჭიროდ სცნო ეთხოვა რიგის პროკურატურისათვის დაეზუსტებინათ ღვინის საბაზრო ფასი. ხსენებულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ უდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ რიგაში ფაქტიურად გააგზავნა არა 5.600 დეკალიტრი ღვინო, როგორც ეს აღნიშნული იყო საბუხჩალტრო საბუთებში, არამედ 4.000 დეკალიტრი.

სინამდვილეში ერთი ლიტრი ღვინო იყიდებოდა 14-17 მანეთად და არა 8 მანეთად, როგორც ეს რეგისტრირებულია საბუხჩალტრო წიგნებში.

ასეთი მონაცემების შეგროვების შემდეგ გამომძიებელმა შესძლო უმოკლეს ვადაში დაემთავრებინა გამომძიება და დაედგინა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ბუხჩალტერს და რიგაში გაგზავნილ კოლმეურნეებს, დაიტაცა 1.600 დეკალიტრი ღვინო იმ ანგარიშით, რომ რიგაში გასაყიდად გაგზავნილი 4.000 დეკალიტრი ღვინო გაიყიდებოდა ისეთი თანხის ამოღებით, რაც მიიღებოდა 5.600 დეკალიტრი ღვინის გაყიდვისას საქართველოს ბაზარზე.

ამრიგად, საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად გამომძიებისათვის, საჭიროა არა მარტო საგამომძიებლო ვერსიების განსაზღვრა, არამედ იმ საგამომძიებლო მოქმედებათა გათვალისწინებაც, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება, უმოკლეს ვადაში

გაიხსნას დანაშაული და გამომჟღავნდნენ დამნაშავენი.

გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ მის მიერ აგებული ყველა ვერსია მოითხოვს შემოწმებას ძიების მსვლელობაში. ვერსიების შემოწმების რიგითობის საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია სამი სხვადასხვა შეხედულება:

1) ყველა აგებული ვერსია მოწმდება ძიების მსვლელობაში ერთდროულად (პროფ. ს. გოლუნსკი, პროფ. ნ. ჩელცოვი; დოც. ტ. არზუმანიანი, დოც. მ. ევგენიევი და სხვები).

2) პირველად მოწმდება ყველაზე უფრო შესაძლებელი ვერსია (პროფ. რ. დ. რახუნოვი).

3) პირველ რიგში მოწმდება ნაკლებად შესაძლებელი ვერსია (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. კარნოვიჩი).

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ვერსია სააღბათოა და ამიტომ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ დანაშაულის გახსნისათვის რომელი ვერსია გამოდგება. ამის გამო ჩვენის აზრით დაუშვებელია ნაკლებად შესაძლებელი ვერსიის უფრო მოგვიანებით შემოწმება, ვინაიდან გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ ვერსიის შემოწმებით გაიხსნას დანაშაული; ხოლო თუ პირველად მართო ერთი რომელიმე ვერსია შემოწმდება, ადვილად შესაძლებელია იგი არ დადასტურდეს და სხვა ვერსიების შემოწმება კი შეუფერხდება ან შეუძლებელი გახდება იმის გამო, რომ მათი შემოწმება დაგვიანდა. ამ საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ვფიქრობთ ისაა, რომ ერთდროულად და გულდასმით შემოწმდეს ყველა შესაძლებელი ვერსია.

გავეპლიაროთ ბრძოლა სპეკულაციასთან და ვაჭრობის წესების დარღვევითა წინააღმდეგ

ა. შლენტი,

ქ. ქუთაისის პროკურორი

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები თვითეული საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვენ პატიოსან, თავდადებულ შრომას. ამ სამაყო შრომაში ჩაბმული ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს წარმოება-დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მიწდვრებზე.

მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება აქა-იქ ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ჩაებას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არღვევენ საბჭოთა კანონებს. ცდილობენ იცხოვრონ იოლი გზით მიღებული შემოსავლით.


ასეთი კატეგორიის ადამიანთა ერთ-ერთ საშიშ სახეს სპეკულანტები წარმოადგენენ. სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოთა მნიშვნელოვანი საქმეა. ამასთანავე ამ ბრძოლაში უდიდეს როლს თამაშობენ მოსახლეობის ფართო მასები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი.

უკანასკნელ წლებში ქ. ქუთაისში ბრძოლა ამ საშიში სახის დანაშაულის წინააღმდეგ საგრძნობლად გაძლიერდა. პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით სულ უფრო მეტ აქტივობით

ებმება მოსახლეობის დიდი ნაწილი დანაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში; სახალხო რაზმები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ სახელმწიფო ორგანოებს სპეკულანტთა და ვაჭრობის წესების სხვა სახის დამრღვევთა გამოვლინებაში. შედარებით გააუმჯობესეს მუშაობა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა; გაუმჯობესდა გამოძიებულ ხარისხი და განაჩენებიც უფრო სტაბილურია.

მიუხედავად ამისა, სპეკულაციისა და მომხმარებელთა წონა-ზომაში სიმტყუებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ გვხვდება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კადრების შეერჩევისას იჩენს არაუფლისხმიერ დამოკიდებულებას, საკონტროლო-სარევიზიო აპარატი ზოგჯერ ზერელედ ატარებს შემოწმებას, რის გამოც დანაშაულებრივი მოქმედებანი გამოუმკლავნებელი რჩება და სხვ.

ქუთაისის ვაჭრობის რევიზორ-ბუხ-პალატერმა შიო იასონის-ძე გაბუნიამ წარსული წლის 26-დან 30 დეკემბრამდე ჩაატარა რევიზია იმავე სისტემის №89 მაღაზიაში და გამოავლინა მხოლოდ 130 მანეთის დანაკლისი. ხოლო გაბუნიას მიერ რევიზიის ჩატარებიდან 4 დღის შემდეგ დადგინდა, რომ ამ მაღაზიაში იმ პერიოდისათვის დიდი ოდენობით უფაქტურო საქონლის გა-



დამალვას ჰქონდა ადგილი. დამნაშავეები ამჟამად დაპატიმრებულნი და დასჯილნი არიან.

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკაში 1958 წლის დეკემბერს განმეორებით ჩატარებული რევიზიით გამოვლინებული იქნა სახელმწიფო ქონების მტაცებლობისა და სპეკულაციის სერიოზული ფაქტები, რაც ადრე აღმოჩენილი არ ყოფილა.

საკონტროლო-სარევიზიო აპარატის არასათანადო მუშაობის შედეგად ქუთაისის რაიონის რაიკავშირის №1 მაღაზიაში დიდი ხნის მანძილზე დაუსჯელნი რჩებოდნენ ყოფილი მუშაკები ზებულო აბრამის-ძე ციცაპილი და სხვები, რომლებიც თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით ამახინჯებდნენ სამრეწველო საქონლის ფასებს.

ჩვენი კანონმდებლობა არჩევს სპეკულაციის ორ ფორმას — მსხვილ, ანუ კვალიფიციურ სპეკულაციას, რომელიც კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით და წვრილმან სპეკულაციას, გათვალისწინებულს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. განვიხილოთ სპეკულაციის ეს ორი ფორმა.

ქუთაისის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სპეკულაციის საკმეებზე გვიჩვენებს, რომ სპეკულანტებად უმეტეს შემთხვევაში გვევლინებიან პირები, რომლებიც არასად არ მუშაობენ და სპეკულაციის გარდა შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნიათ.

ქუთაისის მცხოვრებნი ნუნუ რომანოვის ასული კუცია და ნადია მათეს ასული დიაკონიძე წლების მანძილზე არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ იწეოდნენ. მათ

მოსკოვიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან ჩამოქონდათ სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი და ყიდდნენ გადიდებულ ფასებში.

ასევე არსად არ მუშაობდა საფარ ლეონტის-ძე ბარდაველიძე, რომელიც ქუთაისის ახლომდებარე რაიონებში ყიდულობდა დიდი ოდენობით დაფნის ფოთოლს, მიჰქონდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და გადიდებულ ფასებში ყიდდა.

ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

სპეკულანტებთან ბრძოლის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული სასამართლოების მიერ სასჯელის ღონისძიებათა სწორად შეფარდებასთან. კვალიფიციური სპეკულანტების მიმართ საჭიროა სასჯელის მკაცრ ღონისძიებათა გამოყენება. ამავე დროს ზუსტად უნდა იქნას გამოყენებული კანონის მოთხოვნა სპეკულანტების მიმართ სასჯელის დამატებითი ღონისძიების ქონების კონფისკაციის შეფარდების შესახებ.

საგამომძიებლო ორგანოების მიერ სპეკულანტების სწრაფად და დროზე მხილებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოპერატიული მუშაობის სწორად წარმართვას. სპეკულანტები ხშირად თავის დანაშაულებრივი მოქმედების შესანიღბავად სხვადასხვა მისამართზე აგზავნიან სპეკულაციის მიზნით შექმნილ საფოსტო გზავნილებს. ამიტომ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მარგალიტა კონსტანტინეს ასულმა ფიროსმანიშვილმა ცხოვრების წყაროდ სპეკულაცია გაიხადა. იგი მოსკოვიდან სისტემატურად გზავნიდა ამანათებს სასპეკულაციოდ სხვადასხვა პირების სახელზე. 1959 წელს 4 ამანათი სამრეწველო საქონლით ხმალაძის, აბულაძის და სხვათა სახელზე იყო გამოგზავნილი.



საგამომცემლო ორგანოების მუშაობის სწორად დაგეგმვის შედეგად დანაშაული აღკვეთილი იქნა და დანაშავე დასჯილი.

პრაქტიკაში გვხვდება სპეკულაციის ისეთი შენიღბული სახე, როცა თანამდებობის პირი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მოვალეობას და სპეკულაციის მიზნით ვაჭრობს გაუფორმებელი საქონლით.

მიხეილ ეგნატეს-ძე ტორაძე მუშაობდა ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ტანსაცმელების ინდივიდუალური სადაკვეთო სამაქროს ბრივადირად. მის საკუთარ სარდაფში (ქირაგნობის ხელშეკრულების საფუძველზე) გახსნილ იქნა № 5 მასიური ტანსაცმელების სამკერვალო სამაქრო, რომლის ბრივადირადაც დაინიშნა აბესალომ ბაქრაძე. ტორაძე და ბაქრაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ქურთიერთს და მასიური სამაქრო საკუთარი შემოსავლის წყაროდ გადააქციეს.

შემოწმების შედეგად ტორაძის სამაქროში აღმოჩენილი იქნა 43.181 მანეთის ღირებულების გადამალული შეკერილი ტანსაცმელი, შარვლები, ხალათები და სხვ., ყოველგვარი ფაქტურისა და გაფორმების გარეშე.

სახალხო სასამართლოს მიერ ტორაძეს და ბაქრაძეს მიმდინარე წლის 20-21 თებრვლის განაჩენით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114—142 მუხლებით ერთობლივად მიესაჯა თვითმკვლელობის აღკვეთა 8—8 წლით. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ბაქრაძეს სასჯელი შეუმცირა 4 წლამდე.

ჩვენის აზრით ასეთ შემთხვევებში, როცა თანამდებობის პირის მოქმედების მიზანს სპეკულაცია წარმოადგენს, თანამდებობრივი დანაშაულისა და სპეკულაციის მუხლების ერთობლივი გამოყენება სწორია და შეესაბამება სა-

კავშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 25 ივნისის № 12/11/უ დადგენილების მოთხოვნას.

ამავე დადგენილების მოთხოვნას შესაბამება და ერთობლივად უნდა იქნას დაკვალიფიცირებული სპეკულაციის კიდევ ერთი შენიღბული სახე—კერძო რეწვა საქონლის გადაყიდვის და მოგების მიღების მიზნით.

პრაქტიკაში აგრეთვე გვხვდება სპეკულაციის ისეთი სახე, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობრივ დანაშაულთან და სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მტაცებლობასთან.

ვალერიან რაყდენის-ძე ხონიაშვილი მუშაობდა ქუთაისის რაიკომპკავშირის სიმონეთის სოფლის კოოპერატივის № 4 მაღაზიის გამგედ. მან 1957-58 წლებში სხვა პირთა ხელის შეწყობით შესძლო ქუთაისის რაიონის სოფლის მობარაგებიდან დაეტაცებია 70 ათასი მანეთის შაბიამანი. მან შაბიამანი ყოველგვარი გაფორმების გარეშე შეიტანა მაღაზიაში და ყიღდა მოგებით.

ვ. ხონიაშვილს სახალხო სასამართლომ ერთობლივად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით და ქონების კონფისკაცია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სპეკულაციის მეორე ფორმას წარმოადგენს ე. წ. წვრილმანი სპეკულაცია. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას საგამომცემლო და სასამართლო ორგანოები არ უნდა ვაცდნენ კანონის მოთხოვნას და ზუსტად დაიცვან საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების დისპოზიცია.

მოკვლევის დროს არის შემთხვევები, როცა მილიციის ორგანოები წვრილმანი სპეკულაციისათვის უდგენენ ოქმებს იმ პირთ, რომლებიც ყიდიან მათ მიერ კუსტარულად დამზადებულ ნივთებს. იმ შემთხვევაში, თუ ნივთი აკრძალული

რეწვის საგანია, საქმე დადგენილი წესით უნდა წარიმართოს და არა როგორც წვრილმანი სპეკულაცია.

ამ საკითხში გაუფებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია წვრილმანი სპეკულაციის საქმეთა გაფორმების დროს მილიციის ორგანოებმა ამოიღონ ნივთმტკიცება და წარუდგინონ სასამართლოებს (გარდა სწრაფფუჭებადი ნივთებისა). ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს თვითონ ნახოს და გადაწყვიტოს, კერძო რეწვის საგანია ესათუის ნივთი, თუ წვრილმანი სპეკულაციის კანონით უნდა იქნას დაკვალიფიცირებული.

პრაქტიკაში გვგვდება წვრილმანი სპეკულაციის განმეორებით ჩადენის შემთხვევები. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით წვრილმან სპეკულაციად ითვლება მცირე რაოდენობის საქონლის შესყიდვა და გაყიდვა მოგების მიზნით, ჩადენილი პირველად; თუ კი ასეთი განმეორებით არის ჩადენილი, მაშინ კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 142 მუხლით.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ რ.ს.ფ.ს.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებას წვრილმანი სპეკულაციის შესახებ. ამ ბრძანებულების მეოთხე მუხლში მითითებულია წვრილმან სპეკულაციაზე „ჩადენილი განმეორებით“. რა უნდა მივიჩნიოთ საფუძვლად წვრილმანი სპეკულაციის განმეორებითად ცნობისათვის — განმეორებით ფაქტიურად ჩადენილი დანაშაული თუ ნსამართლობა. ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში დანაშაულის განმეორებითად ცნობისათვის ფაქტიურად განმეორებით ჩადენილ დანაშაულს სთვლი-

ან, თუ კი სხვა რამ პირდაპირ არ არის მითითებული კანონში.

საჭიროდ მიგვაჩნია ამასთანავე შევეხოთ ერთ საკითხს. ზოგჯერ პრაქტიკაში თავს იჩენს წვრილმანი სპეკულაციის ე. წ. „რეგისტრაცია“. 1959 წლის პირველ ნახევარში ქ. ქუთაისის I და II საკოლმეურნეო ბაზრებში რეგისტრირებულია გაცილებით მეტი მოქალაქე წვრილმან სპეკულაციაზე, ვიდრე გადაცემულია მასალები საგამომძიებლო ორგანოებზე. ჩვენის აზრით ეს ყოველად დაუშვებელი და მავნე პრაქტიკაა.

ამასთან, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ოფიციალურად სთხოვენ ცნობებს ბაზრების დირექციას კონკრეტულ საქმეებზე დასართავად იმის შესახებ, არის თუ არა პიროვნება რეგისტრირებული სპეკულაციისათვის.

ამგვარი მოქმედება ეფექტურობას უკარგავს 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების მოთხოვნას, რომ პიროვნება დაისაჯოს წვრილმანი სპეკულაციისათვის, რომელიც ჩადენილია პირველად. და სწორედ ეს სიტყვა „პირველად“ იკარგება საკოლმეურნეო ბაზრის რეგისტრაციაში, ვინაიდან იქ მოხდენილი რეგისტრაციით შეუძლებელია დადგინო, რა სახისას ან საერთოდ ქონდა თუ არა ადგილი სპეკულაციას.

ნადეჟდა ტერენტის ასულ ბაბაიანს 1958 წლის ივლისში აღმოაჩნდა სასპეკულაციოდ 30 გრამი ვანილი, 46 ცალი ბუზმჭერი და სხვა წვრილმანი. მსგავსი ნივთების გადაყიდვისათვის იგი მანამდე ორჯერ აღმოჩნდა რეგისტრირებული საკოლმეურნეო ბაზარში.

ანა ვასილის ასული ივანოვა დაკავებული იქნა 1958 წლის 2 ნოემბერს, როცა 44 კაპიკად ღირებულ ღვინის ჭიქებს თითო მანეთად ყიდდა (სულ აღ-

მოაჩნდა 9 ცალი ტიქა). მანამდე იგი რეგისტრირებულია № 1 საკოლმეურნეო ბაზარში ლამფის შუშების გადაყიდვისათვის.

როგორც ბაბიანი ისე ივანოვა გასამართლებული იქნენ წვრილმანი სპეკულაციისათვის, მაგრამ „რეგისტრაციაში“ გატარების ნაცვლად, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი უფრო ადრე დასმულიყო, შესაძლებელია უკანასკნელი შემთხვევა თავიდან აგვეცილებინა.

საჭიროა მწვავე ბრძოლა გამოეცხადოთ სპეკულანტებს და თვითნებური ფაქტი გახდეს სათანადო ორგანოების მსჯელობის საგანი. ამავე დროს საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებმა უნდა შესწყვიტონ საკოლმეურნეო ბაზრების ღირექციიდან მსგავსი ცნობების მოთხოვნა, ხოლო რაც შეეხება ამ საკითხზე საეჭვო პირთა რეგისტრაცი-

ებს, იგი უნდა მოახდინოს მილიციის ორგანომ საერთო წესით.

აღსანიშნავია, რომ მსხვილი სპეკულანტების საქმეები იშვიათად განიხილება საჩვენებელ პროცესებზე, ხოლო ზოგჯერ პრესაში გამოქვეყნებული მოკლე ცნობები ვერ ასახავენ ჩანადენის მნიშვნელობასა და შინაარსს.

სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ვალდებული არიან გააძლიერონ ბრძოლა ყველა სახის დანაშაულთა წინააღმდეგ და მათ შორის სპეკულაციასა და ვაჭრობის წესების დარღვევასთან, ამ საქმეში მოსახლეობის ფართო მასებში ჩაბმის გზით. ეს ხელს შეუწყობს ამგვარ დანაშაულთა შემცირებას და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს ჩვენს ქალაქში.

უკროეჯორ და უნაგაიტვორ აუნაგული შენობების თაობაზე აღკვილი ღავების განხილვის საკითხისათვის

მ. ვეზსვაძე,

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარე

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში სახელმწიფო საბინაო მშენებლობასთან ერთად გაიშალა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები დიდ დახმარებას უწევენ ინდივიდუალურ მენაშენებს, როგორც მიწის ნაკვეთების გამოყოფით, ისე საშენი მასალითა და ფულადი კრედიტით.

მიუხედავად ამ გარემოებისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ცალკეული მენაშენები არღვევენ ინდივიდუალურ მშენებლობისათვის დადგენილ წესს, მიტაცებულ მიწის ნაკვეთებზე აშენებენ სახლებს და აგებენ უპროექტო შენობებს დაწესებულ ტექნიკურ დოკუმენტაციის გარეშე, რაც ვნებას აყენებს ჩვენი ქალაქების გეგმიანი განვითარების საქმეს.

ამასთანავე ერთად, ძნელი ხდება გადაწყვეტა იმ დავებისა, რომლებიც ხშირად წარმოიშვება ხოლმე თვითნებურ მენაშენების ოჯახის წევრთა შორის უგვემოდ აგებულ სახლების გაყოფისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების გამო განქორწინებასთან დაკავშირებით ან სხვა რაიმე მიზეზით, აგრეთვე იმ დავების გადაწყვეტა, რომლებიც გამომდინარეობენ უნებართვოდ აშენებულ სახლების მფლობელების მიერ დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებიდან.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო სრულიად არ იღებს ასეთ საჩივლებს თავის წარმოებაში იმ მოტივით, რომ თვით მენაშენეს არა აქვს სათანადოდ გაფორმებული საკუთრების უფლება სადაო შენობაზე, ეს შენობა დასაშლელია და სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს დავა ასეთი ნაგებობით სარგებლობის ან საკუთრების უფლების შესახებ.

ამის საწინააღმდეგოდ, რიგი სასამართლოები ასეთ დავებს იხილავენ და გამოაქვთ გადაწყვეტილება არსებითად. ვინაიდან არ არსებობს ერთგვარი პრაქტიკა სასამართლოების მიერ ასეთ კატეგორიის დავების განხილვის და გადაწყვეტის დროს საჭიროდ მიგვაჩინა შეტანილი იქნას გარკვეულობა ამ საკითხში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილებით—„საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ დაწესებულია, რომ ყოველი დაწყებული ნაგებობა, რომლის მშენებლობისათვის არ არსებობს ნებართვა და დამტკიცებული პროექტი დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს აღმასკომის განკარგულებით.



იმავე დადგენილების მე-10 და მე-11 მუხლები ითვალისწინებენ, რომ მშრომელთა დებუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ გააფორმონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა იმ თვითნებურ მენაშენეებისათვის, რომლებმაც კაპიტალური ნაგებობანი ამ დადგენილების გამოცემამდე ააშენეს, თუ ეს ნაგებობანი ქალაქის განაშენიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ და მილიციამ უნდა გასცეს ამ სახლებისათვის საბინაო დავთრები და ჩაწერონ ამ სახლებში მცხოვრები მოქალაქენი. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში მენაშენეები სარგებლობენ სახლის მფლობელის ყველა უფლებით.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მინისტრთა საბჭოს აღნიშნულ დადგენილების გამოცემამდე თვითნებურად აგებული შენობები არ აკმაყოფილებენ მე-10 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს და ექვემდებარებიან დაშლას, ამ მენაშენეებს შეიძლება მიეცეთ დროებითი საბინაო დავთრები.

თუ გავითვალისწინებთ ყველა აღნიშნულ გარემოებას მივალთ იმ დასკვნამდე, რომ

ა) სასამართლოებმა უნდა მიიღონ თავის წარმოებაში და განიხილონ სასარჩელო წესით ყოველივე დავა რო-

გორც საკუთრების, ისე სარგებლობის უფლების შესახებ, იმ უნებართვოდ აგებულ კაპიტალურ სახლების გამო, რომლებიც დამთავრებულია 1956 წლის 27 ივლისამდე, შემდეგ სათანადო წესით აღრიცხულია საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ და დანგრევას არ ექვემდებარებიან.

ბ) სასამართლოებმა უნდა განიხილონ ყოველივე დავა, რაც შეეხება 1956 წლის 27 ივლისამდე, თვითნებურად აშენებული სადგომებით სარგებლობის უფლებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს სახლები ექვემდებარებიან დაშლას, თუ თვითნებურ მენაშენეებს მიცემული აქვთ დროებითი საბინაო დავთრები.

დავა ასეთ სახლებზე საკუთრების უფლების შესახებ სასამართლოებს არ ექვემდებარება.

გ) სასამართლოებმა სრულებით არ უნდა მიიღონ თავის წარმოებაში და არ უნდა განიხილონ ისეთი დავები, რომლებიც შეეხებიან 1956 წლის ივლისისათვის დაუმთავრებელ და ამის შემდეგ თვითნებურად და უგეგმოდ აგებულ შენობებს, რადგან ასეთი სახლები დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს აღმინისტრაციული წესით და ცხადია, მათ შესახებ სასამართლოები ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანენ.



სასამართლო დედი XVII საუკუნის თბილისში

გ. ნადარეიშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლო დედი ანუ ორთა-ბრძოლა ძველი სამართლის წიგნების მიხედვით დამამტკიცებელ საბუთთა ერთერთ მთავარ სახეობას წარმოადგენდა. იგი ამავე დროს „ღვთის მსჯავრის“ ანუ ორდალიების ერთერთი სახეც იყო.

ჩვეულებრივ, როდესაც სამართლის ისტორიკოსები ამა თუ იმ ხალხის იურიდიულ კულტურაზე მსჯელობენ, პირველყოვლისა, სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემის და დანაშაულის სუბიექტური მხარის დამუშავებას აქცევენ ყურადღებას. ეს იმიტომ, რომ სწორედ ხსენებულ სამართლებრივ მოვლენებში გამოვლინდება ხოლმე ყველაზე უფრო რელიეფურად ხალხის იურიდიული კულტურის დონე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასამართლო დედი, როგორც მტკიცებულების სახე თავისთავად ლაბარაკობს ხალხის მართლშეგნებაზე რელიგიის დიდი გავლენის შესახებ.


აუცილებელია განვასხვაოთ სასამართლო დედისა და ადამიანის პატივისა და ღირსების დასაცავად გამართული დედის იურიდიული ბუნება. სასამართლო დედის შემთხვევაში საქმე გვაქვს საეჭვო ბრალეულობასთან, და ეს საკითხი დედის შედეგმა უნდა გადაწყვიტოს. ჩვეულებრივი დედის დროს არავითარი ეჭვი არ არსებობს. სასამართლო დედი არის მტკიცებულების სახეობა,

რომლის საფუძველზედაც უნდა იქნას გამოტანილი განაჩენი. ჩვეულებრივი დედი კი თვითონ არის განაჩენი. სასამართლო დედი მართლზომიერი მოქმედებაა, საქმის სასამართლო გაშოძიების ნაწილია, ჩვეულებრივი დედი კი არამართლზომიერი მოქმედებაა. იგი მხარეთა მიერ სასამართლოს უფლებების თვითნებური მითვისების აქტია¹.

არის კიდევ ერთი განსხვავება სასამართლო დედისა და ჩვეულებრივ დედის შორის. სასამართლო ორთაბრძოლით, როგორც მტკიცებულების სახეობით სარგებლობა ყოველ ბრალდებულს შეეძლო. დედი კი პრივილეგია იყო მხალაი წოდების წევრებისა, რომელთაც გააჩნდათ იარაღის ტარების უფლება.

სასამართლო დედი იხსენიება VI საუკუნეში ბურგუნდიის მეფე გუნდობალდის მიერ გამოცემულ კანონში (501 წ.). ამ კანონით დედისათვის მაშინ უნდა მიემართათ, როცა მხარეების ფიცი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. IX — X საუკუნეებში სასამართლო დედი ბატონობს დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში და იგი გამოიყენება როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებში. სასამართლო დედის მიმართავდნენ იმ შემთხვევაშიც, რო-

¹ იხ. აბროშკევიჩ—Барановский. Судебный поединок.



ცა საქმე კანონის ახსნა-განმარტებას ეხებოდა. ეკლესია თეორიულად ეწინააღმდეგებოდა სასამართლო დუელის გამოყენებას, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერს ხდებოდა. კარლოს დიდმაც სცადა შეეზღუდა სასამართლო დუელი, როგორც მტკიცებულების სახე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ოტონ II-ის დროიდან სასამართლო დუელის საქმე მეფის პრეროგატივად იქცა. მოხუცები, ქალები და ინვალიდები სასამართლო დუელში თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიდნენ. საქსონიის და შვაბიის კანონმდებლობაში დეტალურად იყო შემუშავებული სასამართლო დუელის წესები.

მოწინააღმდეგენი თანაბრად უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული. სასამართლო დუელის დაწყების შემდეგ მხარეებისათვის რაიმე ნიშნის მიცემა ან შეძახილი აკრძალული იყო სიკვდილის დასჯის შიშით. დამარცხებულად ითვლებოდა ის, ვინც უკან დაიხევდა ან ვისი სისხლიც ადრე დაიდგრებოდა. თუ ბრალმდებელი დამარცხდებოდა, მას ბრალი დაედებოდა სწორედ მის მიერ სხვისთვის დაბრალებულ დანაშაულში. შეიძლებოდა სასამართლო დუელი მამაკაცსა და ქალს შორისაც გამართულიყო, მაგრამ შანსების გათანაბრების მიზნით მამაკაცი წელამდე ორმოში უნდა მდგარიყო.

გერმანიაში სასამართლო დუელი, როგორც მტკიცებულების სახეობა XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე არსებობდა.

საფრანგეთში ლუი IX-მ თავის დომენში აკრძალა სასამართლო ორთაბრძოლა 1260 წელს. 1306 წელს ფილიპე IV ლამაზი იძულებული გახდა ისევ შემოეღო სასამართლო დუელი. XIV საუკუნის დასასრულიდან ფრანგული სამართალი თანდათან ზღუდავს სასამართლო დუელის გამოყენების სფეროს.

ინგლისში სასამართლო დუელი ნორმანებმა შემოიტანეს. 1571 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა აკრძალა სასამართლო დუელი სამოქალაქო საქმეების გამო. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო დუელის გამართვა ფორმალურად მხოლოდ 1811 წელს აიკრძალა.

რუსეთში სასამართლო დუელი როგორც მტკიცებულების სახეობა გამოიყენებოდა, პახმანის აზრით, 1649 წლამდე.

ერთი სიტყვით, ეს იყო მართლაც მუშტის სამართლის ეპოქა, როცა თვის სასამართლოშიც უხეში ძალა სწყვეტდა საქმეს.

ადრე და შუაფეოდალური ეპოქის საქართველოს, რომელიც მაღალკულტურულ ბიზანტიასთან მჭიდრო ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ათვისებული ჰქონდა შუასაუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციის ამ უმთავრესი მესვეურის კულტურული დონე. ამ საკითხის შესახებ ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში ბევრი ნაშრომია ნათქვამი და ამიტომ ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

წერილობითი ბიზანტიური სამართალი, მიუხედავად „ბარბაროსი“ ხალხების დიდი გავლენისა მის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე „ღვთის მსჯავრს“ არ იცნობდა. ამასთან დაკავშირებით დიდი მკვლევარი ცახარიე წერდა: „ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ ხანებში დასავლეთის წეს-ჩვეულებათა გავლენა დიახაც დიდი იყო, მაგრამ ბიზანტიური სამართლის წყაროებში არ მოიპოვება შურისძიების უფლების და „ღვთის მსჯავრის“, როგორც დამამტკიცებელი საბუთის კვალი“¹; ანალოგიური მდგო-

¹ იხ. ცახარიე ფონლინგეტალი, ბერძნულ-რომაული სამართლის ისტორია. მესამე გამოცემა, ბერლინი, 1892 წ., გვ. 407-408. გერმანულ ენაზე.

მარეობასთან გვაქვს საქმე ადრე და უზაფეოდალურ საქართველოში.

ამ პერიოდში ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი იყო მაღალგანვითარებული პროცესუალური სამართალი. დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში პირველი ადგილი ეჭირა წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს. აქედან გასაგებია, რომ სასამართლო დუელს, როგორც მტკიცებულობის სახეობას ამ დროს ქართული სამართალი არ იცნობდა.

XIII საუკუნეში საქართველოში მონღოლების შემოსევის შემდეგ დაიწყო ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და კულტურული დონის მკვეთრი დაწევა. უცხო ტომების შემოსევამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სამართლის კულტურულ დონეზედაც.

და უკვე XVII საუკუნეში ვხედავთ, რომ სასამართლო დუელი მტკიცების საშუალებად აღარაა ქცეული.

მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც თექვსმეტი წლის განმავლობაში (1633—1649) ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“, მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში სასამართლო დამამტკიცებელ საბუთად მიღებული იყო, სხვათა შორის, ორთაბრძოლა: „...როცა ერთი და იგივე ბოროტმოქმედება ბრალდება ორ კაცს და ხელში კი არ უჭირავთ ისეთი ნიშნები, რომლითაც შეიძლება აღსაჩვენებდეს გადაწყვეტა, თუ ბრალდებულთა შორის რომელია ნამდვილი დამნაშავე, მაშინ მთავარი ბრძანებს, რომ მათი საქმე ასპარეზზე ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოსო. მაშინ დანიშნავენ დროს და ადგილს ბრძოლისას, ამოირჩევენ მოწმეებს და დანიშნულ დღეს გამოცხადდებიან მებრძოლნი ცხენებზე შემჯდარნი, აბჯარში ჩასმულნი და შეიარაღებულნი ფარით, შუბით და ხმლით. მებრძოლთ მოჰყვება მრავალი მათი მეგობარი აგრეთვე შეიარაღებულნი. მებრძოლნი

რომ წამოდგებიან ასპარეზზე, მათ ახლავთ მათი მოწმეები. როცა ნიშანს მისცემენ, მებრძოლნი ერთი მეორის წინააღმდეგ გაეშურებიან შუბებით. ვინც პირველად დაიჭრება, იმას აღიარებენ დამნაშავედ და მეორე გამართლებული იქნება. თუ კი შემთხვევით ორივე დაიჭრა, ორთავეს იცნობენ დამნაშავედ და სასტიკად დასჯიან“¹.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში ცხოვრობდა 1633 წლიდან. მაგრამ ჩვენამდე შემონახულია უფრო ადრინდელი დოკუმენტიც, საიდანაც ჩანს, რომ სასამართლო ორთაბრძოლა საქართველოში უფრო ადრეც ყოფილა გამოყენებული. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1620 წლით. უფრო ადრინდელი დოკუმენტი, სადაც სასამართლო ორთაბრძოლა დამამტკიცებელ საბუთად იყოს ცნობილი, ჩვენამდე არაა მოღწეული.

სასამართლო ორთაბრძოლას (ხმალი), როგორც დამამტკიცებელ საბუთს იცნობს 1620 წელს შედგენილი განჩინება დიდი მოურავის გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სხვადასხვა მრავალგვარი სარჩელის შესახებ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ როდესაც ის ნოსტეში თავის მამულში იდგა, ქაიხოსრო ჯავახიშვილი სამასი კაციით თავდასხმასა და მოკვლას უპირებდა თურმე. გიორგი სააკაძე ეუბნებოდა სასამართლოს: მე მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ ერთმა მოკეთემ დროზე შემატყობინა საშიშროების შესახებო.

ქაიხოსრო ჯავახიშვილმა უარყო მოურავის მტკიცება სასამართლოს წინაშე. „განჩინების“ წიგნში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ქაიხოსრომ ამაზედ ხმალი გააგდო, რომე მაგისი მოპირე

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938 წ. თბ. გვ. 76.



კაცი მოვიდეს, რომ მაგ საქმის მქნელი იყო, მოსამართლედა ერთმანეთს ხმალი ვკრათო.

თუ ხმალი გაგვეჩინა, შუაზედ სისხლი იქნებოდა: ან ერთი მოკვდებოდა და ან მეორე. გავსინჯეთ, დაშლილი ქვეყანა იყო და შუაზედ არც არა ქნილიყო¹. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ორთაბრძოლის ნაცვლად ფაქტით მტკიცებას მიმართა. ფიცი ქაიხოსრო ჯავახიშვილს (ბრალდებული) დაეკისრა.

როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, ქაიხოსრო ჯავახიშვილმა ხმალით ორთაბრძოლა მოითხოვა სასამართლოსაგან თავისი სიმატლის დასამტკიცებლად. იგი მოითხოვს „მოპირე კაცის“, ე. ი. გიორგი სააკაძესთან მისი დამბეზღებლის ხმალში გაწვევას. და აქ ყველაზე საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა: ორთაბრძოლის დროს უთუოდ სისხლი დაიდვრება. ან ერთი მოკვდება ან მეორე. ამიტომ მსაჯულნი ფიცს ანიჭებენ უპირატესობას სასამართლო დუელის წინაშე. ფიცი ისეთი დამამტკიცებელი საბუთია, რომელიც სისხლის ღვრას არ იწვევს. იგი უსისხლო მტკიცებულებაა და მისი უპირატესობაც ცხადია ორთაბრძოლის წინაშე. სასამართლო ბრალდებულს აკისრებს ფიცს და „განჩინებაში“ აღუნიშნავს მის ზუსტ ფორმულას.

ჩვენ აქ არ მოვიტანთ ფიცის ფორმულას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სასამართლომ ქაიხოსრო ჯავახიშვილს ფიცი დააკისრა, ოთხ თანამოციკართან ერთად, რომელთაგან ორს სასამართლო დაუსახელებდა. ორიც თვითონ ბრალდებულს უნდა შეერჩია. თუ კი ბრალდებული დაიფიცებდა, გამართლებულად ჩაითვლებოდა. ფიცი ამრიგად საბოლოოდ წყვეტდა საქმეს და იგი

სასამართლო გადაწყვეტილების სურათს წარმოადგენდა.

ხსენებული განჩინების წიგნი 1620 წელს თბილისში უნდა ყოფილიყო შედგენილი. სასამართლოს სხდომის ადგილი „განჩინებაში“ არაა მითითებული, მაგრამ იგულისხმება, რომ სატახტო ქალაქის მოუტრავი გიორგი სააკაძე სამართლის საძიებლად ქალაქიდან სოფელში არ წავიდოდა. მდივანბეგთა სასამართლოც ხომ თბილისში იყო.

ამ „განჩინების“ მიხედვით ხმალს, როგორც სასამართლო დამამტკიცებელ საბუთს ფიცი ავიწროებს. სასამართლო ამ უკანასკნელს აძლევს უპირატესობას. მაგრამ ჩვენი თემის თვალსაზრისით ზემოხსენებულ დოკუმენტში საინტერესოა ის, რომ აქ პირველად და ნათლადაა მითითებული დღემდე ცნობილ და ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებს შორის, რომ ორთაბრძოლა სასამართლო დამამტკიცებელი საბუთი იყო საქართველოში. ამ დოკუმენტს ამ თვალსაზრისით საკმაო ყურადღება პირველად პროფ. ივ. სურგულაძემ მიაქცია თავის ერთერთ მოხსენებაში იურიდიული ფაქულტეტის სამეცნიერო სესიაზე.²

უფრო გვიან სასამართლო დუელს, როგორც მტკიცებულების სახეობას იცნობს ვახტანგის სამართლის წიგნიც, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა. პროფ. ი. დოლიძის აზრით, ბექა მანდატურუხუცესის სამართალი (XIV ს.) იცნობს სასამართლო ორთაბრძოლას, როგორც მტკიცებულების სახეობას. ბექა მანდატურუხუცესის სამართლის 49-ე მუხლით, პროფ. ი. დოლიძის აზრით, დაშვებულია სასამართლო ორთაბრძოლა.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ. თფ. 1909 წ. გვ. 59.

² იხ. იურიდიული ფაქულტეტის სამეცნიერო სესია. თეზისები, თბ. 1958 წ.

თუ საადგილმამულო ქონების გაყოფისას ძმებს შორის დავა წარმოიშობა და ისინი ვერ შეთანხმდებიან, დავა ორთაბრძოლით უნდა გადაწყდეს¹. სამართლის წიგნის ეს მუხლი ბუნდოვანია და ამიტომ ჯერ კიდევ მას სხვა საბუთებით ვამაგრება სჭირდება.

ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს მოთხრობილი აქვს ერთი სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ.² იგი მოხდა XVII საუკუნეში, თბილისში როსტომის მეფობის დროს (1632-1658 წწ.)

ფ. გორგიჯანიძის მონათხრობიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როდესაც საეჭვო იყო ამა თუ იმ პირის ბრალეულობის საკითხი, სასამართლო დუელს ანუ ორთაბრძოლას მიმართავდნენ.

ამბის ქარგა ასეთია: მოღალატე თავადებმა ნადირობის დროს მოკლეს როსტომ მეფის ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ლუარსაბი.

ლუარსაბ ბატონიშვილის მოკვლა სიაოშ ბარათაშვილიმა ბაინდურ თუმანიშვილს დასწამა და პირში უთხრა ამ უკანასკნელს: „შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცაო“.

ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე ლუარსაბ ბატონიშვილის მკვლელობაში ბაინდურ თუმანიშვილის ბრალეულობა საეჭვოდ იქნა მიჩნეული. ამავე დროს, როგორც ფ. გორგიჯანიძე აღნიშნავს, ეს საქმე „სხვა რიგად ფიცითა და ჯერით არ გადაწყდებოდა“.

საიომ ბარათაშვილი დაბეჯითებით იძახდა, რომ „თუმანიშვილმან ბაინდურ ჰკრაო ბატონიშვილს თოფი“. თავის მხრით ბაინდურ თუმანიშვილი

მტკიცედ უარობდა ბატონიშვილის მოკვლას და „აშოროს“ ეუბნებოდა მოწინააღმდეგეს.

რაკი ფიცითა და მოწმის ჩვენებით არ შეიძლებოდა ამ საქმის გადაწყვეტა: „ამისათვის სამართალზედ შეაბეს და ბრძანებითა ღვთისითა სამართალი განცხადდა“.

მეფეს მოახსენეს: „ამ რიგი საქმენი უხმლოდ არ გადასწყდებისო“. მეფემაც განკარგულება გასცა, ორივე მხარეს სასამართლო დუელისათვის მოსამზადებელი რელიგიური რიტუალი ჩატარებინა, დაენიშნათ სასამართლო ორთაბრძოლის დღე და შემდეგ მეფის კარზე გამოცხადებულიყვნენ. მხარეები მეფის ბრძანებისამებრ მოიქცნენ. როგორც ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს მათ: „მეფის ბრძანება გაათავეს, გაენდნენ და ინანეს და თობა და თობა აუთქვეს, ანდერძები გაათავეს, და ეზიარნენ და ავის ნაქნარი ინანეს და ვისთვის შეეცოდებინათ, შეეხვეწნენ და შენდობა იმოვნეს და ვისიც რამე ემართათ გარდაუხადეს. თავიანთი საყდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რაც შეეძლო გლახაკთა და უღონოდ მისცეს, ორჯალსა და პაემანზედ თბილის ქალაქს მოვიდნენ და მეფის სახლის პირდაპირ მტკვარს გაღმა საომრის ალაგად უჩინეს, რომ ყველგნით დასჭვრეტდეს.“

ორივე მხარე „საომრის იარაღით შემოსნეს“, ცხენებზე შესვეს და სასამართლო დუელის წესების სწორად დაცვის მიზნით ექვსი იასაული მიუჩინეს.

ფარსადან გორგიჯანიძეს დეტალურად აქვს აღწერილი ორთაბრძოლის პროცესი. მოწინააღმდეგენი ცხენდაცხენ იბრძოდნენ შუბით, ლახტით და ხმლით. ბრძოლის დროს ბარათაშვილი ცხენიდან გადმოვარდა; თუმანიშვილი მას მოსაკლავად მიუხდა, მაგრამ „იასა-

¹ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953 წ., გვ. 272.

² იხ. ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნის. ნ. II, 1954, დ. ჩუბინოვის გამოცემა, გვ. 535—536.

ულებმან არ დაანებეს“. მეფემ გამარჯვებულს უბოძა დამარცხებულის „ჯაჭვი და იარაღი“.

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობიდან ჩანს, რომ სასამართლო ორთაბრძოლა როგორც უცილო დამამტკიცებელი საბუთი მაშინდელ მართლშეგნებას საყსებით ვერ ეთანხმებოდა. თვით ორთაბრძოლაში გამარჯვებულმა თუმანიშვილმა მეფეს მოახსენა: „... ორნიც უბრალონი ტყუილად შევიხოცენითო“. გარდა ამისა, სასამართლო ორთაბრძოლაში დამარცხებული სიაომ ბარათაშვილი არ დაუსჯიათ, იგი „იპატივეს“.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ორთაბრძოლა ანუ „ხმალში გატანება“ განსაკუთრებულ შემთხვევაში უფრო გვიანაც გამოიყენებოდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ ვახტანგის სამართლის წიგნშიაც დაკანონებულია ხმალში გატანება, როგორც მტკიცებულების სახეობა. ვახტანგის სამართლის მე-7 მუხლის მიხედვით „ხმალში გატანება მეფეთ ორგულობასა, დალატხედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებრზე ამ წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და ან ნაკლებს დღემდინ ალოცონ და თვითონ წიგნი დაუწერონ ასე, რომე: „სასწორო და სასამართლო ღმერთო, მე ესე და ეს კაცი გეაჯები და გეხვეწები, სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ, რასაც ეს კაცი მიდებს და მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიყო და არას ვერიო, ამისი თავი მე დამინარჩუნე, თორემ ჩემი თავი ამას დაუნარჩუნეო“. ამრიგი წიგნები ორთავე უნდა დაუწერონ და ან ყელზე და ან შუბის ბუდესთან შეაბან, და ის შესაბმელნი კაცნი, როგორც შეეძლოსთ, ისრე შეეკაზმონ; ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დადგენენ, თვითო მემათრახე ჩაატარონ, უიარაღონი, რომე თვითოს ფარისა და

მათრახის მეტი იმათ არა იქონიონ რა. რა რომ დაპირდაპირდნენ, გაუშვან და შეუტონ, მემათრახენი არ უნდა მიეშველნენ, სანამდინ, ერთი არ გარდავარდეს. და რა რომ ერთი და ერთი გარდავარდეს მაშინ მემათრახენი მიეშველნენ და არ მოაკვლევინონ და მეფეს მოართვან, და მერმე მეფემ, ვით ხამდეს, ეგრეთ ქნას. მეფე და ჯარი ამათ გატანებას შორიდამ უნდა უყურებდნენ, რომ მოყვრობით ან სხვარიგად არავინ მიეშველოს. რომელიც გარდავარდების და ან გაიქცევის, ის გამტყუნებული იქნების. იარაღი გარდავარდნილისა, გარდამგდებისა არის და ცხენი—მემათრახისა. ვინ იცის, ორნიც გარდავარდნენ, უნდა დააცალონ, ქვეითად, ერთმანეთზე მიუშვან, და რომელიც წააქცევის, სამართალი იმას დარჩება“.

როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართლის წიგნი იმავე ფორმით აკანონებს სასამართლო ორთაბრძოლას, როგორც ეს ფარსადან გორგიჯანიძეს აქვს აღწერილი XVII საუკუნის თბილისში. მაშასადამე, ვახტანგის სამართლის წიგნის ერთერთი წყარო ადათობრივი სამართალი იყო.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დაცემის ეპოქაში ორთაბრძოლა საქართველოში დამამტკიცებელი საბუთი იყო. სასამართლო ასეთ პირობებში უფრო მეტად წარმოადგენდა ე. წ. „ღვთის ნების“ გამომცნობ საშუალებას დაწესებულებას, ვიდრე სამსჯავროს დღევანდელი მნიშვნელობით. ასეთივე იყო მდგომარეობა ევროპაშიც ადრე და შუაფეოდალურ ეპოქებში. მაგრამ „ხმალი“—სასამართლო დუელი და საერთოდაც დუელი ჩვეულებრივი მნიშვნელობით ევროპაში მეტ პატივში იყო, ვიდრე ჩვენში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გავიხსენებთ, რომ ევროპაში ცნობილი იყო ე. წ. appel de iugement-ის (რუსული სამართლის обоживление при-

говора“) ინსტიტუტი. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვეულებრივი სამართალწარმოების გზით გამტყუნებულ ბრალდებულს შეეძლო უარი ეთქვა სასამართლო განაჩენზე, ელიარებინა იგი უმართებულოდ და განაჩენის გამომტანი მოსამართლე თუ მოსამართლეები უპატიოსნო აღამიანებად გამოეცხადებინა.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავდა, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული პირი მოსამართლეს იწვევდა დუელში და ამ გზით ცდილობდა დაემტკიცებინა მოსამართლის უპატიოსნება და თავისი სიმართლე. აი ასეთ პატივში იყო ხმალი დასავლეთ ევროპაში. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო დამამტკიცებელ საბუთად მსჯავრდადებულის ხელ-

ში მოსამართლეების წინააღმდეგაც კი.

იყო თუ არა ცნობილი საქართველოში ჩვეულებრივი დუელის ინსტიტუტი, რომელიც უკვე სასამართლო დამამტკიცებელი საბუთი კი არ იყო, არამედ „გაკეთილშობილებული“ შურისძიება და თვითგასწორება; ამის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია სათანადო ცნობებს. რაც შეეხება გვიანფეოდალურ პერიოდს, დოკუმენტებში არის რიგი ნიშნებისა, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასამართლო, ჩვეულებრივი დუელი უცხო არ უნდა ყოფილიყო საქართველოსათვის. ხსენებული საკითხი ჩვენს თემას უშუალოდ არ შეეხება და ამიტომაც ამ საკითხზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით.

ჩინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

საქართველოს ჩინაუბლიკის კანონმდებლობა საბინაო მშენებლობის შესახებ გაუქმდებისას საქიროებს

ა. ხოჭოლავა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბინაო მშენებლობის შემდგომ ფართოდ გაშლის საკითხებს.

იმის გარდა, რომ დიდძალი სახსრები დაიხარჯება საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის საუწყებო სახლების მშენებლობაზე, უფრო ფართოდ გაიშლება ინდივიდუალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მოსახლეობის სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტებით.

ამ წერილის მიზანია მოკლედ განვიხილოთ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი საბინაო მშენებლობის იმ ფორმების შესახებ, რომელთა განვითარება განპირობებულია მშრომელთა უშუალო დაინტერესებით. ასეთი სახის მშენებლობებს წარმოადგენენ:

ა) ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, გათვალისწინებული სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით, ბ) მშენებლობა მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების საშუალებით, გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით, ვ) მშენებლობა სამშენებლო კოოპერაციის საშუალებით.

გათვალისწინებული სსრკ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის დადგენილებით, გ) სახელმწიფო საბინაო მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით, გათვალისწინებული 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით.

1. იმაზე თუ როგორ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ინტერესები შენობიანი მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შემთხვევაში, დიდად არის დამოკიდებული ინდივიდუალური მშენებლობის განვითარება. კონფისკაციის და მუნიციპალიზაციის წესით შენობის ჩამორთმევის შემთხვევების გარდა, რაც ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს, საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს შენობის ჩამორთმევას მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, რაც რეკვიზიციის ერთერთი სახეა.

ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია ორი დადგენილებით:

ა) „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების შესახებ“ (საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილება); ბ) „განსაზოგადოებელი სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციებისათვის საამშენებლოდ, უგადო სარგებლობის უფლებით მიწის

ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ (საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილება).

ეს დადგენილებები შეიცავენ სერიოზულ წინააღმდეგობებს და არ იძლევიან პასუხს მთელ რიგ პრაქტიკულ კითხვებზე:

1. 1931 წლის 13 მაისის დადგენილება ითვალისწინებს მოქალაქისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევით მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურებას (შენობის ღირებულების, ნარგავის, ნათესის და სხვა). ზარალის ანაზღაურება შეიძლება როგორც ფულით, ისე დაზარალებულ პირზე ნატურალური დახმარების აღმოჩენის გზით. მეორე დადგენილება ახალ მიწის მოსარგებლეს უფლებას არ აძლევს ძველ მენაშენეს აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება და არ ითვალისწინებს ყოველგვარი ზარალის ანაზღაურებას, კერძოდ, გამოუყენებელი შრომის ანაზღაურებას, რაც მიწის გაუმჯობესებაზე იყო დახარჯული.

2) ზარალის განსაზღვრის საკითხში წარმოშობილი დავა 1931 წლის 13 მაისის დადგენილების თანახმად გადაწყდება საერთო სასამართლო წესით, მაშინ, როდესაც 1934 წლის 16 ივნისის დადგენილებით შენობის შეფასების გამო აღძრულ დავას გადაწყვეტს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

3) პირველი დადგენილების თანახმად მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა ხდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში სათანადოდ ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებისა და ავტონომიური ოლქის აღმასკომის მიერ. მეორე დადგენილება კი მიწების ახალ მოსარგებლეს გადაცემას ავალებს ქალაქებში კომუნალურ ორგანოებს, ხოლო ქალაქგარეთ სამიწათმოქმედო ორგანოებს, მაგრამ მასში არ არის აღნიშნული, თუ რომელი ორ-

განოს დადგენილებით შეიძლება მოქალაქისაგან მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის დადგენილების ძალით, საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ მოქალაქეებს ჩამოართვან მხოლოდ დაწესებულ ნორმასთან შედარებით ზედმეტი მიწის ნაკვეთი. ამ უფლების მიცემა აღმასკომებისათვის, ჩვენის აზრით, ზედმეტია, თუ მათ საერთოდ ექნებოდათ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის უფლება.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს №1041 და 1954 წლის 22 ივნისის № 1240 დადგენილებებით სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს მიწის ნაკვეთი ჩამოერთმევა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით. თავისთავად ცხადია, რომ ეს წესი განსაკუთრებით დაცული უნდა იქნას მოქალაქეთა მიმართ. ამის გამო, საქართველოს რესპუბლიკაში, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია გამოიცეს სპეციალური დებულება შენობიანი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ.

ჩამორთმეული შენობის ღირებულება სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. 1931 წლის 13 მაისის დადგენილების მიხედვით შენობა შეფასებული უნდა იქნეს „შეფასების მომენტში არსებული ფასების მიხედვით“, მაგრამ როგორ უნდა განისაზღვროს ეს ფასები, სახარჯთაღრიცხვო. სადაზღვევო, აღდგენითი, თუ მასალების ფართო მოხმარების ფასების მიხედვით, ამის შესახებ დადგენილებაში არაფერი არ არის ნათქვამი. 1934 წლის 16 ივნისის დადგენილებით კი შენობის შეფასება ხდება სამშენებლო ლიმიტის მიხედვით, შენობის მოძველების ანგარიშში მიღებით. იმ შემთხვევაში კი, თუ შენობა დასანგრევია, იგი შეფასდება იმ მასალის ღირებულების მიხედვით, რომე-

ლიც მიღებულია შენობის დანგრევის შემდეგ. ამასთანავე, მასალის ღირებულებას უნდა გამოაკლდეს შენობის დაშლის სამუშაოების ღირებულება, ხოლო თუ ამ სამუშაოთა ღირებულება აღემატება შენობის ღირებულებას, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა მიწის ახალ მოსარგებლეს.

ამ დადგენილებაშიც არაფერია თქმული ფასებზე. ამიტომ საქართველოს სს რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა ნორმატიული აქტების ნაკლოვანების გამო ერთიანი არ არის. ჩვენის აზრით, ასაღები შენობის ღირებულება განსაზღვრული უნდა იქნეს აღდგენით ფასებში.

3). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის №395 დადგენილების ძალით, თვითნებურ მშენებლებს რჩებოდათ ერთგვარი უფლებები.

აღნიშნული დადგენილება 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ საჭიროებს შეცვლას.

საკანონმდებლო გზით უნდა დადგინდეს, თუ რა პირობებში და რა შემთხვევებში შეიძლება მიეცეს ზოგიერთ თვითნებურ მენაშენეს სამაგიერო მიწის ნაკვეთი, რა შემთხვევაში შეიძლება გაფორმდეს მასზე თვითნებურად აგებული სახლი, რომელიც ასაღები არ არის და აკმაყოფილებს ქალაქის განაშენების მოთხოვნებს.

4) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების თანახმად უპროექტოდ აგებული შენობები, რომლებიც ასაღები არ არის, უნდა გაფორმდეს მენაშენეებზე. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შენობების მიმართ, რომლებიც აგებულია 1956 წლის 27 ივლისის შემდეგ, და რომლებიც დასანგრევი არ არის? ეს საკითხიც საკანონმდებლო გზით მოგვარებას მოითხოვს.

5) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის ძალით მშენებელს, რომელმაც ააგო შენობა დაწესებულ ნორმების დარღვევით, ჩამოერთმევა ნორმის ზევით აშენებული ოთახები და საცხოვრებელი ფართობი. ამგვარად, სახლის ტექნიკური პროექტის დარღვევა არ იწვევს შენობის მთლიანად ჩამორთმევას. ამავე დროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მენაშენეზე მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ 1949 წლის 3 ივნისის დამტკიცებული ტიპიური ხელშეკრულების მე-12 მუხლის ძალით, მენაშენეს, რომელმაც პროექტს გადაუხვია და სახლის მშენებლობაში არ შეიტანა შესწორებანი იმ მითითებების შესაბამისად, რაც მას მიეცა კომპეტენტური ორგანოს მიერ, შეიძლება შენობა ჩამოერთვას მთლიანად.

როგორც ვხედავთ, ტიპიური ხელშეკრულების ძალით, ტექნიკურ პროექტს განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობა ეძლევა.

ზემოთდასახელებული ნორმატიული აქტების საფუძველზე სათანადო საბჭოს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს შენობის ნაწილის, ან მთლიანად შენობის ჩამორთმევა, ე. ი. აღმასკომს მენაშენის მიმართ წარმოეშობა ალტერნატიული სარჩელის აღძვრის უფლება, რაც საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია, რადგან მოსარჩელეს შეიძლება ქონდეს სარჩელის უფლება მხოლოდ ერთი საფუძველით.

ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წარმოების დროს შესცვალოს სარჩელის ერთი საფუძველი მეორეთი, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი კანონმდებლობით და-

შვებული იყოს სარჩელების კონკურენციის შესაძლებლობა¹.

იმისათვის, რომ მომავალში აღიკვეთოს ალტერნატიული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა და ზუსტად განისაზღვროს სახლის ჩამორთმევის საფუძველი, საჭიროა საკანონმდებლო გზით დადგინდეს სახლის ტექნიკური პროექტის იურიდიული მნიშვნელობა, მისი დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პირობები და სხვ.

6). სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, თვითნებური მშენებელი ვალდებულია აიღოს შენობა და წესრიგში მოიყვანოს მიწის ნაკვეთი. თვითნებურ მენაშენებს საკუთრების უფლება გააჩნია არა შენობაზე, არამედ იმ სამშენებლო მასალებზე, რომლიდანაც შენობაა აგებული. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლი კი აწესებს თვითნებურად აგებული შენობის ჩამორთმევას. გაურკვეველია, ეხება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლი ყველა თვითნებურად აგებულ შენობებს, თუ მხოლოდ ისეთ შენობებს, რომელნიც ასალები არ არის?

იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის 88¹ მუხლს გავავრცელებთ მხოლოდ ისეთ შენობებზე, რომლებიც ასალები არ არის, ასალები შენობების თვითნებურად აშენების შედეგად მენაშენები პასუხისმგებლობაში არ უნდა იქნენ მიცემული. ამასთანავე თვითნებურ მენაშენის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი დამოკიდებული იქნება იმაზე, სცნო თუ არა აღმასკომმა შენობა დასანგრევად.

როგორც ავლნიშნეთ, სსრკ მინისტრ-

თა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად თვითნებური მშენებელი ვალდებულია აიღოს შენობა. შენობის აღების შემდეგ მიღებული სამშენებლო მასალით იგი რამდენადმე მაინც ინაზღაურებს ზარალს. ამის გამო იმ შემთხვევაში, თუ შენობა გაფორმებული არ იქნება თვითნებურ მშენებელზე, განურჩევლად იმისა შენობა ასალებია თუ არა, მენაშენე დაინტერესებული იქნება შენობის დანგრევით, რათა ნაწილობრივ მაინც ინაზღაუროს ზარალი მიღებული საამშენებლო მასალის სახით. მაგრამ როგორ უნდა შევაჩეროთ არა ასალები კაპიტალური შენობების მენაშენები ისეთი აქტის ჩადენიდან, როგორც შენობის დანგრევა?

ეს შესაძლებელია საკავშირო ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შეცვლის საშუალებით, რაც რესპუბლიკური კანონმდებლობის კომპეტენციას სცილდება, ან მენაშენისათვის, რომლის შენობაც სახელმწიფოს ხელში გადადის, კომპენსაციის დაწესების საშუალებით.

7) თვითნებურად აგებული შენობების სარგებლობის ან საკუთრების შესახებ წარმოშობილი დავების განხილვა სასამართლოს არ ექვემდებარება.²

ამავე დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების თანახმად მენაშენებს გადახდება მიწის რენტა და საშემოსავლო გადასახადი შეღავათის მიუცემლად.³

ამგვარად, მენაშენე ერთგვარ იურიდიულ ურთიერთობაშია სახელმწიფოსთან გადასახადის საკითხში. გადასახა-

². №. «Советская юстиция». 1957 г. 10.

³. №. «Социалистическая законность», 1958 г. № 5., стр. 20.

1. А. В. Венедиктов. Гражданско-правовая охрана социалистической собственности в СССР, 1954 г., стр. 174-175.



დის ნარჩენის გადახდა საფინანსო ორგანოებს შეუძლიათ მხოლოდ სასამართლო წესით, ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით მენაშენეს არ შეუძლია ითხოვოს თავისი დროებითი მფლობელობის სასამართლო წესით დაცვა.

ყველა თვითნებური მშენებლის ურთიერთშორის გათანასწორება სამართლიანი და მიზანშეწონილი არ არის. ზოგიერთ მათგანს მიცემული აქვს ვადა სახლის ასაღებად, ზოგიერთის სახლი კი ასაღები არ არის. არის შემთხვევები როდესაც თვითნებური მშენებელი ეყრება ცოლს, ართმევს მას ბინას და სხვა. ცხადია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შენობა დაცული უნდა იქნეს და მენაშენეს ან მის ოჯახის წევრს უნდა მიეცეს უფლება ადმინისტრაციული და სასამართლო წესით დაიცვას თავისი მფლობელობა.

8) არიან მესაკუთრენი, რომელთაც დაკარგეს, ან სხვა და სხვა მიზეზების გამო არ აქვთ შენობაზე უფლების დამდგენი დოკუმენტები.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1958 წლის 7 აპრილის დადგენილების თანახმად, სასამართლოებს არ შეუძლიათ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურების წესით იცნონ ასეთი შენობები მოქალაქეთა საკუთრებად. არც საქართველოს სსრ საქალაქო და სარაიონო აღმასკომები აფორმებენ ასეთ შენობებს მესაკუთრეებზე.

ამგვარად, შენობების მესაკუთრეთა გარკვეული კატეგორია მოკლებულია შესაძლებლობას დაიმტკიცოს შენობები, რომლებზედაც მათ დოკუმენტები დაკარგეს.

რსფსრ-ის ამჟამად მოქმედ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის 1945 წლის 25 დეკემბრის ინსტრუქციის „ქალაქებში, მუშათა საავარჯო და საკურორტო დაბებში

შენობების რეგისტრაციის წესის შესახებ“ თანახმად აღმასკომებს უფლება აქვთ დაუმტკიცონ მოქალაქეებს შენობები არა მარტო პირდაპირი დოკუმენტების საფუძველზე (ყიდვა-გაყიდვის, მემკვიდრეობის დოკუმენტი და სხვა), არამედ არაპირდაპირი დოკუმენტების საფუძველზედაც (გადასახადის ქვითრები, ძველი საინვენტარიზაციო ჩანაწერები და სხვა). იმ შემთხვევაში კი, თუ სათანადო აღმასკომი უარს ეტყვის მესაკუთრეს სახლის მის სახელზე გაფორმებაზე, დაეა მესაკუთრესა და აღმასკომს შორის გადაწყდება საერთო სასარჩელო წესით*.

საქართველოს სსრ კანონმდებლობის ეს ხარვეზი ამ საკითხში გამოსწორებული უნდა იქნეს.

9) 1957 წლის 31 ივლისის დადგენილება ითვალისწინებს სახელმწიფო საბინაო მშენებლობას „სამრეწველო საწარმოთა ძალებით, მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით“. ასეთი სახის მშენებლობას განსაკუთრებით დიდი მომავალი აქვს. საქართველოს რესპუბლიკაში ასეთი მშენებლობის შესახებ ჯერ კიდევ არ შემუშავებულა სპეციალური დებულება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება შრომითი მონაწილის უფლება-მოვალეობათა უზრუნველყოფისათვის. უფლება-მოვალეობათა გაურკვევლობა იმას იწვევს, რომ ჩვენში ასეთი სახლების მშენებლობა გავრცელებული არ არის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შრომის მონაწილეს სანიეტო უფლება მიეცემა პროექტით განკუთვნილ ბინაზე და სხვა მხრივაც გარანტირებული იქნება მისი უფლებები¹, მაშინ ამ სახის მშენებლობა მეტად ფართოდ გავრცელდება.

ჩვენმა საამშენებლო ორგანიზაციებმა და სხვა სათანადო ორგანოებმა

1. იხ. ჩვენი წერილი „საცხოვრებელ ბინებზე უფლების ახალი სახეები“, ყურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 4 გვ. 25-29.

მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და შეიმუშავონ ასეთი სახის მშენებლობის დებულება.

10. საქართველოში ამჟამად მოქმედი საბინაო საამშენებლო კოლექტივების შესახებ არსებული წესები არ ითვალისწინებენ მთელ რიგ უადრესად მნიშვნელოვან გარემოებებს და ნაწილობრივ წინააღმდეგობაში არიან 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებასთან. მოქმედი წესების თანახმად კოლექტივები მიწის ნაკვეთებს იღებენ უვადო სარგებლობის უფლებით აღმასკომებიდან მაშინ, როდესაც 1957 წლის 31 ივლისის დადგენილების თანახმად ინდივიდუალურ მენაშენეს მიწის ნაკვეთს მიუჩენს საწარმო, დაწესებულება, რომელშიაც მენაშენე მუშაობს. სწორედ იმის გამო, რომ ინდივიდუალურ მენაშენეს არ ეძლევა მიწის ნაკვეთი უვადო სარგებლობაში, მას არ უნდა მიეცეს უფლება თავის ბინის გასხვისებისა საწარმოს, ორგანიზაციის ნებართვის გარეშე. კოლექტივის მიერ აშენებულ სახლზე მენაშენეებს არ აქვთ საერთო საკუთრების უფლება (თვითეულ მენაშენეს აქვს საკუთრების უფლება თავის ბინაზე); ამის გამო ის უფლებები, რომელნიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად აქვს საერთო საკუთრების მონაწილეს მეორე თანამონაწილის მიმართ (უპირატესი უფლება სახლის წილის ყიდვისა, თუ საერთო საკუთრების მეორე თანამონაწილე მოინდომებს მის გასხვისებას), უნდა მიენიჭოს ორგანიზაციას ინდივიდუალურ ბინის მესაკუთრის მიმართ.

მოქმედი წესები აგრეთვე არ ითვალისწინებენ საწარმოების, ორგანიზაციის ვალდებულებას მოამზადონ გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური მშენებლობისათვის. არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების აუცილებლობა კოლექტივებსა და საწარმოებს შორის საამშენებლო

მასალის მომარაგების საკითხში და სხვა.

ზემოაღნიშნულის გამო მშენებლობის ამ ფორმის ორგანიზაციული მხარე სათანადოდ უნდა დამუშავდეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

11) საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის შესახებ საქართველოში ამჟამად მოქმედი წესები ნაწილობრივ ეწინააღმდეგებიან სსრკ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის დადგენილებას „საბინაო-საამშენებლო და სააგარაკო სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“. ამ დადგენილების მიხედვით სამშენებლო კოოპერაციისათვის მშენებლობას დამტკიცებული გეგმის მიხედვით აწარმოებენ მხოლოდ სახელმწიფო სანარდო ორგანიზაციები. საბინაო-საამშენებლო კოოპერატივი ვალდებულია წინასწარ შეიტანოს სათანადო ბანკში მშენებლობისათვის საჭირო სახსრები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ამასთანავე შეიძლება კოოპერატივის წევრების პირადი შრომის ჩათვლა მშენებლობის ღირებულებაში საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დაშვებულია სამშენებლო კოოპერატივების მიერ საბინაო მშენებლობა სამეურნეო წესით, ე. ი. მშენებლობის წარმოება კოოპერატივის საკუთარი ძალებით, სანარდო სამშენებლო ორგანიზაციის გარეშე. საერთო წესიდან ასეთი გამოწვევის გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში სანარდო სამშენებლო ორგანიზაციებს ამჟამად არა აქვთ საშუალება აწარმოონ სამშენებლო კოოპერატივებისათვის საბინაო მშენებლობა, მაგრამ ეს გარემოება აუცილებელს ხდის ორი სხვადასხვა დებულების დამუშავებას იმის მიხედვით, აწარმოებს კოოპერატივი მშენებლობას საკუთარი ძალებით თუ სანარდო წესით სახელმწიფოს სამშენებლო ორგანიზაციის საშუალებით.

ზოგიათი ვანიჟნევი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი

დიდმნიშვნელოვანი კანონები იქნა მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს. ამ კანონების შესაბამისად უახლოეს დროში მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული იქნება სისხლის სამართლის, საპროცესო და სხვა კოდექსები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი სრულად ასახავს ჩვენი პროცესუალური კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ცალკეული დებულებები ჯერ კიდევ საჭიროებენ დაზუსტებას, რათა ახლად მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულყოფილი იქნას.

შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე საკითხზე:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მე-40 მუხლით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განსახილველად ექვემდებარება განსაკუთრებით რთული ან დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები, რომლებიც მას ეგზავნება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ან საქართველოს სსრ პროკურორის მიერ. ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აგრეთვე უნდა დაექვემდებაროს განსახილველად ის საქმეებიც, რომლებზედაც განაჩენები განმეორებით არის გაუქმებული და ამ გაუქმებას საფუძვლად დაედო არა პროცესუალური ნორმების

დარღვევა, არამედ განაჩენების არსებითად უსწორობა.

როდესაც სახალხო სასამართლოებს ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ გამოაქვთ არსებითად უსწორო განაჩენი, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე რთულია და სახალხო სასამართლოს შემადგენლობას უძნელდება კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. უმაღლესი სასამართლოს კი ამ შემთხვევაში მეტი შესაძლებლობა აქვს ასეთი საქმე განიხილოს უფრო სრულყოფილად და ხარისხიანად.

ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, როდესაც მოსამართლე სთვლის, რომ მოპოვება საკმაოდ საფუძველი საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვისათვის, მას ერთპიროვნულად გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოსამართლე არ ეთანხმება წარმოდგენილ საბრალმდებლო დასკვნას, საქმე განხილული უნდა იქნას სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე.

აქედან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის 237-ე მუხლში გათვალისწინებული წესი, სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაწყებისა პროკურორის მოხსენებით, რომელმაც უნდა დაასაბუთოს თავისი აზრი ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ.

უფრო სწორი იქნება, თუ საქმის განხილვა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე დაიწყება მოსამართლის მოხ-



სენებით, რომელიც განმარტავს, თუ რატომ არ იზიარებს ის საბრალმდებლო დასკვნაში მოცემულ მოსაზრებებს, ხოლო ამის შემდეგ კი პროკურორს მიეცემა საშუალება ამტკიცოს ბრალდებულის სამართალში მიცემის საფუძვლიანობა.

პროექტის 235-ე მუხლში ნათქვამია, რომ პროკურორის მონაწილეობა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე სავალდებულოა, მაგრამ პროკურორის გამოუცხადებლობა ვერ შეაფერხებს სასამართლოში საქმის განხილვას.

ჩვენის წინადადებით ამ მუხლის მეორე ნაწილზე უარი უნდა ვთქვათ და პროკურორის მონაწილეობა სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე ყველა შემთხვევაში სავალდებულოდ ჩავთვალოთ.

ამით მიღწეული იქნება, ერთის მხრივ, გამწესრიგებელ სხდომაზე საქმეთა უფრო კანონიერად განხილვა და, მეორეს მხრივ, შემცირდება გამწესრიგებელი სხდომების დადგენილებების გაპროტესტების შემთხვევები.

პროექტის 247-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პროკურორს შეუძლია გააპროტესტოს სასამართლოს მიერ გამწესრიგებელ სხდომაზე გამოტანილი დადგენილება საქმის მოსპობისა და დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შესახებ.

ისმის საკითხი — რატომ არ შეუძლია პროკურორს გააპროტესტოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილება ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ, როდესაც მას მიაჩნია, რომ გამწესრიგებელმა სხდომამ არასწორად შეცვალა საბრალმდებლო დასკვნით წარდგენილი კვალიფიკაცია.

ვფიქრობთ, რომ 247-ე მუხლის რედაქციაში უნდა იქნეს შეტანილი სათანადო შესწორება.

მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ

მთელი რიგი საკითხები სათანადოდ რეგლამენტირებული უნდა იქნას პროცესუალურ კანონმდებლობაში, მაგრამ მათ ვერ ჰპოვეს ასახვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წარმოდგენილ პროექტში.

ასე მაგალითად, პროექტში არ არის გათვალისწინებული ვინ და როგორი წესით უნდა გადაწყვიტოს ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში საქმის განსახილველად გადაცემის საკითხი და საკითხი პროკურორისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის აცილების შესახებ; არაფერი არის თქმული პროკურორის უფლებაზე გაითხოვოს თავისი პროტესტი და ასევე საკასაციო საჩივრის გათხოვაზე იმ პირის მიერ, რომელმაც იგი შეიტანა; პროექტში ვერ ვნახავთ მუხლებს, რომლებიც აწესრიგებდნენ საკითხს პროკურორის უფლებაზე შეიტანოს პროტესტი, როდესაც განაჩენი ან დადგენილება გამოტანილია სხვა რაიონის სასამართლოს მიერ; სასამართლოს უფლებაზე განიხილოს ერთდროულად საკასაციო საჩივარი და ზედამხედველობის წესით შეტანილი პროტესტი და სხვ.

არის კიდევ რიგი სხვა საკითხებისა, რომლებიც საჭიროებენ სათანადო დამუშავებასა და დაზუსტებას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ აიღო კურსი საზოგადოებრიობის უფრო ფართოდ ჩაბმაზე სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მნიშვნელოვანმა საკითხმა სათანადო ასახვა უნდა ჰპოვოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ლ. ზაიჩიკი

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი

სასამართლო პრაქტიკაში

რედაქციას განზრახული აქვს დროგამოშვებით მოათავსოს ჟურნალის ფურცლებზე სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული საბრალმდებლო და დაცვითი სიტყვების საუკეთესო ნიმუშები.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ადვოკატ ა. სავინაშვილის სიტყვას, წარმოთქმულს სასამართლო პროცესზე რუსთაველის თეატრის შენობაში

გაჩენილი ხანძრის გამო სამართალში მიცემული პ. ლ. მურღულიას დასაცავად, ამ სიტყვამ დიმიტრას დადებითი შეფასება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში (იხ. И. Д. Перлов, судебное прения и последнее слово подсудимого в советском уголовном процессе. Голосиздат, 1957 г. стр. 110--112-152--154.

ს ა ქ მ ე ს შ ი ნ ა ა რ ს ი

1949 წლის 9 ივნისს ღამით თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც გაანადგურა შენობის ნაწილი და სახელმწიფოს 4,5 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა.

გამოძიების აზრით ხანძრის წარმოშობის მიზეზი საწარმო-ტექნიკური პერსონალის მიერ სახანძრო უშიშროების წესების უხეში დარღვევა იყო და ეს დარღვევა დაუშვეს თეატრის დირექტორმა პოლიკარპე ლევანის-ძე მურღულიამ. სცენის თანამშრომელმა ბიჭიკო სიმონის-ძე მაჭავარიანმა, თეატრის სახანძრო დაცვის უფროსმა გურგენ ბაგირის-ძე მარლენოვმა და თეატრის მორიგე მხანძრემ ხაჩატურ მანუკის-ძე ავეტისოვმა.

დასახელებული პირები სამართალში იქნენ მიცემული: მურღულია — საქართველოს სსრ სსკ 103-5 მუხლის მეორე

ნაწილითა და 118 მუხლის I ნაწილით, ხოლო მაჭავარიანი, მარლენოვი და ავეტისოვი — სსკ 103-5 მუხლის მეორე ნაწილით.

საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წლის 5-11 ოქტომბერს.

სამართალში მიცემული მურღულია სასამართლომ სცნო დამნაშავედ სსკ 103-5 და სსკ 117 მუხლებით.

118 მუხლის I ნაწილით წარდგენილი ბრალდება მას მოეხსნა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ თავისი 1950 წლის 15 მარტის დადგენილებით მცდარად აღიარა 103-5 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენება მურღულიას მიმართ და მისცა მის ქმედობას კვალიფიკაცია სსკ 117 მუხლით.

ღ ა ბ ვ ი თ ი ს ი ზ ყ ვ ა

პატივცემული მოსამართლენო!

დიდი ყურადღებით მოვისმინე მე სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა.

უდავოა, რომ რუსთაველის თეატრის შენობაში მომხდარი ხანძარი, რომლის

წყალობით ამ თეატრში ერთხანს აღარ იქნება წარმოდგენების დადგმის შესაძლებლობა, მეტად სამწუხარო შემთხვევაა.

უდავოა ისიც, რომ ხანძრის შედეგად მიღებული ზარალი, რომელიც 4-5 მილიონ მანეთში გამოიხატება — ფრიად დიდია.

მიუხედავად ამ დიდი დანაკლისისა მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა ფრიად მუქი საღებავებით დახატა ხანძრის შედეგები და მეტად დიდი დრო მოანდომა იმას, რათა ყოვლად უნუგეზოდ წარმოედგინა თქვენთვის შექმნილი მდგომარეობა.

გარემოება, რომელსაც მე მინდა შევეხო, ეს არის კვალიფიკაციის საკითხი, როგორც იგი დაყენებულია საბრალდებლო დასკვნაში.

როგორც მოგეხსენებათ, სამართალში მიცემულ მურღულიას წარდგენილი აქვს ბრალდება საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 103-5 მუხლის მეორე ნაწილისა და 118 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

თუნდაც დავუშვათ, რომ მურღულიასადმი ინკრიმინირებული დანაშაული საეკსპედიტორული დადასტურებულია, ამ კვალიფიკაციას ჩვენ მაინც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით.

103-5 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს საწარმო-ტექნიკური რეჟიმის ან მუშაობის პირობების ისეთ დარღვევებს, რომლებმაც გამოიწვიეს აფეთქება ან ხანძარი, აფეთქება-საშიშ საამქროებში და არა საერთოდ ყოველგვარ საწარმოში.

ექვს გარეშეა, რომ კანონმდებელმა იმიტომ გამოჰყო აფეთქება-საშიშ საამქროები, რომ მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ ამ საამქროებში დისციპლინის დარღვევის განსაკუთრებული საშიშროება.

ამიტომ აღნიშნული მუხლი განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება.

მაშასადამე, მისი გამოყენება არც სამართალში მიცემული მურღულიას მი-

მართ შეიძლება, ვინაიდან ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც თეატრია, აფეთქება-საშიშ საამქროებს ვერ მიეკუთვნება, რადგანაც აქ ტაშის გრილის გარდა არავითარ სხვაგვარ აფეთქებით გრიალს ადგილი არა აქვს ხოლმე.

სახელმწიფო ბრალდებელი ამტკიცებდა, თითქოს სცენა აფეთქება-საშიშ ობიექტს წარმოადგენს. ეს უსწოროა, რადგან სცენაზე ადვილად-აალებადი დეკორაციების არსებობა, მის აფეთქება-საშიშროებას სრულიადაც არ ნიშნავს.

კიდევ მეტიც: მე ვფიქრობ, რომ თეატრის კარები ზალხისათვის დაიხმობოდა, იქ რომ ხალხს აფეთქების საფრთხე მოელოდეს.

სრულიად უმართებულოა მურღულიას მიმართ აგრეთვე 118 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით წარდგენილი კვალიფიკაცია. ამ მუხლში ლაპარაკია ცენტრალური აპარატის მოქმედების მოზღაზე და რღვევაზე, რაც შინაგანი ხასიათის მიზეზეებით არის განპირობებული, და იგი სრულიადაც არ გულისხმობს ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერებას, უკეთუ ეს შეჩერება გამოიწვია გარეშე ხასიათის ისეთმა მიზეზებმა, როგორც არის ხანძარი.

ამ მუხლის დისპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ხელმძღვანელებზე, რომლებიც სათავეში უდგანან მმართველობის ცენტრალურ აპარატს და არა ისეთ პირველად რგოლებზე, როგორცაა თეატრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემაში.

ამრიგად, მოცემული შემთხვევისათვის 118 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებაც სრულიად უმართებულოა, როგორც დანაშაულის სუბიექტის, ისე მისი ობიექტის თვალსაზრისით.

ამიტომ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ საბრალდებლო დასკვნაში მოყვანილ



ფაქტიურ გარემოებებს დადგენილად ჩავთვლით, მურღულიას დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს არა 103-5 მუხლის მეორე ნაწილით და 118 მუხლის 1 ნაწილით, არამედ 117 მუხლით, რომელიც დაუდევრობას ითვალისწინებს.

მაგრამ მე ბრალმდებელს მარტოდენ კვალიფიკაციის საკითხში როდი ვედავები:

მე ვაცხადებ, რომ სამართალში მიცემული სრულიად უდანაშაულოა და შეგვეცდები ეს ჩემი მტკიცე რწმენა დავასაბუთო კიდევაც.

ბრალდების ფორმულა იმით იწყება, რომ მურღულია, როგორც თეატრის დირექტორი, თავის მოვალეობას დაუდევრად ასრულებდა, რაც თითქოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხვედველობის მითითებათა სისტემატურ შეუსრულებლობაში და ელემენტარულ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა უგულვებელყოფაში გამოიხატება.

აქ მხედველობაშია ის, რომ თეატრს დეკორაციებისათვის საგანგებო საწყობები არ გააჩნდა და რომ დეკორაციები ცეცხლისაგან დამცველი ხსნარებით გაყენილი არ იყო. ბრალდება იმასაც ხაზს უსვამს, რომ სცენაზე ინახებოდა ხუთი დადგმის დეკორაციები, თუმცა იქ მხოლოდ ორი დადგმის დეკორაციების შენახვა იყო ნებადართული.

სამჯავრო გამოძიებით დადგენილია, რომ დეკორაციების გაყენთა ცეცხლისაგან დამცველი ხსნარებით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ სახელოსნოებში. ისეთმა ავტორიტეტულმა მოწმემ, როგორც ამხ. კანდელაკია, სასამართლოს განუცხადა, რომ მურღულიამ, როგორც თეატრის დირექტორმა, არაერთხელ დასვა საკითხი ხელოვნების სამმართველოს წინაშე, რათა აშენებული ყოფილიყო სპეციალური საწყობი დეკორაციებისათვის და

მოწყობილიყო მათი ცეცხლისაგან დამცველი გასაყენი სახელოსნო.

მაგრამ სახსრები გაღებული არ იქნა, რადგან თანხები საჭირო იყო უფრო აქტუალური ობიექტების მშენებლობისათვის, რის გამოც მურღულიამ ვერც საწყობისა და ვერც გასაყენი სახელოსნოს აშენება ვერ შესძლო.

თავისთავად ცხადია, რომ მას ამისათვის პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

ასევე დაუსაბუთებელი განსავით ბრალდება სცენაზე დეკორაციების გადაჭარბებული რაოდენობის შენახვაში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც მარტოდენ სასაწყობო შენობათა უქონლობა საკმაო საფუძველს წარმოადგენდა იმისათვის, რომ სამართალში მიცემულ მურღულიას ეს ბრალდება მოეხსნას.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვიდმეტი დადგმის დეკორაციებიდან, რომლებიც ცეცხლისაგან დაზარალდა, ხანძრის დამეს სცენაზე იყო არა ხუთი დადგმის დეკორაცია, როგორც ეს აღნიშნულია საბრალმდებლო დასკვნაში, არამედ მარტოდენ სამი დადგმის დეკორაციების ცალკეული ნაწილები, რომლებიც თავისი მოცულობით, როგორც ეს საქმეში არსებული ცნობიდან სჩანს, 5 კუბ. მეტრს არ აღემატებოდა, და ამრიგად მხოლოდ ორი დადგმის დეკორაციების მოცულობას შეადგენდა.

სახანძრო დაცვის სამმართველოს ზოგიერთი მითითების შესრულება საერთოდ შეუძლებელი იყო.

ასეთი იყო, მაგალითად, სამმართველოს მოთხოვნა, რათა მურღულიას შემოეღო თეატრის პასუხისმგებელ მუშაკთა განუწყვეტელი მორიგეობა დღეღამის განმავლობაში.

მაგრამ ყოველგვარ მოთხოვნებს, თუნდაც ისეთებსაც კი, რომელთა წყა-

როს საქმისადმი სიყვარული წარმოადგენს, თავისი საზღვრები უნდა გააჩნდეს, თორემ იგი შესაძლებელია, ასე ვთქვათ „სახანძრო პატრიოტიზმად“ გადაიქცეს. განუწყვეტელი მორიგეობის შემოღების მოთხოვნაც სწორედ ასეთი ხასიათისა იყო.

გამორკვეულია, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭომ დააწესა პასუხისმგებელ მუშაკთა მორიგეობა წარმოებებში ღამის 12 საათიდან დილის 9 საათამდე. მურღულია ასეც მოიქცა. მაგრამ განა მურღულიას უფლება ჰქონდა საათების გარკვეული რაოდენობით დაწესებული მორიგეობა მთელი დღე-ღამით განუწყვეტელ მორიგეობად გადაექცია?

ამგვარი მორიგეობის შემოღება ხომ პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ თეატრის მთელი წამყვანი შემოქმედებითი პერსონალი, ჩვენი სახალხო და დამსახურებული არტისტები, სახანძრო დაცვის მუშაკთა ერთგვარ „დამხმარე რაზმად“ გამხდარიყვნენ, რაც მათ თავიანთი ძირითადი პროფესიული მოღვაწეობის განხორციელების საშუალებას წაართმევდა.

დამერწმუნეთ, რომ სახანძრო დაცვის სამმართველოს ამგვარი დაუსაბუთებელი და არსებითად უკანონო მოთხოვნის შეუსრულებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დანაშაულად ჩაეთვალოს სამართალში მიცემულ მურღულიას.

რა მდგომარეობაში იყო თეატრის პირველადი სახანძრო მოწყობილობა და განხორციელებული იყო თუ არა სამართალში მიცემული მურღულიას მიერ თეატრის მოსალოდნელი ხანძრისაგან დასაცავად საჭირო ღონისძიებები?

სასამართლოს მიერ დაკითხულმა ექსპერტმა, სახანძრო დაცვის სამმართველოს მუშაკმა პოლკოვნიკმა ბარამიძემ განმარტა, რომ „ცეცხლის ჩასაქრობი

პირველადი საშუალებები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა“.

სამართალში მიცემულმა მარლენგმა დაადასტურა ეს გარემოება და დასძინა, რომ ხანძრის დაწყებიდან პირველი 10-20 წუთის განმავლობაში ეს საშუალებები, კერძოდ, საწვიმარი მოწყობილობა, მოქმედებაში რომ მოყვანილიყო ყველაფერს გადავარჩენდითო.

ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი საშუალებების წესრიგში ყოფნა თქვენ დაგიდასტურათ აგრეთვე თეატრის სახანძრო დაცვის ყოფილმა უფროსმა გაბელიამ.

რომ ყველა ამ პირთა მტკიცება საგსებით სინამდვილეს შეეფერება, ამას მოწმობს სახალხო არტისტის, თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის აკაკი ვასაძის ნაამბობი, რომ ერთხელ სცენაზე გაჩენილა ცეცხლი, რომელიც სულ რამოდენიმე წამში ჩაუქრიათ საწვიმარების ამოქმედებით, რომლებმაც სცენას რამოდენიმე ასეული ტონა წყალი დაასხეს.

(შემდეგ ორატორს მოჰყავს რიგი დამამტკიცებელი საბუთებისა, რომლებიც მოწმობენ მურღულიას მუდმივ მზრუნველობას თეატრში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარებისათვის).

სამართალში მიცემულ მურღულიას ბრალდება წაყენებული აქვს იმაშიც, რომ მან, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვით, რომ ვთქვათ „გაფორმების გარეშე“ დაუშვა სამართალში მიცემული მაჭავარიანი რეჟისორის თანაშემწის მოვალეობის აღსრულებაზე, და რომ მაჭავარიანმა ისეთი საშუალებებით მოახდინა გასროლა, რაც ხანძრის საშიშროებას ქმნიდა და ეს თითქოს მურღულიასათვის ცნობილი იყო.

ბრალდების ეს ნაწილიც სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასაძემ და



რეჟისორმა ალექსიძემ სასამართლოს კატეგორიულად დაუდასტურეს, რომ სამართალში მიცემული მაჭავარიანი რეჟისორის თანაშემწედ მათ წამოაყენეს და რომ სამართალში მიცემული მურღულიასათვის მათი ეს გადაწყვეტილება სავალდებულო იყო, რამდენადაც სამხატვრო დარგის საკითხების გადაჭრა მათ კომპეტენციაში შედიოდა. რაც შეეხება არამართებულ მტკიცებებს, თითქოს მაჭავარიანის დანიშვნა გაფორმებული არ იყო, თქვენ დარწმუნდით, რომ მაჭავარიანის დანიშვნა ბრძანებით გაფორმდა და რომ საბედისწერო ხანძრის შემთხვევამდე ამ ახალგაზრდა მუშაკის აქტივში უკვე ოთხმოცამდე თეატრალური დადგმა ითვლებოდა.

სცენაზე გასროლის მოხდენა უნდა სწარმოებდეს რეკვიზიტორ რაშიოიანის ან თანამშრომელ მანუკოვას მიერ. თეატრში დაშვებული ბრძანების თანახმად ამის მეთვალყურეობა დასის გამგეს ან რეჟისორის ასისტენტს ევალება, მაგრამ მოწმეთა — ხორავას, ალექსიძის და ვასაძის განმარტებით, რეჟისორის თანაშემწე უფლებამოსილია თვითონაც მოახდინოს გასროლა.

საქმე იმაშია, რომ მურღულიას არამც თუ არ მიუცია ნებართვა მაჭავარიანისათვის გასროლის მოსახდენად, არამედ მან საერთოდ არც კი იცოდა, რომ გასროლას აწარმოებდა მაჭავარიანი და არა სცენის სხვა მუშაკი.

მაჭავარიანი არ უარყოფს, რომ ის აწარმოებდა გასროლას. ის არც იმას ამტკიცებს, რომ ამის შესახებ იცოდა დირექტორმა, მანუკოვამ კი კატეგორიულ ფორმებში განაცხადა, რომ დირექტორმა არ იცოდა, რომ მან მაჭავარიანს დამბაჩა გადასცა სასროლად.

საბრალმდებლო დასკვნის ავტორი და ამხანაგი პროკურორი სცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ თითქოს სპექტაკლის მსვლელობაში სროლის

წარმოება აკრძალულია, ეს უსწორო გახლავთ. პირიქით, ხელოვნების სამმართველოს მიერ 1939 წლის 3 მარტს თეატრებისათვის დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის ინსტრუქციის მე-9 პარაგრაფი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ „სროლისათვის დასაშვებია მხოლოდ შავი კვამლიანი დენთი უტყვიოდ და აზბესტის თხელი საცობით“. იქვე ნათქვამია, რომ დენთით სარგებლობა უნდა ხდებოდეს სადადგმო ნაწილის გამგის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. რაიმე სპეციალური აკრძალვა რუსთაველის სახელობის თეატრში გასროლების მოხდენისას არ არსებობს. მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ სროლის საწარმოებლად სცენაზე განკუთვნილი იყო საგანგებო ადგილი. და თუ კი სპექტაკლის მსვლელობის გარემოებათა მიხედვით სროლა სცენის კულისების სხვა რომელიმე ნაწილში სწარმოებდა, ამ გასროლების უშიშროებისათვის თვალყურის დევნება მეხანძრეებს ევალებოდათ.

ამრიგად, მაჭავარიანის დაშვება რეჟისორის თანაშემწის თანამდებობაზე კანონიერ პირობებში მოხდა, გასროლების საწარმოებლად სათანადო ადგილი იყო გამოყოფილი და სროლაც სწარმოებდა ნებადართული იარაღითა და ნებადართული საშუალებებით.

ასეთ პირობებში მურღულიას მიმართ წარდგენილი ბრალდება ამ ნაწილში დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

საბრალმდებლო ფორმულის დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ მურღულიამ ფაქტიურად გააუქმა თეატრის სცენაზე ხანძარსაწინააღმდეგო საგუშავო იმიტ, რომ მან ერთდროულად გაუშვა შვებულებში სამივე მეხანძრე, ხოლო პასუხისმგებელი მორიგეები კი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაში არ გამოიყენა, რის შედეგადაც 1949 წლის 9

ივლისის ღამით თეატრში ხანძარი გაჩნდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღიარებული იქნას ის ამბავი, რომ მურღულიამ არაერთხელ დასვა საკითხი თეატრში მეხანძრეთა რიცხვის გადიდების შესახებ. მიიჩნევდა რა, რომ 12 მეხანძრე საკმარისი არ არის, საშტატო დისციპლინის დარღვევით სამსახურში მიიღო მეცამეტე მეხანძრე სხვა საშტატო ერთეულის ანგარიშში.

12 კაციან შტატის არსებობის პირობებში, ცხადია, რომ ერთი მეხანძრეთაგანი ყოველთვის შვებულებაში აღმოჩნდებოდა და ამრიგად თეატრში სახეზე შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 11 მეხანძრე. ფაქტიურად კი 1949 წლის ივლისში სამი მეხანძრის შვებულებაში გაშვების შედეგად სამუშაოზე დარჩა ათი კაცი, ე. ი. მხოლოდ ერთი კაცი თანაკლები იმაზე, რაც შეიძლება ყოფილიყო დამტკიცებული შტატის პირობებში. სამი კაცის შვებულებაში გაშვება არ შეიძლება ბრალად ჩაეთვალოს მურღულიას, რამდენადაც მან ეს გააკეთა სპეციალისტის, სახანძრო დაცვის უფროსის მარლენოვის შუამდგომლობის საფუძველზე, იმ მარლენოვისა, რომელიც სამსახურში მოვლენილი იქნა სახანძრო დაცვის სამმართველოს მიერ. მარლენოვი კი ამ შემთხვევაში იმით ხელმძღვანელობდა, რომ ზაფხულში, როდესაც თეატრი დაკეტილი იქნება, დარჩენილი 9 კაცი და მათთან ერთად მეთათე თვითონ უფროსი სავსებით უზრუნველყოფდნენ სამ ხანძარსაწინააღმდეგო საგუშაგო მომსახურებას იმ ანგარიშით, რომ დღეღამის განმავლობაში ერთ საგუშაგოზე სამი კაცი იდგა ხოლმე.

ამიტომ ბრალდების აზრი, თითქოს სამი მეხანძრის შვებულებაში გაშვება ფაქტიურად ნიშნავდა სცენაზე ხანძარსაწინააღმდეგო საგუშაგოს გაუქმებას, სრულებით უმართებულო გახლავთ.

მარლენოვმა განმარტა, რომ სცენაზე საგუშაგო არამცთუ არ გაუქმებულა,

არამედ მან შემთხვევის ღამით მორიგე მეხანძრეს, სამართალში მიცემულ ავერტისოვს წინადადება მისცა, რომ სწორედ ამ საგუშაგოზე დარჩენილიყო.

თეატრის სახანძრო დაცვის მუშაკებმა მოწმეებმა მეხანძრე მჭედლიშვილმა და სახანძრო დაცვის ყოფილმა უფროსმა გაბელიამ აჩვენეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე გარემოებათა შედეგად სამორიგეოდ მხოლოდ ერთი მეხანძრე რჩებოდა, იგი მოვალე იყო სცენაზე გაეწია მორიგეობა, სახანძრო დაცვის უფროსი კი, როგორც წესი, მთელი ღამით უნდა დარჩენილიყო თეატრში.


დაბოლოს, გარდა მეხანძრეებისა, თეატრში ხომ კიდევ მორიგეობდნენ პასუხისმგებელი მორიგეები, რომელთა წყალობით მეხანძრეს არ ჰქონდა აუცილებლობა დაეტოვებინა საგუშაგო სცენაზე. მასასადამე, ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ეს საგუშაგო გაუქმებული იქნა, საერთოდ არ შეესაბამება სინამდვილეს.

ამრიგად, ბრალდების ეს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

იმისათვის, რათა მურღულიას უდანაშაულობა სრულიად ცხადი და ნათელი გახდეს, მე შევეცდები სასამართლოს დავუდასტურო, რომ თეატრში გაჩენილი ხანძარი მიზეზობრივად დაკავშირებულია სულ სხვა ამბებთან, რასაც არავითარი საერთო არ გააჩნია მურღულიას მოქმედებასთან.

როგორც ეს საქმის განხილვის მსვლელობაში დადასტურდა, ხანძრის ღამით პირველ საათზე თეატრიდან უკანასკნელი წასულა მსახიობი კიკნაძე. ხანძარი შემჩნეული იქნა ღამის 2 საათსა და 15 წუთზე. 2 საათსა და 28 წუთზე ადვილზე გამოცხადდა სახანძრო რაზმი.

ამრიგად, ხანძარი ერთი საათისა და თხუთმეტი წუთის განმავლობაში შეუ-



მჩნეველი დარჩა! ექსპერტებიც დაახლოებით ამგვარად მიუთითებენ.

ამ ერთი საათისა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ცეცხლი გასაოცარი სისწრაფით მოედო სცენას, გავრცელდა მაყურებელთა დარბაზში და აქედან გადაედო თეატრის სხვენსა და საკონცერტო დარბაზსაც.

ექსპერტის დასკვნით ხანძარი გაჩნდა იმის გამო, რომ სცენაზე გასროლის შედეგად ცეცხლმოკიდებული საფენი საფეხებით ჩაქრობილი არ იქნა.

გამორკვეულია, რომ 9 ივლისის დამით პიესა „პირველი ნაბიჯის“ უკანასკნელი აქტის დამთავრების შემდეგ მოწმეთა მამულაშვილისა და ჩანჩალეიშვილის მიერ სცენის მარცხენა ნაწილში აღმოჩენილი იქნა ცეცხლმოკიდებული იატაკსაფენი, რომლის გვერდით სხვა საფენი იყო.

მამულაშვილმა და ჩანჩალეიშვილმა საფენი სცენის მარჯვენა მხარეს გადაიტანეს და ჩაქრეს რეკვიზიტორ მანუკოვას მიერ მოტანილი ერთი ბოთლი წყლით, ხოლო მუშა სულხანიშვილი კი გაგზვნეს მეხანძრეების დასაძახებლად.

მეხანძრე, სამართალში მიცემული ავეტისოვი, შემდეგ კი სამართალში მიცემული მარნელოვიც შემთხვევის ადგილას მოვიდნენ, იკითხეს, თუ საიდან მოიტანეს საფენი და დარწმუნდნენ რა, რომ ცეცხლი ჩამქრალიყო, უკანვე გაბრუნდნენ.

მათ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ იმისათვის, რათა აღმოჩინათ სხვა შესაძლებელი კერა ცეცხლისა სცენის იმ ნაწილში, საიდანაც ეს საფენი იქნა მოტანილი. ეს იქიდან ჩანს, რომ იმ დროს სცენაზე მყოფ არც ერთ მოწმეს არ დაუხანახავს რომ მარნელოვი ან ავეტისოვი სცენის რაიმე დათვალიერებას ახდენდნენ.

საფენზე ცეცხლის გაჩენის უცნაურობა და მისი წარმოშობის მიზეზის გამოურკვეველობა თავისთავად წარმოად-

გენდა საფუძველს, რათა ეს პირები, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღება, შეუფოთებულ იყვნენ, მით უმეტეს, რომ მოწმე ჩანჩალეიშვილმა პირდაპირ გააფრთხილა ავეტისოვი საშიშროების შესახებ.

რეკვიზიტორმა მანუკოვამ, თავის მხრივ გააფრთხილა მარნელოვი და ავეტისოვი, რომ საჭირო იყო ზომების მიღება რაიმე უბედური შემთხვევის თავიდან ასაცდენად.

მურღულიასათვის არავის არ უთქვამს, რომ ცეცხლმოკიდებული საფენი აღმოაჩინეს. პასუხისმგებელი მორიგე თავაძე მორიგეობაზე არ გამოვიდა და რომ ის არ გამოცხადდებოდა მეხანძრეებისათვის ცნობილი იყო. მაგრამ არც ავეტისოვსა და არც მარნელოვს ამის შესახებ მურღულიასათვის არ მოუხსენებიათ, თუმცა ისინი ვალდებულნი იყვნენ.

საგანგებო ზომების მიღების ნაცვლად სახანძრო დაცვის უფროსმა მარნელოვმა ავეტისოვს წინადადება მისცა თვალყური ედევნებინა სცენისათვის, თვითონ კი თეატრიდან წავიდა. ავეტისოვმა კი ტელეფონთან მიიძინა და მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როდესაც ხანძარი უკვე ბობოქრობდა. ხანძრის საწინააღმდეგო პირველადი ღონისძიებების ჩატარება უკვე შეუძლებელი იყო.

ამავე დროს დადგენილია, რომ მარნელოვი შექმნილ პირობებში მოვალე იყო თეატრში დარჩენილიყო, გაეძლიერებინა თეატრის შენობის დაცვა, ეცნობებინა მომხდარი შემთხვევის შესახებ დირექტორისათვის და გამოეწვია სახანძრო რაზმი, რათა ჩატარებულყო საჭირო პროფილაქტიკა.

სწორედ ასე ესმით სახანძრო დაცვის უფროსის მოვალეობანი სასამართლოს მიერ დაკითხულ დაცვის ყოფილ უფროსს გაბელიას და თეატრის მეხან-

ძრე მჭედლიშვილს. ასეთივე გახლავთ სახანძრო დაცვის სამმართველოს წარმომადგენლის, ამ საქმეზე ექსპერტის სახით დაკითხული პოლკოვნიკ ბარამიდის დასკვნაც.

ნაწილობრივად ეს თვალსაზრისი საბრალმდებლო დასკვნის მიერაც გაზიარებულია, რამდენადაც მარლენოვის დანაშაულს იმაში ხედავენ, რომ მან „არ მიიღო საჭირო ზომები ხანძრის კერის ლიკვიდაციისათვის, არ შეამოწმა სცენის მდგომარეობა ხანძრის სხვა კერების გამოვლინების მიზნით“.

საბრალმდებლო დასკვნაში ავეტისოვის მიმართ მითითებულია იგივე გარემოებებზე, აგრეთვე იმაზედაც, რომ მან დასტოვა პოსტი სცენაზე და ტელეფონთან მიიძინა.

მაშასადამე, თვით საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით სჩანს, რომ თეატრში ხანძრის წარმოშობა და მისი გავრცელება შესაძლებელი შეიქმნა იმ დაუზღვევრობის შედეგად, რაც ცეცხლმოკიდებული საფენის აღმოჩენისას გამოიჩინეს მარლენოვმა და ავეტისოვმა.

და სწორედ ამ მომენტიდან იწყება ის დანაშაულებრივი უმოქმედობა, რაც ხანძართან უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფება: სამართალში მიცემულ მარლენოვსა და ავეტისოვს რომ იმ დროს თავიანთი სამსახურებრივი ვალი პირნათლად შეესრულებინათ, ისინი თეატრს ხანძრისაგან გადაარჩენდნენ, თვით კი საბრალმდებლო სკამზე ჯდომას თავიდან აიცილებდნენ.

ცხადი ხდება ისიც, რომ მურღულიას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ხანძრის ღამეს თეატრში მომხდარი ამბების ის მსვლელობა, რამაც საბედისწერო შედეგი მოიტანა.

...და სამართალში მიცემულ მურღულიას დამნაშავედ მიჩნევა მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრში, რომლის დირექტორიც იგი იყო, ხანძარი გაჩნდა, ეს

ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საწარმოს ხელმძღვანელს დავაკისროთ ერთგვარი უნივერსალური პასუხისმგებლობა ამ საწარმოს ყველა მუშაკთა მოქმედებისათვის, მიუხედავად მისი პირადი ბრალეულობისა. ეს კი ყოველად დაუშვებელი იქნებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა არაერთხელ აღნიშნავდა, რომ უმართებულად უნდა იქნეს მიჩნეული თანამდებობის პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი, რომელიც სხვა თანამდებობის პირთა მოქმედებისაგან წარმოიშვა უშუალოდ არ იმყოფება მის მოქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში და როდესაც მას არ შეეძლო არც მისი გათვალისწინება და არც თავიდან აცილება.

ამხანაგო მოსამართლენო!

დადგენილია, რომ მურღულია თეატრის საუკეთესო და ინიციატივიანი დირექტორია. იგი ორდენით გახლავთ დაჯილდოებული, მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება საქართველოს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო და სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

რუსთაველის თეატრში მურღულია თითქმის 30 წლის განმავლობაში მუშაობს, ხოლო მის დირექტორად ათი წელია რაც ითვლება.

სამართალში მიცემული მურღულია იმსახურებს სრულ გამართლებას. და მე მწამს, რომ თქვენ გამამართლებელი განაჩენი საშუალებას მისცემს მურღულიას კვლავ შევიდეს განახლებული და საზეიმოდ გაჩირადნებული თეატრის შენობაში, რომლის პირუთვნელ სამსახურსაც მიუძღვნა მან მთელი თავისი სიცოცხლე!



საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებანი

წარმოშობის საერთო საფუძველი და მოქმედების ერთიანი მიზანი აერთებთ საბჭოთა სამართლის სისტემაში შემავალ ცალკეულ დარგებს. გამოხატავს რა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს, სოციალისტური სამართალი მთლიანად მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწერიებლად, კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

სამართლის სისტემის შიგნით ცალკეული დარგები ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ. მეტად მრავალმხრივია საზოგადოებრივი ურთიერთობის ის სფერო, რომელსაც სამოქალაქო სამართალი არეგულირებს. ჩვენი საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობის ძირითადი მასა მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის მიერ. ეს ურთიერთობა წარმოიშობა სოციალისტურ ორგანიზაციებს, სოციალისტურ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებსა და მოქალაქეებს შორის. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის, საკუთრების სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება უპირატესად სამოქალაქო სამართალში ხდება. სწორედ ამ ურთიერთობებს უკავიათ წამყვანი ადგილი სამოქალაქო სამართალში, მაგრამ ამასთან ერთად სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირადი, არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს. ასეთია ავტორობის უფლება ნაწარმოების გამრცემაზე, მის ხელშეუხებლობაზე. ამგვარი ხასიათის უფლებებს მიეკუთვნება სახელის უფლება, ღირსების უფლება და სხვ.

სამოქალაქო სამართალი მართო ქონებრივი და ზოგიერთი არაქონებრივი ხასიათის უფლებებს როდი აწესრიგებს. იგი აწესრიგებს აგრეთვე ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა უფლებრივ მდგომარეობასაც.

სსრ კავშირის ყველა მოქალაქე უფლებაუნარიანია, ე. ი. ყველას თანაბრად შეუძლიათ ქონდეს უფლებანი და მოვალეობანი. მოქალაქის უფლებაუნარიანობა მისი დაბადებიდან იწყება. მხოლოდ გამონაკლისის წესით შეიძლება ზოგიერთი უფლების გაჩენა დაბადებამდე. მაგალითად, თუ კი მამა გარდაიცვლება შვილის დაბადებამდე, ამ უკანასკნელს უჩნდება მემკვიდრეობის, პენსიის მიღების უფლება. პირის სიცოცხლეში შეუძლებელია უფლებაუნარიანობის სრული წართმევა. პირს შეიძლება ჩამოერთვას განსაზღვრული, კონკრეტული უფლებანი (მაგალითად, მემკვიდრეობის უფლება, მშობლის უფლება და ა. შ.), პირის სიკვდილით კი ისპობა მისი უფლებაუნარიანობა. სამოქალაქო სამართალი იცნობს უფლებაუნარიანობის მოსპობის სპეციალურ წესს, რომელიც დაკავშირებულია პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან და უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვალებულად გამოცხადებასთან.

როგორც აღვნიშნეთ; ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე უფლებაუნარიანია, მაგრამ ყველა არ არის ქმედობაუნარიანი. საქმე იმაშია, რომ ყველას არ შეუძლია თავისი მოქმედებით გა-

ნახორციელოს უფლებანი და მიიღოს თავის თავზე მოვალეობანი. ასეთი უნარი მხოლოდ სრულწლოვანს აქვს, მაგრამ არა ყველა სრულწლოვანს. არ არის ქმედობათნარიანი ისეთი სრულწლოვანი პირი, რომელსაც სულით ავადმყოფობის ან გონებრივი სისუსტის გამო არ შეუძლია გონიერად გაუძღვეს თავის საქმეს და რომელიც ამიტომ კანონით დადგენილი წესისამებრ სათანადო დაწესებულების მიერ არაქმედობათნარიანად იქნება გამოცხადებული.

ქმედობათნარიანობა გულისხმობს მოცემული პირის უნარს შეგნებულ დამოკიდებულებაში იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედობისადმი. ამიტომ სრული ქმედობათნარიანობა 18 წლის ასაკიდან იწყება. ნაწილობრივ ქმედობათნარიანობა შეიძლება უფრო ადრე დაიწყოს. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლით არასრულწლოვანს, რომელსაც 14 წელი შეუსრულდა, შეუძლია დადოს გარიგება თავისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის, შვილად ამყვანის) თანხმობით. მასვე შეუძლია დამოუკიდებლად განკარგოს მის მიერ მიღებული ხელფასი. არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის ვარემე განკარგავს მის მიერ თავის სახელზე შემნახველ სალაროში შეტანილ ანაბარს.

14 წელს მიუღწეველი პირი მოკლებულია ქმედობათნარიანობას. ამის გამო მის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს მშობელი, ანდა ის პირი, რომელსაც ზედამხედველობის გაწევა ეკისრებოდა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405-ე მუხლის ძალით 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის მასთან ერთად პასუხს აგებენ აგრეთვე მშობელნი და მფურვენი.

უფლებათნარიანობა თვისებაა, რომე-

ლიც კანონის მიერ არის დადგენილი. ამიტომაც არავის არ შეუძლია უარი თქვას მის კუთვნილ უფლებათნარიანობაზე და აგრეთვე დადოს ისეთი გარიგება, რომელიც მიმართული იქნება უფლებათნარიანობის ანდა ქმედობათნარიანობის შესაზღუდავად (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი).

უფლებათნარიანობა და ქმედობათნარიანობა დამახასიათებელია იურიდიული პირებისათვისაც, მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე ერთდროულად ჩნდება იურიდიული პირის შექმნასთან დაკავშირებით.

იურიდიული პირებია სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოები. რა თქმა უნდა, ყველა ორგანიზაცია და საწარმო არ არის იურიდიული პირი. იურიდიული პირია ისეთი ორგანიზაცია, საწარმო, პირთა გაერთიანება, რომელსაც გააჩნია კანონით დადგენილი დამახასიათებელი ნიშნები. ასეთი ნიშანი ოთხია: უპირველესად, იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ვანცალკეუებული, დამოუკიდებელი ქონება, ისეთი ქონება, რომელიც არ ითქვიფება სხვა რომელიმე ორგანიზაციის ქონებაში. მეორე, იურიდიულ პირს უნდა ახასიათებდეს გარკვეული ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთიანობა. მესამე, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უფლება გამოვიდეს თავისი საკუთარი სახელით, უფლება შეიძინოს თავისთვის სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი. მეოთხე, ორგანიზაცია, როგორც წესი უნდა კისრულობდეს დამოუკიდებელ ქონებრივ პასუხისმგებლობას თავისი ვალდებულებებისათვის.

იურიდიული პირი იძენს და ახორციელებს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს თავისი ორგანოს საშუალებით. ორგანოს ადგილსამყო-



ფელი იურიდიული პირის ადგილსამყოფელია. ორგანოს მოქმედება, როცა იგი იურიდიული პირის სახელით ხდება, იმდენად არის იურიდიული პირის მოქმედება, რამდენადაც იგი იურიდიული პირის წესდების, ანდა დებულების შესაბამისად ხორციელდება. მხოლოდ ამგვარი მოქმედება წარმოშობს უფლებებსა და ვალდებულებებს იურიდიული პირისათვის. იმ შემთხვევაში, როცა ორგანოს ანდა იურიდიული პირის წარმომადგენლის მოქმედება ეწინააღმდეგება იურიდიული პირის წესდებას, ან დებულებას, პასუხისმგებლობა ფიზიკურ პირს დაეკისრება.

* * *

სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობის წარმოშობაში, მის შეცვლასა და მის მოსპობაში გარიგებებს წამყვანი ადგილი უჭირავთ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი).

გარიგების დადება შეიძლება სიტყვიერად და წერილობით. თავის მხრივ წერილობითი გარიგება შეიძლება იყოს მარტივი და სანოტარო წესით დამოწმებული.

როგორც საერთო წესი, გარიგების ფორმას განსაზღვრავენ მხარეები თავიანთ შეხედულებისამებრ. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კანონი თხოულობს განსაზღვრული ფორმის სავალდებულო დაცვას. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნაღდი ანგარიშსწორების დროს, თანხის მიუხედავად, შეიძლება ქმნილ იყოს სიტყვიერად. საცხოვრებელი შენობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება კი, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის ძალით, ბათილობის რიდით, დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. ასევე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 424-ე მუხლით ანდერძი საჭიროა გაფორმდეს წერილობით. იგი ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ

და დამოწმებული ნოტარიუსის, სახალხო სასამართლოს, ანდა სასოფლო საბჭოს მიერ. იმ შემთხვევებში, თუ მოანდერძემ წერა არ იცის, ან მას რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია ხელისმოწერა, მის მაგიერ ანდერძის დამოწმებული ორგანოს თანდასწრებით ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი.

დადგენილი ფორმის დაუცველობა, საერთო წესით, იწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი შედეგი პირდაპირ გათვალისწინებულია კანონში. სხვა ვითარების დროს ფორმის დაუცველობა მხოლოდ აძნელებს იმ უფლება-მოვალეობის დამტკიცებას, რომლებიც გარიგებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ არ იწვევს მათ ბათილობას: სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის შენიშვნით დავის შემთხვევაში ხელშეკრულების დასადასტურებლად არ შეიძლება დაგვეყრდნოთ მოწმეთა ჩვენებას, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი არეგულირებს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია გარიგების ნამდვილობისათვის. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში გარიგება ბათილად ითვლება. ბათილ გარიგებებიდან საზოგადოებრივად ყველაზე საშიშია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებანი, რომლებიც დადებულნი არიან კანონის საწინააღმდეგო მიზნით, ან კანონისათვის გვერდის ახვევით, და აგრეთვე გარიგება, რომელიც აშკარად საზიანოა სახელმწიფოსათვის. ასე, მაგალითად, კანონსაწინააღმდეგოა გარიგება, როცა იყიდება მიწა ასევე კანონსაწინააღმდეგო ქმედობაა კოლმეურნეობის მიერ ბუნებრივი სათიბის იჯარით გაცემა. კანონსაწინააღმდეგოა გარიგებანი, როცა ისინი არღვევენ საგემო

დავალეზას, კანონმდებლობას საკრედიტო რეფორმის შესახებ და ა. შ.

გარიგებაში გამოხატული უნდა იქნეს მონაწილეთა ნამდვილი ნება. ამიტომაც გარიგება, რომელიც დადებულია მოტყუების, მუქარისა და ძალადობის გავლენით, ან მისი წარმომადგენლის ბოროტ განზრახული შეთანხმებით კონტრაგენტთან, ანდა ისეთი შეცდომებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი), შეიძლება სასამართლოს დადგენილებით მთლიანად ან ნაწილობრივ გაბათილდეს.

რამდენადაც ნების გამოყენება აუცილებელია გარიგებისათვის, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის ძალით ბათილია გარიგება, დადებული ისეთი პირის მიერ, რომელიც საესეებით მოკლებულია ქმედობაუნარიანობას, ანდა ღროებით არის ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა. ასევე ბათილია ე. წ. კაბალური გარიგება, რომელიც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს. კაბალური გარიგება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით ისეთი გარიგებაა, რომელიც დადებულია უკიდურესი გაჭირვების დროს თავისთვის აშკარა საზიანოდ.

გარიგება შეიძლება ბათილი იყოს იმის გამო, რომ იგი მოჩვენებით ხასიათისაა, ე. ი. დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვეს. მოჩვენებით გარიგებებისაგან განსხვავდება ე. წ. თვალთმაქცური გარიგება, ე. ი. ისეთი, რომელიც დადებულია სხვა გარიგების დასაფარავად.

სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია გარიგების ბათილობის შედეგები. კანონსაწინააღმდეგო და სახელმწიფოსათვის

აშკარად საზიანო გარიგების დროს არც ერთ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს მეორისაგან იმის უკან დაბრუნება, რაც ხელშეკრულებით შესრულებული იყო. უსაფუძვლოდ შექმნილი სიმდიდრე გადახდევინებული უნდა იქნეს სახელმწიფოს შემოსავლად (მუხ. 402). უნდა აღინიშნოს, რომ ბათილობის ეს შედეგი ვრცელდება სახელმწიფო იურიდიულ პირებს შორის დადებულ კანონსაწინააღმდეგო გარიგებებზეც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1939 წლის 16 იელისს მიუთითა, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი შეფარდებული უნდა იქნეს აგრეთვე იმ გარიგებებისადმი, რომელთა მხარეებს სახელმწიფო ანდა საზოგადოებრივი დაწესებულებები და საწარმოები წარმოადგენდნენ. თუ კი დავუშვებდით კანონსაწინააღმდეგო გარიგებების დადების შესაძლებლობას, ამით კანონიერების დარღვევას ხელს შევეწყობდით.¹

როდესაც გარიგება ბათილად ცნობილია როგორც არაქმედობაუნარიანი პირის მიერ დადებული, თვითეული მხარე ვალდებულია დაუბრუნოს მეორეს ყველაფერი, რაც ხელშეკრულებით მიუღია. იმ შემთხვევებში, როცა გარიგება გაბათილდება იმის გამო, რომ იგი დადებულია მისი მონაწილის ნების დეფექტით, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს კონტრაგენტს დაუბრუნოს ყველაფერი, რაც ხელშეკრულებით შეუსრულებია. მეორე მხარეს ასეთი უფლება არა აქვს.

* * *

სამოქალაქო სამართლის, ისე როგორც მთელი სოციალისტური სამარ-

1. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოქმედ დადგენილებათა კრებული, 1958 წ. გვ. 126.



თლის ძირითადი ინსტიტუტია საკუთრების ინსტიტუტი. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან წარმოების იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება, მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, სსრ კავშირის ეკონომიური საფუძველია. წარმოების იარაღებისა და საშუალებების საკუთრების სოციალისტური ტიპი ორი ფორმით არსებობს. სახელმწიფო (საყოველთაო-სახალხო კუთვნილება) საკუთრება და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება. სოციალისტური საკუთრების ამ ორი ფორმიდან გამომდინარეობს პირადი საკუთრების ორი განსხვავებული სახე. ცალკეულ მოქალაქეთა პირადი საკუთრება და სოფლად საკოლმეურნეო კომლის საკუთრება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 61-65-ე მუხლებით გათვალისწინებულია ერთ ან რამოდენიმე ობიექტზე რამდენიმე პირთა საკუთრება — საერთო საკუთრება (მაგ. მსუბუქ ავტომანქანაზე, საცხოვრებელ სახლზე და ა. შ.); საერთო საკუთრების გამგებლობა, როგორც წესი, ყველა მესაკუთრის თანხმობით ხორციელდება, ამასთან, თანამესაკუთრეს, გარეშე პირთან შედარებით, აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება, როცა საერთო საკუთრების რომელიმე მონაწილეთაგანი თავისი წილის გასხვისებას აპირებს.

საერთო წილობით საკუთრებისაგან განსხვავდება მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, რომელიც იქმნება ქორწინების შემდეგ საერთო შრომით. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის მე-17 მუხლით საერთო შრომაში იგულისხმება ცოლის შრომაც, რომელსაც იგი ეწევა ოჯახის გასაძღოლად და შვილების მოსაყვლად. მეუღლეთა თანაზიარ ქონებაში არ შედის ქორწინებამდელი ქონება, აგრეთვე ქორწინების

შემდეგ შეძენილი ქონება, უკეთეს იგი ჯილდოს, პრემიის, საჩუქრის ანდა მემკვიდრეობის წესით არის მიღებული. არ შედის მეუღლეთა თანაზიარ ქონებაში ინდივიდუალური (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული და სხვ.) და პროფესიული მოხმარების ნივთებიც.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-7 მუხლისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შესაბამისად სოფლად კოლმეურნე გლეხობას აქვს დამხმარე მეურნეობა, საკოლმეურნეო კომლის საკუთრება საერთო საკუთრების თავისებური სახესხვაობაა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით მესაკუთრეს კანონით დაწესებულ ფარგლებში აქვს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლება.

საკუთრების უფლება მოქალაქეებმა უნდა გამოიყენონ ისე, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს ამ უფლების საზოგადოებრივ დანიშნულებას, სოციალიზმის პრინციპებს. ასე მაგალითად, მოქალაქეს უფლება აქვს იყიდოს მსუბუქი ავტომანქანა, გამოიყენოს იგი თავისი და თავისი ოჯახის წევრთა საჭიროებისათვის, მაგრამ არ შეუძლია გადააქციოს იგი არაშრომითი შემოსავლის წყაროდ. ასევე, პირს უფლება აქვს ააშენოს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ხუთი ოთახით, მაგრამ არ შეუძლია აქციოს იგი სასტუმროდ და გაიხადოს არაშრომითი შემოსავლის ძირითად ან მუდმივ წყაროდ.

არსებობს საკუთრების უფლების დაცვის სპეციალური სამოქალაქო სამართლებრივი მეთოდები. მესაკუთრეს, უპირველესად ყოვლისა, შეუძლია მოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60 მუხლით



დადგენილი წესი, რომლის მიხედვით კეთილსინდისიერი მფლობელი ყველა შემთხვევაში არ აბრუნებს ნივთს. ნივთი კეთილსინდისიერ შემძენს ჩამოერთმევა მაშინ, თუ კი დადგენილია, რომ მესაკუთრეს ქონება დაეკარგა ან წაერთვა. ე. ი. მესაკუთრის ნების წინააღმდეგ გავიდა ნივთი მისი მფლობელისაგან.

ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ქონებაზე, უკეთუ ეს ქონება უკანონო წესითაა გასხვისებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ქონება და საბანკო ბილეთები არ შეიძლება ჩამოერთვას კეთილსინდისიერ მფლობელს.

მესაკუთრეს მარტო დარღვეული მფლობელობის აღდგენის მოთხოვნა როდი შეუძლია. მას უფლება აქვს მოითხოვოს მისი უფლების დარღვევის თავიდან აცილება, თუნდაც ეს დარღვევა არ იყოს დაკავშირებული მფლობელობის აღკვეთასთან (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი). მაგალითად მას შეუძლია მოითხოვოს იმ ამოყვანილი კედლის მოშლა, რომელიც აძნელებს და მოუხერხებელს ხდის ბინის გამოყენებას.

საკუთრების უფლება დაცულია აგრეთვე ვალდებულებით სამართლიდან გამომდინარე ნორმებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403-ე მუხლი, რომლის მიხედვით მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი ქონების დაღუპვისათვის, ანდა დაზიანებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამასთან, საბჭოთა სამართალი იცნობს სრულიად ახალი შინაარსის ვალდებულებას, რომლის მიხედვით სოციალისტური საკუთრების გადარჩენის დროს მოქალაქის ქონებისადმი მიყენებული ზარალი ყოველმხრივ ანაზღაურებული უნდა იქნეს.

სოციალისტურ საზოგადოებაში მნიშ-

ვნელოვან როლს ასრულებს ვალდებულებითი სამართალი. თავიანთი საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური ორგანიზაციები ფართოდ მიმართავენ ვალდებულებით ურთიერთობას. ამიტომაც სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მოწესრიგების აქტები უმნიშვნელოვანესი საფუძველია ჩვენს საზოგადოებაში ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის.


ვალდებულების შეუსრულებლობის დროს (მუხ. 117) მოვალე ვალდებულია აუნაზღაუროს კრედიტორს შეუსრულებლობით მიყენებული ზარალი. ამასთან, კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ ზარალი პირდაპირი შედეგი იყო მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა.

მოვალის პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის არის პასუხისმგებლობა ბრალის საფუძველზე.

იმისათვის, რომ მოვალე განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოიშვა იმ მიზეზით, რომლის აცდენა, მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, მას არ ძალუძდა; ე. ი. მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, როცა შეუსრულებლობა შემთხვევით მოხდა. შემთხვევისათვის კი სამოქალაქო კანონმდებლობა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთერთ წანამძღვარად ბრალის აღიარებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი აღიღებს სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობას.

ბრალის მნიშვნელოვანი თავისებურება სამოქალაქო სამართალში იმაში მდგომარეობს, რომ მოვალეს (ზარალის



მიმყენებელს) შეუძლია განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა და ზარალის მიყენება გამოწვეული იყო კრედიტორის განზრახვით ანდა გაუფრთხილებლობით (მუხ. 118), დაზარალებულის განზრახვით, თუ უხეში გაუფრთხილებლობით (მუხ. 403).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით ზარალად იგულისხმება ქონების როგორც ნამდვილი ზიანი, ისე ანაცდენი სარგებლობა. სოციალისტური ორგანიზაციისათვის ანაცდენი სარგებლობა ის მოგებაა, რომელიც კრედიტორს შეეძლო მიეღო, მოვალეს რომ თავისი ვალდებულება სრულად და ვადაზე შეესრულებინა. ანაცდენი სარგებლობა მოქალაქე კრედიტორის მიმართ იმ ქონების მიუღებლობას ნიშნავს, რომელსაც იგი მოვალის მიერ ვალდებულების სათანადოდ შესრულების შემთხვევისათვის მიიღებდა.

ხელშეკრულების მრავალი სახეა მოწესრიგებული სამოქალაქო კანონმდებლობით.

ღირებულების კანონის მოქმედება, რომელიც საგეგმო საწყისებზე სასაქონლო ფულადი ფორმის გამოყენებას გულისხმობს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების გამოყენების სფერო მეტად ფართოა ჩვენს სინამდვილეში. იგი მოიცავს არა მარტო მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის არსებულ ყიდვა-გაყიდვის დამოკიდებულებას, არამედ აგრეთვე სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის არსებულ ურთიერთობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თვით სახელმწიფო ორგანიზაციათა შორის ურთიერთობაში მიწოდების ხელშეკრულების დადების დროს ფართოდ არის გამოყენებული ყიდვა-გაყიდვის ხელ-

შეკრულების მექანიზმი.

სამოქალაქო კანონმდებლობა ყოველმხრივ იცავს პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლებას.

საბჭოთა სამართალში მემკვიდრეობის უფლება ემსახურება ოჯახის, ოჯახური კავშირურთიერთობის განმტკიცებას. ეს მიზანი ნათლად ჩანს კანონით მემკვიდრეთა წრის დადგენაში (მუხ. 418).

კანონით მემკვიდრეთა პირველ წრეში შედიან: გარდაცვალებულის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), მეუღლე, შრომისუნარმოკლებული მშობლები, აგრეთვე სხვა შრომისუნარმოკლებულები, რომლებიც გარდაცვალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე. კანონით მემკვიდრეთა მეორე წრეში შედიან შრომისუნარიანი მშობლები, ხოლო მესამე წრეში — დები და ძმები.

კანონით მემკვიდრეთა რიგრიგობა დადგენილია იმისათვის, რომ არ მოხდეს სამკვიდროს დამტოვებლის ქონების გაუმართლებელი დაქსაქსვა. ამიტომ, მხოლოდ მაშინ შეიძლება მომდევნო წრის მემკვიდრეთა გამოწვევა, როცა წინა წრის მემკვიდრეები ცოცხლები აღარ არიან (მუხ. 432). თუ კი არ არიან კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეები, ანდა მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდრო ქონების მიღებაზე, მაშინ ეს ქონება, როგორც ბეითალმანი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მეტად მნიშვნელოვანია ე. წ. წარმომადგენლობის უფლება. ამ უფლების ძალით, თუ სამკვიდროს დამტოვებლის შვილთაგან რომელიმე გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე, მისი სამკვიდრო წილი გადადის მის შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილებზე), ხოლო უკანასკნელის გარდა-

ცვლების შემთხვევაში მათ შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის შვილის შვილის შვილებზე).

მოქალაქეს შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონება. ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, რომლის ძალით მესაკუთრე სიკვდილის შემთხვევისათვის კანონით დადგენილი წესით განკარგავს თავის ქონებას.

მოანდერძეს უფლება აქვს მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი დაუტოვოს კანონით მემკვიდრეებიდან ერთს ან რამდენიმე პირს. ამასთან, მას შეუძლია წაართვას ქონებაში წილი პირველი რიგის მემკვიდრეს (მაგალითად, შვილს, მეუღლეს) და გადასცეს იგი მესამე რიგის მემკვიდრეს (მაგალითად, დას, ძმას); უკეთუ არ არიან კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეები, მესაკუთრეს შეუძლია უანდერძოს ქონება ნებისმიერ პირს, თუნდაც რომ იგი არავითარ ნათესაურ კავშირში არ იყოს სამკვიდროს დამტოვებელთან. ამასთან, კანონით მემკვიდრეთა არყოფნა დადგინდება არა ანდერძის დამოწმების დროისათვის, არამედ მემკვიდრეობის გახსნის მომენტში. ამიტომაც მოქალაქეებს შეუძლიათ დაუტოვონ ანდერძი გარეშე პირებს, თუნდაც კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ სახეზე. მაგრამ თუ კი მოანდერძის სიკ-

ვდილის შემთხვევაში კანონით დადგენილი მემკვიდრეებისაგან ვინმე ცოცხალი იქნება, მაშინ ანდერძი გარეშე პირის მიმართ გაბათილდება.

ანდერძის თავისუფლება შეზღუდულია ე. წ. სავალდებულო წილით. სამოქალაქო სამართლის 421-ე მუხლის საფუძველზე მოანდერძეს არ შეუძლია მოუსპოს ქონებაზე კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეობის წილი თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუნარმოკლებულ მემკვიდრეებს.

ამასთან ანდერძის დატოვების აბსოლუტური თავისუფლება არსებობს შემნახველ სალაროებსა და საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრებისათვის. მოანდერძეს შეუძლია დაუტოვოს ანაბარი ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

სამოქალაქო კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოქალაქეებს დაუტოვონ თავიანთი ქონება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (უნივერსიტეტს, მუზეუმს, ბიბლიოთეკას და ა. შ.). მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის 422-ე მუხლის ძალით მოანდერძეს უფლება აქვს მიუთითოს, თუ რა დანიშნულებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ნაანდერძევი ქონება.

სურათი და ბუნდოვნება

მ ნ ი შ ვ ე ღ მ ვ ა ნ ი ნ ა შ რ მ ი *

იოანე ბაგრატიონი, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე, ავტორი „კალმასობისა“, ენციკლოპედიური განათლების ადამიანი იყო. იოანე ბაგრატიონი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის წარმომადგენელია, რომელიც განმანათლებელთა იდეებით გამოდიოდა საქართველოში. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოში იოანეს დროს რუსეთის მეშვეობით კარგად იცნობდნენ მონტესკიეს, ვოლტერისა და სხვათა შრომებს. იოანეს უფროსი ძმის დავითის თავისუფალი აზროვნება შეშფოთებას იწვევდა სასახლეში.

იოანეს მრავალი პროგრესული იდეა აქვს წამოყენებული თავის „სჯულდებაში“. იგი დაწერილია 1799 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების მიზნით.

XVIII საუკუნის მიწურულში საქართველოს მესვეურნი ხედავდნენ საქართველოს მძიმე მდგომარეობას და ცდილობდნენ რაიმე საშუალებით საქმის შევლას. სწორედ ამ მიზნით არის დაწერილი „სჯულდებაც“. იოანეს თავის პროექტში დასახული აქვს ის ღონისძიებანი, რომლის გატარების შედეგად, მისი აზრით შესაძლებელია საქართველოს „დაჩინულობიდან“ გამოყვანა. ეს ღონისძიებანი ძირითადად სახელმწიფოებრივ წყობილებას შეეხება.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება ძეგლის გამომცემლის შესავალი სიტყვისაგან, შემდგომ ორი განყოფილებისაგან

შემდგარი შესავალია: ა) ძეგლის შინაარსის შესახებ და ბ) ხელნაწერის აღწერილობა; შემდგომ სჯულდების ტექსტი და ბოლოს ლექსიკონი და საძიებელი.

სულ შრომა 300 გვერდს შეიცავს, აქედან საკუთრივ ტექსტს 56 გვერდი უჭირავს, მაგრამ ამ 56 გვერდიდან ერთ მესამედზე მეტი მაინც სქოლიოებს უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ იოანე ბაგრატიონის ტექსტი შრომის საერთო რაოდენობის ერთ მეათედზე ცოტა მეტი იქნება, ძეგლის გამომცემელი სწორად მოიქცა, რომ მთლიანად შრომას იოანე ბაგრატიონის სახელი მიაკუთვნა, რაც ძეგლის გამომცემელს ეკუთვნის, ეს შრომიდან ისედაც ჩანს, ხოლო თვითონ შრომა იოანეს ტექსტისადმი არის მიძღვნილი.

პროფ. ი. სურგულაძის შრომა სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული.

იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იყო 1894-1896 წლებში ჟურნალ „მწყემსში“, ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის დავით ღამბაშიძის მიერ.

სარეცენზიო შრომის იმ ნაწილში, რომლის სათაურია „ძეგლის გამომცემლისაგან“, ავტორი იხილავს დავით ღამბაშიძის მიერ გამოქვეყნებული „სჯულდების“ ტექსტს, ადარებს მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტთან; მოყავს მთელი რიგი სხვაობანი, ამასთანავე მიუთითებს დავით ღამბაშიძის გამოცემის სერიოზული ხასიათის მრავალ შეცდომაზე, რაც ტექსტის შინაარსს ბუნდოვნად ან არასწორად, დამა-

* იოანე ბაგრატიონი „სჯულდება“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ივ. სურგულაძემ.

ხიჯებულად წარმოგვიდგენს, და ასაბუთებს ძეგლის ახალი გამოცემის საჭიროებას.

შრომის იმ ნაწილში, რომლის სათაურია „ხელოსნის აღწერილობა“, პროფ. ი. სურგულაძის მიერ დაწვრილებით არის აღწერილი ხელნაწერი ავტოგრაფი და ამასთანავე ახსნილია ძეგლის გამოცემის ის გეგმა, რომელიც მან განახორციელა. ხელნაწერი, როგორც გამომცემლის გამოკვლევებიდან ჩანს, არ იცავს ქართული ენის ისტორიის რომელიმე პერიოდისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ენობრივ ნორმებს. იოანე ბაგრატიონის მიერ გამოყენებულია როგორც ძველი ქართულის, ისე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. ხელნაწერი ამ მხრივ დიდ სიჭრელეს ამჟღავნებს. ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად გამომცემელმა მასში ენობრივი ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებების მოხდენისას გამომცემელი ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებით: „თუ ავტორი ერთდამიჯვე სიტყვას სხვადასხვა ფორმაში ხმარობს და ერთი ამ ფორმათაგანი ახალი სალიტერატურო ენის მიხედვით არის გამართული, მაშინ უკანასკნელი ფორმა დავტოვეთ ძალაში, თუნდაც თვითონ ავტორი მხოლოდ ერთხელ მიმართავდეს ამ ფორმას და, საერთოდ კი, უმრავლეს შემთხვევაში ამ სიტყვას სხვა ფორმით წარმოგვიდგენდეს, ე. ი. იმ ფორმით, რომელიც უფრო დაშორებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან“ (გვ. 987). ჩვენის აზრით, გამომცემლის მოსაზრება მართებულია.

ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ ხელნაწერი ენის შესწავლისათვის გამომცემელს დიდი მუშაობა ჩაუტარებია. ამისათვის საკმარისია გადაეჭედოთ ტექსტის სქოლიოებს. სქოლიოებში ზუსტად არის აღნიშნული ხელნაწერის მინაწერებისა და ნუმერაციის

თანმიმდევრობა და ამასთანავე მითითებულია იმაზე, თუ როგორი იყო ეს მინაწერები. ტექსტში მოთავსებული მინაწერები კი ხელნაწერში მრავალია და ტექსტის გამართვისათვის მათ სათანადო ადგილზე მოთავსებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მკითხველს საშუალება აქვს ნახოს თუ ხელნაწერის რომელ ადგილზე იყო მოთავსებული ესა თუ ის მინაწერი, ამასთანავე გაეცნოს ავტორის დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არის მინაწერი გამოცემულ ტექსტში ამ ადგილზე და არა სხვა ადგილზე და სხვ.

შესავლის პირველი ნაწილი — „ძეგლის შინაარსის შესახებ,“ მოკლულობით შრომის სხვა ნაწილზე დიდია, ის 81 გვერდს შეიცავს და ეხება ძეგლში წარმოდგენილ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტს.

შრომის ამ ნაწილში, უპირველესად ყოვლისა, მოკლედ დახასიათებულია ის ეპოქა, რომელშიც დაიწერა ძეგლი და ნაჩვენებია საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა. გამომცემელი მართებულად აღნიშნავს, რომ ფეოდალური საქართველოს პროგრესული წარმომადგენლები საქართველოს „დაჩხილუობიდან“ გამოყვანის ერთერთ საშუალებას სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმებში ხედავდნენ, გამომცემელს დახასიათებული აქვს ძეგლის შედგენის ეპოქა. მისი აზრით, იოანე არ ცდებოდა, როდესაც საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას აფასებდა როგორც „განწირულს“, კრიტიკულს. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ფეოდალიზმის ერთერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ეკონომიური ურთიერთობა არ აღმოჩნდა მყარი, ძლიერი, საერთოდ საქართველოს ფეოდალური ეკონომიკა არ ავიდა განვითარების იმ სიმაღლეზე, რომ საქართველოს პოლიტიკური ერ-

თიანობა ხანგრძლივი ყოფილიყო. „საქართველომ თავისი ძალებით ვერ შესძლო თავი დაედგინა ფეოდალური დაქუცმაცებისათვის, თუმცა ბრძოლა ამ მიმართულებით საქართველოს გვიანფეოდალურ პერიოდშიც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა“ (გვ. 07). საქართველოს „დაჩიხულობა“ იყო შედეგი მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზებისა. საქართველომ ვერ შესძლო ბარბაროსული გარემოცვის საკუთარი ძალებით გარღვევა. „საქართველოს რუსეთთან შეერთება უაღრესად პროგრესული მოვლენაა; ამ შეერთებით ქართველმა ხალხმა გაარღვია ბარბაროსული გარემოცვა და რუს ხალხთან ერთად იწყობრძოლა უკეთესი მომავლისაკენ. იოანე ბაგრატიონი ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ მოწინავე ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებისათვის იბრძოდა“ (გვ. 010).

ძეგლის გამომცემლის დახასიათებით, იოანე ბაგრატიონს თავისი დროის მიხედვით, „მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული იდეები აქვს წამოყენებული“ (გვ. 076).

პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს იოანეს „სჯულდება“ იმ მხრივ, რომ მისი ავტორი მიზნად ისახავს ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. იოანეს პროექტი ითვალისწინებს იმ საშუალებებს, რომელთა განხორციელებაც გააძლიერებდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას და ხელს შეუწყობდა ქვეყნის „დაჩიხულობიდან“ გამოყვანას.

სარეცენზიო შრომის ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „სჯულდებაში“ ერთერთ ასეთ საშუალებად ცნობილია მუდმივი ჯარის შექმნა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მუდმივი ჯარის შექმნამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფოს გაძლიერებაში რუსეთსა და ევროპის სხვა

ქვეყნებში, მაშინ ცხადი გახდება, რომ იოანეს ამ შემთხვევაში სწორი ვარაუდი აუღია. ამასთანავე, რეგულარული არმიის შექმნისათვის „სჯულდებაში“ გათვალისწინებული ღონისძიება ადასტურებს იმას, რომ იოანე რუსეთის მაგალითით ხელმძღვანელობდა. ცნობილია ის გარემოება, რომ იოანეს კარგად ჰქონდა შესწავლილი სამხედრო საქმე, ის არტილერიის სპეციალისტად ითვლებოდა და ამიტომაც „ელციზმეისტარის“ წოდებასაც ატარებდა.

ამასთანავე „სჯულდება“ ითვალისწინებს ფეოდალური ლაშქრის მეფის ხელისუფლებისადმი დამორჩილებას, ჯარში მტკიცე დისციპლინის დაწესებას. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, „სჯულდების“ ავტორი მოითხოვს მსხვილი საფეოდალოების მოსპობას და ამ საფეოდალოების მეფისადმი დამორჩილებას (გვ. 076).

სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მიზნით იოანეს პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ეკლესიის მეფის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება. ამიტომ იოანე მოითხოვს ახალი სახელოს დაწესებას. ამ თანამდებობის მატარებლის სახელწოდება იქნება „სასულიერო მთავარი“; ხსენებულ მოხელეს უნდა დაექვემდებაროს როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური სარწმუნოების მსახურნი. ეს თანამდებობა თავისი დანიშნულებით მწიგნობართუხუცეს — ჭყონდიდელის თანამდებობას წაავას იმ მხრივ, რომ სასულიერო მთავარი, როგორც მეფის მოხელე ეკლესიის მმართველობაში ჩაერევა (გვ. 076).

იოანე ბაგრატიონი ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის მქადაგებელია. „...განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანეს ეს საღი და პროგრესული მოძღვრება ამიერკავკასიის ხალხებს შორის მეგობრობის შესახებ“. (გვ. 076).

ფრიად საყურადღებოა იოანეს შეხედულება გლახობაზე. მისი პროექტის მიხედვით გლახობისათვის სკოლა უნდა იქნეს გახსნილი. სასკოლო საქმეს იოანე საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევს; სწავლა-აღზრდის საქმის ხელმძღვანელობისათვის სამეფოში „სჯულდებით“ ცალკე აპარატი უნდა შეიქმნას.

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ იოანე საქართველოში ქარხნების გახსნას მოითხოვს; ამასთან დაკავშირებით საკითხი ისმის კადრების შესახებ. ტექნიკის განვითარება, იოანეს აზრით, აუცილებელი პირობაა ქვეყნის წინსვლისათვის. „ვეცადნეთ გამრავლებასა და ყოვლის გვარის ხელოვნებისასა, გაკეთებასა ქარხნისასა და მცოდნეთა კაცთა მიხანიკისა და სხვათა“. ასეთ საქმეს სათანადო კადრები ესაჭიროება, რისთვისაც დაბალი სკოლები გლახებისათვის აუცილებელია.

ძეგლის გამომცემელი აღნიშნავს: „ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იცნობდა იოანე ბაგრატიონი XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ განმანათლებელთა შრომებს, ... მაგრამ ამისი თქმა კი გარკვევით შეიძლება, რომ იოანე ბაგრატიონის პროექტში წამოყენებული მრავალი პროგრესული დებულება, თავისი არსით ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული, ნაყოფი იყო თვით ქართული პროგრესულ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა“ (გვ. 074). ძეგლის გამომცემელს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოყავს არჩილ მეფის ნაწარმოებიდან ის ადგილი, რომელიც გლახებს ეხება და რომლის მიხედვით გლახი ქვეყნის არსებობის საფუძველია (გვ. 074-075).

„სჯულდების“ გამომცემელი ასკვნის, რომ გლახობაზე პროგრესული შეხედულება იოანე ბაგრატიონამდე არჩილისა და სულხანის შრომებშიც მოიპოვებო. და საერთოდ იოანეს პროგრესული

იდევინ ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი და განვითარებულია.

ძეგლის გამომცემლის გამოკვლევასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ მრავალი საკითხი ახლად ან ახლებურად არის წამოყენებული. ასეთი საკითხებიდან აღსანიშნავია:

1. ფეოდალურ საქართველოში დედოფლის მამულის იურიდიული რეჟიმის საკითხი. ავტორის აზრით ამ რეჟიმის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ დედოფლის მამულების მფლობელობაში შესამჩნევია სამართლის საჯარო საწყისის არსებობა (გვ. 025).

2. ქურდებისათვის ქართულ ფეოდალურ ძეგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა სანქცია დამოკიდებულია ამ დანაშაულის შემამსუბუქებელსა და დამამძიმებელ გარემოებაზე, საერთოდ კი ქურდობისათვის დაწესებული იყო შვიდმაგი ღირებულების გადახდევინება გვ. (029—032).

3. ავტორის ვარაუდით, საქართველოში ზოგჯერ სჭრიდნენ ფულს დღესასწაულთან დაკავშირებით (გვ. 057).

4. გამორკვეულია ზოგიერთი ახალი სახელოს არსებობა გვიანფეოდალურ საქართველოში; მაგალითად, ურდობახტრისბაშის (გვ. 04), შესწავლილია ზოგიერთი სახელოს ახალი ფუნქციები, რომლებიც აქამდე არ იყო ცნობილი, მაგალითად ემიკადასბაშის და სხვ.

მაგრამ ამასთანავე პროფ. ი. სურგულაძის გამოკვლევა „სჯულდებისათვის“ დართული, იწვევს რიგ შენიშვნებს.

1. პირველყოვლისა, ავტორს საუბარი აქვს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს საქართველოს ე. წ. დაჩიხულობა. ავტორი ზოგადად ეხება ამ საკითხს, და ამიტომ გაურკვეველი რჩება, რამ გამოიწვია გვიანფეოდალურ საქართველოში ეს „დაჩიხულობა“.

რასაკვირველია, გარეშე ფაქტორს, კერძოდ, დამპყრობთა მუდმივ თავდა-



სხმებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართველი ხალხის ისტორიაში და ამის შესახებ აღნიშნულიცაა შრომაში (გვ. 08), მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კერძოდ, შრომაში არ არის სათანადოდ გარკვეული ის როლი, რომელიც ითამაშეს ქალაქებმა ფეოდალურ საქართველოში.

შრომის ნაკლია აგრეთვე ის, რომ პროფ. ი. სურგულაძე მხოლოდ გადმოგვცემს იოანე ბაგრატიონის მნიშვნელოვან მოსაზრებას სახელმწიფოს მიერ ქართველ ვაჭართა კადრის განზოგადოების შესახებ, კონსტატაციას უკეთებს მას და თავს არიდებს ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლას.

2. შრომაში მხოლოდ გაკვირით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ ფეოდალურ საქართველოში მსხვილმა ფეოდალებმა სძლიეს მეფის ხელისუფლება და განკერძოებისაკენ ვაიკაფეს გზა (გვ. 07); არ არის სათანადოდ განმარტებული ის ეკონომიური პირობები, რომლებმაც საბოლოო ჯამში განაპირობეს საქართველოს დაქუცმაცება.

3. პროფ. ივ. სურგულაძის მოსაზრებით იოანე ბაგრატიონი თავის „სჯულდებაში“ ითვალისწინებს საგარეო საქმეებისათვის ცალკე უწყების შექმნას. ძეგლის გამომცემელი ფიქრობს, რომ „საერთოდ კი, საგარეო საქმეთა ცალკე უწყება არ არსებობდა“-ო (გვ. 045). ეს მოსაზრება მართალი არ უნდა იყოს; ერეკლე II-მ მმართველობა დაარსებამდე დაყო და საგარეო საქმეებიც ცალკე ჰქონდა გათვალისწინებული, მხოლოდ პროექტში შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ზოგიერთი ცვლილება იყო შეტანილი.

4. ავტორს საუბარი აქვს მეფის ადგილზე მიღებისა და გამასპინძლების ვალდებულების შესახებ. ასეთი ვალდებ-

ბულება ანუ გადასახდელი იმ გარემოებითაც უნდა იყოს დაპირობებული, რომ გლენთა გადასახდელელებში ძირითადი იყო გადასახდელეები ნატურით, პროდუქტებით. საჭირო იყო ამ საკითხის გამორკვევა, ავტორი კი მას არ ეხება (გვ. 039).

5. ლექსიკონის წინასიტყვაობაში პროფ. ი. ვ. სურგულაძე ახდენს ლექსიკონში შესული უცხოური სიტყვების კლასიფიკაციას. ავტორის ვარაუდით ზოგიერთი სიტყვა არაბული წარმოშობისაა, ზოგიერთი სპარსული და ასე შემდეგ. მისი აზრით ხელნაწერის ზოგიერთი უცხოური წარმოშობის სიტყვა ისე მტკიცედ არის შესული ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომ აღარც კი შეინიშნება მათი უცხოური წარმოშობა. ავტორი ჩამოთვლის ასეთ სიტყვებს და, სხვათა შორის, ასახელებს იასაულს, თარხანს და ყარაულს (გვ. 65). ავტორი განავრცობს: „ამასთანავე, ხელნაწერში გვხვდება არაბული, სპარსული, და თურქული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც დღესაც უცხოურად გაიაზრებიან, ე. ი. არ არიან გაქართულებულნი“ (გვ. 65). ავტორი აქვე ჩამოთვლის ასეთ სიტყვებს და მათ შორის ზემოდღასახელებულ სამ სიტყვასაც. რასაკვირველია აქ შეცდომაა, ხსენებული სამი სიტყვა ან პირველ კატეგორიას ეკუთვნის, ან მეორეს.

ასეთი შეცდომა შეიძლება სხვაც მოინახოს, მაგრამ საერთოდ შრომა კარგად არის შესრულებული. „სჯულდების“ გამოცემა ძვირფასი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, კერძოდ, ქართული ფეოდალური სამართლისა და პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებათა ისტორიის შესწავლისათვის.

დოც. გ. ინჟაბერაძე

„საქმიანი“ ხალხის „მოღვაწეობა“ დასრულდა

რესტორან „რიონის“ ერთერთ მაგიდასთან ხუთნი ისხდნენ. ქარვისფერი ღვინით სავსე ჭიქები ხელიდან ხელში გადადიოდა. მოთაფლულ სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა. სუფრის თამადა, ქუთაისის არტელ „რაინკოპის“ თავმჯდომარე ყიფშიძე ბეჯითად ადევნებდა თვალს სასმისებს. რომ დარწმუნდა ყველას შესმული ჰქონდა, თხელ ჩაის ჭიქაში ღვინო დაისხა და მორიგი სადღეგრძელოსათვის სიტყვა ითხოვა.

— ძმებო! ამ ჭიქით მე მინდა შევსვა ჩვენი არტელის ბურჯის, დავით მიხეილის შათაშვილის სადღეგრძელო. დავით მიხეილის ყველა ჩვენგანი კარგად ვიცნობთ. მამ მიეცეს ნიჭსა გზა ფართო. სანამ ჩვენ მხარში გიდგევართ, დავით მიხეილიჩან, ნურაფრის ნუ გეშინია.

ჩასუქებული, გოროდნიჩის ტიპის მაკააცი სადღეგრძელოზე ფეხზე წამოხტარიყო, სიამით ილიმებოდა და საცრისოდენა თვალებით უფროსს შესცივინებდა, რომელმაც ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

დავით მიხეილიჩის სადღეგრძელო დიდი რიხითა და პატივით შესვეს თანამდებობის მიხედვით, ჯერ არტელ „რაინკოპის“ თავმჯდომარის მოადგილე დ. ბერძენაძემ, არტელის ეკონომისტმა ბერიძემ, ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო ფა-

ბრიკის ბუხპალტერმა იაკობაშვილმა.

— თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა უფროსებო და დანარჩენი ჩემზე იყოს. ცოტა კიდევ მაცალეთ, ერთი ეს ახლად წამოწყებული საქმე მივიყვანო ბოლომდე და თუ ახლა თვითეულ ჩვენთაგანს 7—10 ოთახიანი ბინა და მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ აქვს, მომავალ წლისათვის ასეთივე ბინებს, როგორც ქუთაისში გვაქვს, სხვა ქალაქებშიც შევიძენთ, ვინმე ნათესავის სახელზე გავაფორმებთ და მტრის ჯინაზე ავტომანქანა „ჩაიკათი“ ვისეირნებთ.

დავით მიხეილიჩის სიტყვებმა თანამესუფრეთა შორის მხიარულება გამოიწვიეს.

ქეიფი გრძელდებოდა...

— ჯერ ფონს იკითხავენ და მერე წყალში შესტოპავენო, — შირად უყვარდა ამის თქმა დავით შათაშვილს, ამიტომ იყო, რომ როდესაც გაიგო არტელ „რაინკოპის“ თავმჯდომარედ ყიფშიძე და მოადგილე ცნობილი „საქმოსანი“ დ. ბერძენაძე მუშაობენო, გადაწყვიტა მათთან მოკალათებულიყო. გულს გული იცნობსო, ფიქრობდა დ. შათაშვილი. მართლაც იგი სიხარულით მიიღეს და მისვლისთანავე კომბინატორული საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა.

აბა რა საქმიანი კაცი იქნებოდა დ. შათაშვილი, მართო ერთ არტელში მოღვაწეობით რომ ამოეწურა მთელი თავისი კომბინატორული ნიჭი. ამიტომ იყო იგი წლების მანძილზე ერთ-

დროულად მუშაობდა როგორც არტელ „რაინკოპის“ №3 სამკერვალო საამქროს გამგედ, ასევე ქ. ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკის №5 საამქროს გამგედ.

— შენც ჭამე და მეც მაჭამე, უთხრა დ. შათაშვილმა კომბინატორულ საქმიანობაში გამოცდილ კ. სეფიაშვილს და გაათორმა არტელ „დამკვერელში“ სამკერვალო საამქროს გამგედ. ფაქტიურად კი ამ საამქროს ბატონ-პატრონი დ. შათაშვილი იყო. ამრიგად დ. შათაშვილი სხვადასხვა ადგილას სამკერვალო საამქროს განაგებდა. მან არც თავისი ახლო ნათესავი ეუდა შათაშვილი დაივიწყა. იგი ორ სხვადასხვა არტელში მოაწყო ერთსა და იმავე დროს. ეუდაც სამკერვალო საამქროებს განაგებდა და შემოსავლიდან წილს აძლევდა თავის კეთილისმყოფელ დ. შათაშვილს.

— ძმაო ეუდა! — უთხრა ერთხელ დ. შათაშვილმა თავის ნათესავს. — ხომ ხედავ რამდენი საქონელი დაგვიგროვდა. ამის გაჩერება არტელების საწყობებში აღარ შეიძლება. მოდი, ერთი დიდი სარდაფი ვიჭირაოთ და იქ ფარული საწყობი მოვაწყოთ.

წინადადება მიღებულ იქნა. მალე ფარული საწყობი საქონლით გაივსო. ჯიბეებს ისქელებდნენ შათაშვილები და მათი ხელის შემწყობნი.

კომბინატორებს ბედი სწყალობდათ. არტელების ხელმძღვანელები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ „ინიციატივიან“ საქმოსნებს და კიდევ ახალისებდნენ მათ.

ისინი სისტემატურად უშვებდნენ არასტანდარტულ პროდუქციას, რისთვისაც ძირითადად იყენებდნენ წარმოების ჩამონაჭრებს, ხოლო შემდეგ დაწესებული ნორმების აშკარა გადიდებით ახერხებდნენ სრულმეტრაჟიანი ნედლეულის ჩამოწერას. ამ წესით ისინი


კმნიდნენ ნედლეულის აღურიცხველ ზედმეტობას და ზედმეტი საქონელი კი ფარულ საწყობში გადაქონდათ.

კომბინატორებს არტელები „რაინკოპი“ და „დამკვერელი“ თავიანთ საწველ ფურად ჰქონდათ გადაქცეული. თუ რა მაქინაციებს ეწეოდნენ ისინი, საილუსტრაციოდ ერთი ფაქტიც კმარა. კომბინატორები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ეზიდებოდნენ უფაქტურო საქონელს, უმოწყალოდ ითვისებდნენ სახელმწიფო საქონელს და აი როგორ.

საქონლის მიღება ბაზებიდან და შეზიდვა ექსპედიტორების ან ცენტრალური საწყობის მიერ უნდა მომხდარიყო. ეს წესი არტელ „რაინკოპში“ არ სრულდებოდა. საქონლის მიღებას ბაზებიდან არტელის თავმჯდომარის ყიფშიძისა და მისი მოადგილის დ. ბერძენაძის მიერ ხელმოწერილი მინდობილობით უშუალოდ თვით დ. შათაშვილი აწარმოებდა, რომელსაც საქონელი ტრანსპორტით პირდაპირ საამქროში შეჰქონდა და ამით კმნიდა 5—6 თვის მარაგს, საქონელს თავის ნებასურვილისდა მიხედვით იყენებდა. ასევე ხდებოდა არტელ „დამკვერელში“ და ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკაში.

კომბინატორები მარტო ამას როდი სჯერდებოდნენ. ორივე არტელში ეწეოდნენ ნედლეულის აშკარად გადიდებული ნორმებით ჩამოწერას, გადიდებულ ნორმებს იყენებდნენ ისეთი ნედლეულის ჩამოსაწერად, რომელიც სრულიად არ იხარჯებოდა გარკვეული სახის პროდუქციის გამოშვებაზე.

მაგალითად, არტელ „რაინკოპში“ 11.365 ცალ ზეწარზე ნაცვლად 68.800 მეტრი ქსოვილისა ჩამოწერილია 88.896 მეტრი ქსოვილი, ე. ი. 20.566 მეტრით მეტი. ამავე დროს ზეწარების გამო-



შეგებაზე ჩამოწერილია 12.146 მეტრი სატინი, მაშინ როდესაც სატინი ზეწრების შეკერვაზე სრულიად არ იხმარება. ასევე ფანელის კაბების შეკერვაზე ფანელის გარდა ჩამოწერილია 2.067 მეტრი სატინი, ზედმეტად ჩამოწერილია კიდევ 732 მეტრი სხვადასხვა სახის ქსოვილი და სხვა.

ნათქვამია, სასწორის სისწორე მწონავზე ჰკიდიაო და მართლაც კომბინატორთა ჯგუფის საქმიანობის ნამდვილი მესაჭე დ. შათაშვილი იყო. მალე მისი მოხერხებითა და უნარით ფარულ საწყობში დაგროვდა 29.992 მეტრი სხვადასხვა სახის ქსოვილი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 690.715 მანეთს. გარდა ამისა, საწყობში კიდევ ქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი, რომელთა საერთო ღირებულება 814.491 მანეთამდე აღწევდა.

როდესაც დ. შათაშვილის მოღვაწეობა გახმაურდა, ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკის დირექციამ, როგორც იქნა „გაიგო“, რომ დ. შათაშვილი „რაიინკოპში“ მუშაობს და მოინდომა მისი განთავისუფლება ფაბრიკიდან, მაგრამ შათაშვილი რის შათაშვილი იქნებოდა, თუ ამ ბატარა საქმეს ვერ ჩაკვაჭავდა. და აი, არტელ „რაიინკოპის“ თავმჯდომარე ყიფშიძესა და შათაშვილის შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— სამკერვალო ფაბრიკაში მთელი საამქრო მეკარგება. გაუგიათ აქაც რომ ვმუშაობ და მხსნიან. ახლა ცნობა მჭირდება, რომ თქვენთან არ ვმუშაობ.

— მაგან შეგაფიქრინა, დავით მიხეილიჩ, — შეესიტყვა ყიფშიძე, — ისეთ ცნობას ვაგვიკეთებ, აქეთ გეხვეწებოდნენ სამუშაოზე დარჩენას.

მართლაც, ყიფშიძემ თავისი სიტყვა შეასრულა. მან თავის მარჯვენა ხელს დ. შათაშვილს გაუშადა ცნობა, თითქოს დ. შათაშვილი კარგახანია აღარ

მუშაობდეს არტელ „რაიინკოპში“. ამავე დროს მას გაატანა ბრწყინვალე დახასიათება.

ამრიგად დ. შათაშვილმა კვლავ შეინარჩუნა ორი ადგილი და ენერგიულად განაგრძობდა თავის კომბინატორულ საქმიანობას.

დ. შათაშვილის ფარული საწყობიდან უხვად მარაგდებოდნენ ქუთაისის ზოგიერთი არტელები. დადგინდა, რომ არტელ „დამკვრელში“ შეტანილი იქნა 1.567 მეტრი ფართლეული 48.545 მანეთის ღირებულებისა, რაც შემდეგ დანაშაულებრივი გზით ჩამოიწერა. ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკაში კი შევიდა 11.874 მეტრი სხვადასხვა სახის 129.000 მანეთის ფართლეული. ამავე ფაბრიკაში უკანონოდ იქნა ჩამოწერილი 116.345 მანეთის 9.486 მეტრი ფართლეული. სულ კომბინატორებმა მარტო სამკერვალო ფაბრიკაში შეძლეს უკანონოდ ჩამოეწერათ 245.345 მანეთის 21.360 მეტრი ფართლეული. არტელ „დამკვრელში“ კი დაიტაცეს 48.548 მანეთის საქონელი.

აი როგორ ჩადიოდნენ სიყალბეს ნედლეულის ჩამოსაწერად. დ. შათაშვილმა საამქროში მიიღო ფანელი არტიკული № 513. ფანელის სიგანე უდრიდა 75 სმ. ნედლეულის ჩასაწერ საბუთებში არტიკული № 513 ფანელი შესცვალეს № 504 არტიკულის ფანელით, რომლის სიგანე შეადგენდა 58 სმ., რითაც ერთ მეტრ ფანელზე დაიტაცეს 17 სმ. მარტო ამ გზით მათ მიითვისეს 8.838 მეტრი ფანელი ამავე ხერხით იქნა მითვისებული 4.746 მეტრი დიაგანალი, 1.712 მეტრი სატინი და სხვ.

საქმოსნებს ისე ქონდათ საქმე აწყობილი, რომ ნედლეული მასალები ცენტრალური საწყობიდან ეწერებოდა: უშუალოდ სამკერვალო საამქროს და არა საგამომჭრელო საამქროებს, რის გამოც ფაქტიურად გამორიცხული იყო ურთიერთკონტროლისა და პასუხის-



მგებლობის აუცილებლობა. ხშირი იყო წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევებიც. 1957 წელს ქ. ვლადიმროვის სამომხმარებლო ბაზამ უარი განაცხადა სამკერვალო ფაბრიკიდან მიღებული 106.318 მანეთის თანხის ნაწარმის ღირებულების გადახდაზე და ეს ნაწარმი სასაქონლო ექსპერტიზის აქტით მთლიანად დაუბრუნდა ფაბრიკას როგორც გასაყიდად უვარგისი.

— ძმებო! ხომ ხედავთ, როგორ საქმეებს ატრიალებენ შათაშვილი და ძმანი მისნი. ჩვენ რითი ვართ მათზე ნაკლები? ეუბნებოდა თანამშრომლებს ქუთაისის რაიკავშირის №1 სამრეწველო საქონლის მაღაზიის გამგე ციციაშვილი.

კომბინატორი ციციაშვილი დატრიალდა. მან და ჩუბინიძემ მარტო 1958 წლის დეკემბერში ქ. მოსკოვიდან ჩამოიტანეს 1.700.000 მანეთის საქონელი, რომელიც რაიკავშირის ცენტრალური საწყობის გვერდის ავლით თავიანთი მაღაზიის საწყობში შეიტანეს და ფარულად ყიდდნენ.

კომბინატორთა აღნიშნულმა ჯგუფმა ერთი წლის განმავლობაში მოასწრო 222.000 მანეთის მითვისება, მათ მოღვაწეობას ხელს უწყობდა ქუთაისის რაიკავშირის ხელმძღვანელობა.

ციციაშვილი სისტემატურად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და მაქინაციებით ქუთაისში გასაგზავნად იძენდა ძვირფას სა-

ქონელს, ქუთაისიდან კი რესპუბლიკის გარეთ აგზავნიდა უფაქტურო საქონელს.

ქუთაისის რაიკავშირის ხელმძღვანელობამ 1958 წელს ციციაშვილი სამკერ მიავლინა რუსეთში. ამავე დროს ციციაშვილს „ავადმყოფობის“ გამო სამკერ მისცა უფასო შვებულება. გარდა ამისა, მას მისცეს 1957, 1958 წლების შვებულება და წინასწარ 1959 წლის 17 დღის შვებულება; ე. ი მან მიიღო 107 დღის შვებულება. ამ პერიოდში ციციაშვილი მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში და აგვარებდა კომბინაციური გზით სამრეწველო საქონლის გამოგზავნის საკითხებს.

ზემოხსენებულ კომბინატორებს არც „ქუთაისვაჭრობის“ № 89 მაღაზიის მუშაკები ცინარაძე და მოშიაშვილი ჩამორჩებოდნენ, რომელთაც სტალინის ქუჩის მეოთხე შესახვევში ქონდათ სამი ფართული საწყობი, სადაც აღმოჩნდა 104.975 მანეთის სხვადასხვა საქონელი. კომბინატორთა „მოღვაწეობა“ დასრულდა. მათ საკადრისი სასჯელი მიიღეს.

შ. რობაქიძე

საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ზ. მესხინიძე

სახელმწიფო ქონების დაზარალებული დაისჯუნენ

— ხარს რქით დააბამენ და კაცს ენითო, — უყვარდა ამის თქმა ვლადიმერ მელქაძეს და ტკბილი ენითა და მაცდური გულით ხშირად შეუტყდენია და დანაშაულებრივ საქმიანობაში თანამონაწილედ გაუხდია დოყლაპია ადამიანები.

ამჯერადაც ასე მოიქცა ვ. მელქაძე. ჩამოვიდა რა თბილისში (სადაც იგი იმალებოდა ავტოავარიისათვის და წულუკიძის რაიონში ძროხების მოპარვაში მონაწილეობისათვის), ის დაუახლოვდა თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის უფროსს მწონავს გ. თელიას და რკინიგზის ნავთლულის სადგურის მწონავს ე. ხატიევს და „მეგობრებმა“ სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს...

საღამო ხანი იყო. თბილისის რკინიგზის სატვირთო ბაქანზე ხატიევი მივიდა. იგი წინათ აქ მუშაობდა და ძველ მეგობრებს მიესალმა. მალე მწონავთა სამუშაო ოთახიდან მწონავები ვ. აფაქიძე და გ. გოზალოვი გამოვიდნენ. ე. ხატიევიც ამ მომენტს ელოდა. შევიდა ოთახში და მაგიდიდან, სადაც ეწყო სხვადასხვა საბუთები, აიღო კონტეინერ № 262 091-ის ზედნადები ფურცელი და შეუმჩნეველად ჩაიღო ჯიბეში.

მელქაძეს თვალები გაუბრწყინდა, როდესაც მას ხატიევმა მოპარული საბუთები აჩვენა. მან ჩაიწერა კონტეინერის ნომერი, საბუთები კი ხატიევმა გაანადგურა. ამრიგად კონტეინერი № 262091-ის ზედნადებისა და საგზაო უწყისის მოპარვით, საქონლით სავსე კონტეინერი აღრიცხვის გარეშე იქნა დატოვებული. ახლა სამოქმედოდ ვ. მელქაძე მოემზადა.

— გადადებული საქმე ეშმაკისაა, — სთქვა მან და თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის უფროსის კარები ნაძალადევი მორიდებით შეაღო. სახეზე მას მოგონილი მწუხარება აღბეჭდოდა.

— შეიძლება? — იკითხა მან. როდესაც თანხმობა მიიღო, სადგურის უფროსს განცხადება გადააწორდა და სანამ განცხადებას წაიკითხავდნენ, სევდანარევი ხმით განაგრძო:

— დიდი უბედურება დამემართა, პატივცემულო უფროსო! ექვსი თვეა რაც ერთადერთი და გარდამეცვალა. გადავწყვიტე საფლავზე ძეგლი დავუდგა. ერევნიდან დასამუშავებელი ქვა ჩამოვიტანე. გთხოვთ დამეხმაროთ და ქუთაისში ქვის გადასატანათ ერთი ცარიელი კონტეინერი მომცეთ სახელმწიფო ღირებულების გადახდით.

როდესაც მელქაძის თხოვნა დააკმაყოფილეს, იგი სიხარულისაგან შეკუნტრულშდა და გულში გაივლო, ახლა ჯერი ჩემზეაო.

მიღებული ნებართვით ცარიელი კონტეინერის გატანის შესახებ, რომელიც მას ვითომდა ქვის წასაღებად სჭირდებოდა, მელქაძემ ყალბად გააფორმა ზედდებული ფურცელი მწონავი გრიგორიანის სახელით და ჩაწერა კონტეინერის ნომერი 262091. სალაროში გააფორმა სათანადო საბუთები და ამრიგად ქუთაისში ქვით სავსე კონტეინერის ნაცვლად გაგზავნილი იქნა შალითა და აბრეშუმის ქსოვილით დატვირთული კონტეინერი № 262091, რომელიც გამოგზავნილი იყო ქ. ბელცის სავაჭრო ბაზის მიერ „თბილმრეწვევაჭრობის“ სახელზე.

ვლ. მელქაძემ ძმის დახმარებით საქონლით სავსე კონტეინერი გადაიტანა



სოფელ დიდი ჯიხაიში უგრეხელიძის ბინაზე. სადაც უცნობი პირების დახმარებით მოახდინა საქონლის რეალიზაცია.

თავიანთი „კუთვნილი“ წილის მისაღებად გ. თელია და ე. ხატიევი დიდხანს ელოდნენ ახლადგაცნობილ „მეგობარს“, მაგრამ ამაოდ, მელქაძეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, იგი დააკავეს.

გ. თელია განაგრძობდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას. მალე იგი დაუკავშირდა თბილისის ფესაცმლის № 2 ფაბრიკის ტყავის გამომკრელ ვ. ჩუტულაშვილს და ერთობლივი მოქმედებით მოახერხეს საკონტინერო ბაქნიდან გამოეტანათ კონტინერი № 657953, სადაც ჩატვირთული იყო 281.839 მანეთის ღირებულების ტყავი, რომელიც ბათუმის ტყავის ქარხნის მიერ იყო გამოგზავნილი თბილისის № 1 ფესაცმლის ფაბრიკისათვის.

ბოროტმოქმედებმა ტყავით დატვირთული კონტინერი მიიტანეს თბილისში

აწყურის ქ. № 31-ში ავთანდილოვის ბინაზე, საიდანაც ახდენდნენ ტყავის რეალიზაციას, მაგრამ საგამომძიებლო ორგანოებმა მალე მიაგნეს სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს და ისინი საბრალმდებლო სკამზე დასვეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ. ბაღათურას თავმჯდომარეობით განიხილა სახელმწიფო ქონების მიმტაცებელთა და მათ ხელშემწყობთა საქმე და მიუსაჯა: ვლ. მელქაძესა და გ. თელიას 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვ. ჩუტულაშვილს, მ. მიკირტიჩიანს, ე. ავთანდილოვს, ა. მიკირტიჩიანს, გ. ავთანდილოვს, გ. გოზალოვს, შ. მელქაძეს, ვ. აფაქიძეს და სხვებს შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ზომა.

განაჩენით ყველა მსჯავრდადებულის პირად ქონებას კონფისკაცია ეყო.

დარბაზში მყოფნი განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ.

ღ ი რ ს ე უ ლ ი ს ა ს ჯ ე ლ ი

ზაფხულის თბილი სადამო იყო. ახალგაზრდა ქალიშვილი ლ. კ-ძე ქუთაისის მახლობელ სოფელ წვენეთის გზისპირას ქუთაისისაკენ მიმავალ ავტომანქანას ელოდებოდა. უკვე საათნახევარი გავიდა და არცერთი ავტომანქანა არ ჩანდა. შეღამებული იყო, როდესაც სატვირთო ავტომანქანა გამოჩნდა, რომელსაც ქუთაისისაკენ ქონდა გეზი აღებული.

ქალიშვილმა ავტომანქანას ხელი აუწია. მძღოლმა ავტომანქანა გააჩერა. იგი დათანხმდა წაეყვანა ლ. კ-ძე ქუთაისში და ქალიშვილი თავაზიანად მიიწვია კაბინაში.

გზაზე მძღოლი მალულად ათვალიერებდა მის გვერდით მჯდომს. მას თვალში მოუვიდა სანდომიანი ქალი-

შვილი და მის მიმართ გულში ავიზრახვა ჩაიმალა.

როდესაც სოფელ დღნორის გაცილდნენ, მძღოლმა ავტომანქანა გზისპირას გააჩერა და თითქოს ავტომანქანას რაღაც გაუფუჭდაო, ძრავას დაუწყო ჩხიკინი.

ღამის 11 საათი შესრულდა. ლ. კ-ძე შიშმა აიტანა. გზაზე არ ჩანდა არცერთი შემხვედრი ავტომანქანა, არც მგზავრები გამოჩენილან. მძღოლმა თითქოს როგორც იქნა დაამთავრა ავტომანქანის „რემონტი“, ჩაჯდა კაბინაში და შიშისაგან კაბინის კუთხეში მიყუყუღ ქალიშვილს ირონიულად მიმართა:

— აი, ახლა ავტომანქანა კარგად იმუშავებს, სულ მალე ჩავალთ ქუთაისში. ამისი თქმა იყო და ეცა ლ. კ-ძეს, ძალა-

დობის ხმარებით დაიკმაყოფილა თავისი მხეცური ყინი.

„გმირი“ ამას არ დასჯერდა: ლ. კ-ძეს მიაყენა ფიზიკური ტრავმა, შემდეგ დაუწყო მას ჩხრეკა, წაართვა 3.000 მანეთი ფული, გადმოაგდო მანქანიდან ძირს, ჩართო ავტომანქანა და მთელი სისწრაფით წაიყვანა გაურკვეველი მიმართულებით.

გაუბატიურებულმა და გაძარცულმა ქალმა მთელი ღამე მახლობელ ტყეში გაატარა.

დილით კოლმეურნეობის დარაჯმა იპოვა მტირალი, დასისხლიანებული, ტანსაცმელშემოხეული და გაძარცული ლ. კ-ძე.

მძარცველი და ავაზაკი ვერ დაემალა

საბჭოთა მართლმსაჯულებას. სათანადო ორგანოებმა მიაგნეს მის კვალს. იგი აღმოჩნდა ქუთაისის № 2 ავტოტრანსის ბაზის მძღოლი ა. გვალია.

ქუთაისში სახალხო სასამართლომ ამას წინათ ა. ზამბახიძის თავმჯდომარეობით გაარჩია მძარცველისა და ავაზაკ ა. გვალიას საქმე და მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ ქუთაისის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ზ. აშუთაძელი.



**აკადემიკოსი
ანაზორ ვასილის-ძე
ვენედიქოვი**

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი იურისტ-მეცნიერი, რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ანატოლ ვასილის-ძე ვენედიქოვი.

საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ დაჰკარგა მისი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა სოციალისტური სამართლის განვითარებისათვის.

აკადემიკოსი ა. ვ. ვენედიქოვი იყო ღრმა ერუდიციის მკვლევარი. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და პეტერბურგის პოლიტექნიკური ინტიტუტის ეკონომიური განყოფილების დამთავრების შემდეგ იგი მთელს თავის ორმოცდახუთ წელზე მეტი ხნის მოღვაწეობაში, სამართლებრივი საკითხების დამუშავებას უკავშირებდა დიდი სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემების კვლევას, სადაც ეკონომიური და იურიდიული საკითხები უახლოვსკავშირში იმყოფებოდა ერთმანეთთან.

მეცნიერული შრომების გამოქვეყნება ა. ვ. ვენედიქოვმა 1913 წლიდან დაიწყო.

1914 წელს გამოდის მისი პირველი კაპიტალური ნაშრომი „სააქციონერო კომპანიათა შეერთება“, რომელშიც საარქივო მასალების ფართო გამოყენებით მოცემულია რევოლუციამდელი რუსეთის მრეწველობის კონცენტრაციის პროცესის ეკონომიური ანალიზი და დახასიათებულია საფინანსო კაპიტალის ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმები. წიგნში ნაჩვენებია იყო აგრეთვე წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა სააქციონერო კომპანიების თაობაზე.

ა. ვ. ვენედიქოვის ნიჭი მთელი ძალით გაიშალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. იგი იმთავითვე ჩადგა იმ მეცნიერთა რიგებში, რომლებმაც დაუყოვნებლივ გაიგეს ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა და აქტიურად ჩაებნენ ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობაში. ა. ვ. ვენედიქოვი მეცნიერული აზრით ეხმაურება საბჭოთა რესპუბლიკის ყოველ მნიშვნელოვან სამეურნეო ღონისძიებებს. აქვეყნებს საგაზეთო ნარკვევებს, საყურანალო სტატიებსა და სქელტანიან მონო-

გრაფიებს, სადაც განხილულია ახალი სოციალისტური ეკონომიკის ორგანიზაციის საჭიროებო საკითხები.

აკადემიკოს ა. ვ. ვენედიქტოვის შრომების მნიშვნელობა დიდად სცილდება მისი უშუალო სპეციალობის — სამოქალაქო სამართლის ფარგლებს, რასაც მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართლის მთელი რიგი დარგებისათვის. საფუძვლიანი ეკონომიური და იურიდიული განათლება, მოვლენების ისტორიულ ასპექტში ამომწურავად განხილვა, სარქივო დოკუმენტაციისა და უნიკალური ლიტერატურის ფართოდ გამოყენება და რაც მთავარია, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწორი მომარჯვება სერიოზულად ზრდის ა. ვ. ვენედიქტოვის შრომების მნიშვნელობას ეკონომიური და ისტორიული მეცნიერებისათვის.

ა. ვ. ვენედიქტოვი მეტად ნაყოფიერი მეცნიერი იყო. მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან უნდა დავასახელოთ კაპიტალური გამოკვლევანი: „რკინიგზისა და ქვანახშირის მრეწველობის ორგანიზაცია“, „სახელმწიფო საწარმოთა სამართლებრივი ბუნება“, „სახელმწიფო დისციპლინა მრეწველობაში“. „სოციალისტური საკუთრების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა“.

ცენტრალურ ადგილს ა. ვ. ვენედიქტოვის შრომებს შორის იკავებს მისი „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება“ (1948 წ. გვ. 839), რისთვისაც ავტორს სტალინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

აკადემიკოს ა. ვ. ვენედიქტოვის მეცნიერული შემოქმედების დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ იგი არასდროს არ ჩერდებოდა მის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნებზე და წინადადებებზე, ყოველთვის ამოწმებდა მათ, აზუსტებდა და აღრმავებდა, რითაც კიდევ უფრო ძვირფასია ჩვენთვის მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ა. ვ. ვენედიქტოვის შრომები თარგმნილია და გამოცემულია მრავალ უცხოურ ენაზე.

მეტად ნაყოფიერი იყო აკადემიკოს ვენედიქტოვის მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში. 1957 წელს მან გამოაქვეყნა ფუნდამენტალური ნაშრომი „სახელმწიფო მრეწველობის ორგანიზაცია სსრ კავშირში“ (ტ. I, 1917 — 1920 წ. წ. გვ. 754) ეს შრომა პრემირებული იქნა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ. ავტორს დასაბუქად მომზადებული დარჩა „სახელმწიფო მრეწველობის ორგანიზაციის“ კიდევ სამი ტომი.

მისი შრომები ფართოდ არის პოპულარული სასამართლო, არბიტრაჟისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მუშაკებს შორის.

აკადემიკოს ა. ვ. ვენედიქტოვის, უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი ნიჭიერი საბჭოთა იურისტი და ეკონომისტი.

ა. ვ. ვენედიქტოვი იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე, 1952 წლიდან იგი იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საბჭოთა კომიტეტის წევრი.

აკადემიკოს ა. ვ. ვენედიქტოვის მეცნიერული მემკვიდრეობა ყოველთვის იქნება სოციალისტური სამართლის მეცნიერებაში ძვირფასი შემადგენელი ნაწილი.

**შეუძლია თუ არა სასამართლოს განხილვის კოლმეურნეთა
სარჩელი შრომადღებზე მისაღები გასამარჯელოს
ოღენობის შესახებ?**

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების თანახმად კოლმეურნეობებში გამომუშავეების ნორმები, სამუშაოს შეფასება შრომადღებში და შრომადღებზე გასაცემი პროდუქტებისა და ფულადი თანხების ოღენობა განისაზღვრება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და იგი არ შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგნად. საქმეს შრომადღებზე პროდუქტებისა და ფულადი თანხების გაცემის შესახებ, სასამართლო განიხილავს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის გამგეობამ უარი განაცხადა გამომუშავებული შრომადღების მიხედვით გასაცემი პროდუქტებისა და ფულადი თანხების ანაზღაურებაზე.

თუ სასამართლოში საქმის განხილვის დღისათვის შეუძლებელია პროდუქტების ნატურით გადახდევინება, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს კოლმეურნეობა მისცეს კოლმეურნეს პროდუქტები მომავალი წლის მოსავლიდან.

სარჩელი შრომადღებზე სათანადო საზღაურის მიღების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოში ერთი წლის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში კოლმეურნეობაში შემოსავლის ფაქტიურად განაწილების მომენტიდან. თუ ეს ვადა გაშვებულია პატივსაღები მიზეზებით, სასამართლოს შეუძლია ვადის აღდგენა საერთო საფუძველზე საქმის არსებითად განხილვის პროცესში.

**შეიძლება თუ არა გადახდევინების მიქცევა კოლმეურნეობებში
გამომუშავებული შრომადღების მიხედვით
მისაღებ შემოსავალზე?**

გადახდევინების მიქცევა იმ შემოსავალზე, რომელსაც კოლმეურნეობი ლეზულობენ შრომადღებზე, წარმოებს ისეთივე წესით, როგორც მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასზე.

სასამართლოს აღსრულების ფურცლის და მისი თანაბარი დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება შრომადღებზე მისაღები შემოსავლის დაკავება სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობით, გაფლანგვით ან მითვისებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად, აგრეთვე ოჯახის წევრების სასარგებლოდ დადგენილი თანხების გადასახდევინებლად, მაგრამ არა უმეტესი 50 პროცენტისა, ხოლო ყველა სხვა დავალიანების დასაფარავად—არა უმეტესი 20 პროცენტისა. ამასთან, როდესაც ერთსა და იმავე დროს გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხები და სხვა დავალიანება, კოლმეურნეობის წევრს



ყველა შემთხვევაში უნდა დარჩეს შრომადღებების მიხედვით მისაღები შემოსავლის 50 პროცენტი.

**რა ოდენობით გადახდებთ კოლმეურნეობის წევრებს
ბავშვების შესანახი ალიმენტები?**

კოლმეურნეობის წევრს ერთი ბავშვის შესანახად გადახდება შრომადღებებზე მისაღები შემოსავლის $\frac{1}{4}$; ორი ბავშვის შესანახად — $\frac{1}{3}$; სამი და მეტი ბავშვის შესანახად კი — $\frac{1}{2}$.

თუ კოლმეურნეობის წევრს, გარდა შრომადღებების შემოსავლისა, აქვს დამატებითი შემოსავლის წყარო საკარმიდამო ნაკვეთის მეურნეობიდან, გარეშე სამუშაოდან ან ხელოსნობიდან, მას ბავშვების შესანახად, გარდა შრომადღებების შემოსავლის გარკვეული ნაწილისა, გადახდება ყოველთვიურად განსაზღვრული ფულადი თანხა. გადასახდელი თანხის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს შემოსავლის ოდენობისა და მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის მიხედვით.

თუ ბავშვის დედა არ არის მოცემული კოლმეურნეობის წევრი, სასამართლოს მოსარჩელის თხოვნით შეუძლია დააკისროს მოპასუხეს ალიმენტის გადახდევინება არა შრომადღებების შემოსავლის პროცენტული წილის მიხედვით, არამედ მტკიცე ფულადი თანხით მხარეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

**შეიძლება თუ არა სასამართლომ განიხილოს საქმე იმ ქონების
კოლმეურნეობისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც სასოფლო
სამეურნეო არტელის წესდების თანახმად განსაზოგადოებული
უნდა იქნეს კოლმეურნეობაში?**

სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს განსახილველად საქმე კოლმეურნეობის სარჩელისა კოლმეურნეების მიმართ იმ ქონების კოლმეურნეობისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ძალით ექვემდებარება განსაზოგადობას.

**შეუძლია თუ არა მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს აღმასკომს
გააუქმოს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება?**

მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს აღმასკომს არ შეუძლია გააუქმოს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება კოლმეურნეობიდან არტელის წევრთა გარიცხვის, საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის შემცირებისა და სხვა საკითხების გამო. კოლმეურნეთა საჩივარს აღნიშნულ საკითხებზე განმეორებით განიხილავს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომლის დადგენილება საბოლოოა.

სასამართლო პრაქტიკა

სისხლის სამართლის საქმეებზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაული, უკეთუ არ არის დადგენილი მითვისება — დატაცების ფაქტი

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. მ. გულმაგარაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მესამე მუხლით სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და სსკ 117 მუხლით, მას მიესაჯა ერთობლიობის პრინციპით სსკ 48-ე მუხლის გამოყენებით 2,5 წლით პატიმრობა, სასჯელის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

განაჩენი ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებით.

გულმაგარაშვილს მსჯავრი დაედო მასში, რომ სოფელ კალაურის მაღაზიაში გამგე-გამყიდველის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მიითვისა 3.192 მანეთად ღირებული მატერიალური ფასეულობა.

გარდა აღნიშნულისა, მას სამსახურებრივ მოვალეობის ზერეღედ და დაუდევრად აღსრულების შედეგად გაუტუდდა და ხარისხი დაეკარგა 2.602 მანეთად ღირებულ საქონელს.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ განაჩენიდან ამორიცხა ბრალდება თანხების მითვისების ნაწილში შემდეგი საფუძვლების გამო:

გულმაგარაშვილი მითვისების ფაქტს უარყოფს და 3.192 მანეთის გამოვლინებულ დანაკლისს ხსნის იმ გარემოებით, რომ არ ჰქონდა გამოცდილება სავაჭრო დარგში მუშაობისა. ამასთან გეგმის შესრულების მიზნით დავალებული ჰქონდა კვერცხის შეძენა, რაც დაუჯდა თითო ცალი 1 მანეთი და 20 კაპიკი, ხოლო გაუნაღდეს თითო კვერცხზე მხოლოდ 45 კაპიკი, რამაც ნაწილობრივ განაპირობა დანაკლისი.

მითვისების ფაქტი არც წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიებით დადგენილი არ არის.

გულმაგარაშვილის მიერ წამოყენებული თავის მართლების ვერსია საქმეში შეკრებილი მასალებით უარყოფილი არ არის.

შემოადინიშნულისა გამო პრეზიდიუმმა განაჩენიდან ამორიცხა ბრალდება მითვისების ნაწილში, ხოლო სსკ 117 მუხლით სასჯელის ღონისძიებად განუსაზღვრა 1 წლით შრომაგასწორებითი მუშაობა, სასჯელის საერთო წესით მოხდით, გამომუშავებიდან 20 პროცენტის დაქვითვით.

**განაჩენი არ შეიძლება დარჩეს ძალაში, უკეთეს არ ემყარება სამსჯავრო
გამოძიებით შეკრეფილ მასალებს**

თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ. ც. დუდაევი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58¹⁷ „გ“ მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებით.

დუდაევი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ მუშაობდა რა ტრამვაის რონოდის მძღოლად, 1958 წლის 7 აგვისტოს მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად დააჯახა რონოდა ლიანდაგზე გადმომავალ მოქალაქე გაბრიელოვს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენსა და დადგენილებაზე შეიტანა პროტესტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტის მოთხოვნა საფუძვლიანად სცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

დუდაევი არც წინასწარ და არც სამსჯავრო გამოძიებაზე თავს დამნაშავედ არ სცნობს; სამსჯავრო გამოძიებაზე დაკითხული არცერთი მოწმე მას დანაშაულში არ ამხელს; საქმეზე არ ყოფილა გამოწვეული ტექნიკური ექსპერტიზა და არ არის დაზუსტებული თუ რა ხასიათის მოძრაობის წესები აქვს დარღვეული ბრალდებულს.

აგტიონსპექტორის მიერ შემდგარ ოქმში შემთხვევის უშუალო მოწმედ დასახელებულნი არიან მოქალაქეები ლიცნევა, ჩერნიაევი და გასანოვი, რომლებიც არც წინასწარი და არც სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებაზე დაკითხულნი არ ყოფილან.

ასეთ პირობებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ არის სწორი; ამიტომ პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება და საქმე გადასცა ხელახლად განსახილველად წინასწარი გამოძიების სტადიიდან.

**ბრალდებულის ერთპიროვნულად სამართალში მიცემისას ზუსტად უნდა იქნეს
დაცული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის
სასამართლო წარმოების საფუძვლების 36-ე მუხლის მოთხოვნა**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიის 1959 წლის 11 ივნისის დადგენილებით გაუქმებული იქნა თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 22 მაისის განაჩენი ა. ზ. ოთარაშვილის ბრალდების საქმეზე.

ოთარაშვილი სახალხო სასამართლოს განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58¹⁷ „გ“ მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.



ოთარაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ მართავდა თვითმკვლელობის მცდელობის ინსტიტუტის თვითმკვლელობის საცდელი სადგურის სატვირთო ავტომანქანას, 1959 წლის პირველ აპრილს ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის გამო მანქანა დააჯახა მოტოციკლს, რის შედეგად ამ უკანასკნელის მძღოლმა ფეიქრიშვილმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ფეიქრიშვილი ამ დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

სახალხო სასამართლომ აღნიშნული საქმე მიიღო თავის წარმოებაში და ოთარაშვილი სამართალში მისცა რაიპროკურორის მიმართვაზე წარწერილი რეზოლუციით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უსწოროდ ჩათვალა სახალხო სასამართლოს მოქმედება შემდეგი საფუძვლების გამო:

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 36-ე მუხლის შესაბამისად მოსამართლე ვალდებული იყო ოთარაშვილის ბრალდების საქმის თავის წარმოებაში მიღებისა და მისი სამართალში მიცემის საკითხი გადაეწყვიტა არა რეზოლუციით, არამედ დადგენილებით.

ზემოაღნიშნულისა გამო კოლეგიამ 1959 წლის 11 ივნისის დადგენილებით გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს განაჩენი, ისე რეზოლუცია და საქმე გადასცა იმავე რაიონის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას ხელახლად განსახილველად ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიიდან.

უსწოროა მსჯავრდადებულის პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე უარის თქმა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის საბაზით

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 7 თებერვლის დადგენილებით მ. ო. გვეტაძეს პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლებაზე უარი ეთქვა.

გვეტაძე ცნობილი იყო დამნაშავედ 204.138 მანეთის მითვისებაში და მისკილი ჰქონდა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 19 იანვრის დადგენილებით გვეტაძეს სასჯელი შეუმცირდა 5 წლით.

1959 წლის 7 თებერვალს შრომა-გასწორებითი კოლონიის ადმინისტრაციამ დააყენა საკითხი გვეტაძის პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან მას მოხდილი აქვს საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელის 2/3-ზე მეტი.

კოლეგიამ პირობით ვადამდე განთავისუფლების უარისთქმის საბაზად მიუთითა, რომ გვეტაძეს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული და სასჯელის დარჩენილი დრო არ იფარება გამომუშავებული ჩათვლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეტანილი იქნა პროტესტი, რომელშიც მითითებულია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე

უწლისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 14 თებერვლის დადგენილების მეოთხე პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, დასახელებული საბაბით პირობით ვადამდე განთავისუფლებაზე უარისთქმა არ არის სწორი.

არ არის სწორი ასევე სასამართლოს მიერ მოყვანილი მეორე მოსაზრებაც, რომ სასჯელის დარჩენილი დრო ჩათვლებით არ იფარება, რადგან ასეთი რამ კანონის მოთხოვნიდან არ გამომდინარეობს და იგი არ შეიძლება გახდეს ხელშემშლელი პირობა ვადამდე განთავისუფლებისათვის.

პრეზიდიუმმა გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა და გაითვალისწინა რა, რომ გვეტაძე წინათ არ ყოფილა სამართალში, საწარმოო გეგმებს ასრულებს 140 პროცენტით, კოლონიის ადმინისტრაციის მიერ ხასიათდება დადებითად, გაანთავისუფლა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით ვადამდე აღრე.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

დავა იძულებითი განაცდურის გადახდევინების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია არ ასრულებს შრომის დავის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებას მუშაკის აღდგენის შესახებ, სასამართლოს არ ექვემდებარება

სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატის შრომითი დავის განმხილველმა კომისიამ 1957 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ვ. მ. ტალაბაძის მოთხოვნა მომარაგების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

ვინაიდან შრომითი დავის განმხილველი კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნა შესრულებული ადმინისტრაციის მიერ, ტალაბაძემ აღძრა სარჩელი სასამართლოში სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატის მიმართ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით ტალაბაძეს სარჩელზე უარი უთხრა.

გადაწყვეტილება გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1958 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი. გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე წარმოებით მოსპო როგორც სასამართლოს არაქვემდებარე შემდეგ მოსაზრებათა გამო.

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1957 წლის 31 იანვარს დამტკიცებული დებულებისა „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“ (40 მუხლი), იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დროზე არ ასრულებს შრომითი დავის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებას უმართებულოდ დათხოვნილი მუშაკის აღდგენის შესახებ, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს გამოაქვს დადგენილება, რათა უმართებულოდ დათხოვნილ მუშაკს მიეცეს იძულებითი გაცდენის

დროის ხელფასი. ამ დადგენილებას სისრულეში მოიყვანს სასამართლოს აღმასრულებელი პროფკავშირის კომიტეტის მიერ გაცემული სათანადო მოწმობის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში ტალაბაძემ იმის ნაცვლად, რომ მიემართა ადგილკომისათვის და დადგენილი წესით მიეღო იძულებითი განაცდური, აღძრა სასამართლოში სარჩელი, რომელიც სასამართლომ მიიღო შეცდომით და განიხილა არსებითად.

გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა განქორწინებაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად, თუ საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახის აღდგენა შეუძლებელია.

ა. ხ. მარტიროსოვმა აღძრა სასამართლოში სარჩელი მ. გ. ხეჩიან-მარტიროსოვას მიმართ განქორწინების შესახებ იმ მოტივით, რომ მათი ოჯახური ურთიერთობა შეწყვეტილია 1953 წლიდან და მას ფაქტიურად შექმნილი აქვს ახალი ოჯახი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ხ. მარტიროსოვს სარჩელზე უარი უთხრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 4 მაისის დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მარტიროსოვები შეუღლდნენ 1937 წელს, საკუთარი შვილი მათ არ შესძენიათ და აყვანილი ჰყავთ ბავშვი აღსაზრდელად. მეუღლეთა შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავებულია, ამ ნიადაგზე ბინა და ქონება მათ შორის გაყოფილია სასამართლოს გადაწყვეტილებით და მოსარჩელეს ფაქტიურად შექმნილი აქვს ახალი ოჯახი.

ასეთ პირობებში სასამართლომ სწორად ვერ შეაფასა საქმის მასალები, არ გაითვალისწინა მხარეთა ნამდვილი ურთიერთობა და უარი უთხრა მოსარჩელეს განქორწინებაზე, თუმცა ოჯახი დიდი ხანია ფაქტიურად აღარ არსებობს და მისი აღდგენა შეუძლებელია.

არ შეიძლება გამოსახლება საუწყებო ბინიდან საცხოვრებლად ვარგისი სხვა ფართობის მიცემის გარეშე იმ მუშა-მოსამსახურისა, რომელიც დათხოვნილია სამუშაოდან შტატების შემცირების გამო.

ი. ე. აგარუნოვი მუშაობდა ა/კ სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტში შემდგომელებელ მუშად და ცხოვრობდა მობასუხის კუთვნილ სახლში.

1958 წლის 29 მარტს შტატების შემცირების გამო ი. ე. აგარუნოვი დათხოვილი იქნა სამუშაოდან და ამავე დროს ადმინისტრაციული წესით გამოსახლებული ბინიდან.

ი. ე. აგარუნოვმა მიმართა სახალხო სასამართლოს სარჩელით ბინაში უკანვე შესახლების შესახებ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით აგარუნოვს სარჩელზე უარი უთხრა.

გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 30 მარტს დააკმაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის შემდეგ მოსაზრებათა გამო:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახლებიდან იმ მუშა-მოსამსახურეთა ადმინისტრაციული გამოსახლების გაუქმების შესახებ, რომლებმაც შრომითი დამოკიდებულება შეწყვიტეს შენარჩუნებულთა, როგორც გამონაკლისი, ადმინისტრაციული გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით ან დათხოვნილი არიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის.

ვინაიდან აგარუნოვი სამუშაოდან დათხოვნილია შტატების შემცირების გამო, მისი ადმინისტრაციული წესით საცხოვრებელი ფართობიდან გამოსახლება ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონს.

ასეთ პირობებში აგარუნოვის სარჩელი ბინის დაბრუნების შესახებ საფუძვლიანია და სასამართლოს არ უნდა ეთქვა უარი მისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ვნების გამო აღძრული სარჩელების განხილვის დროს სასამართლომ ზარალის ანაზღაურება უნდა დააკისროს არასრულწლოვანთან ერთად მის მშობლებს ან მეურვეებს.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მ. ზ. წულუკიძეს სარჩელში ვ. ბ. ქობულიას მიმართ მიყენებული ვნების ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 28 მაისის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის შემდეგ მოსაზრებათა გამო:

თანხმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405-ე მუხლისა არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ვნებისათვის არასრულწლოვანთან ერთად პასუხს აგებენ აგრეთვე მისი მშობლები და მეურვეები.



საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის 16 წლის შვილმა დაწვრილ მიაყენა ჭრილობები მოსარჩელეს, რის შედეგად მან დაკარგა შრომის უნარი 100 პროცენტით, საჭიროებს გარეშე მომვლელს და საკურორტო მკურნალობას. ასეთ პირობებში ზარალის ანაზღაურება სასამართლოს არასრულწლოვანთან ერთად უნდა დაეკისრებინა მისი მშობლებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან მასზე ზედამხედველობა იქონიონ. მშობლების ქონებრივი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში დამატებითია და ამ პირთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანს არ აღმოაჩნდება ქონება, ხელფასი ან შემოსავლის სხვა წყარო ზარალის ასანაზღაურებლად.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურაძე,
გ. ინწკირველი, მ. ლეკვეიშვილი (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

გადაეცა წარმოებას 11/VII-59; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-59 წ;
ანაწეობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 5,5;
ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 55.

შეკვ. № 931.


ტირაჟი 3.000

უფ 03970.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ Издательства ЦК КП
Грузии, ул. Ленина № 14.

3560 5 356.



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда, Прокуратуры и юридической комиссии
при Совете Министров Грузинской ССР